ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“

მარიამ მამაცაშვილი

უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების კვლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ქეთევან ჭკუასელი,
თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი
2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორთა აკადემიური თავისუფლების კვლევას. მოცემულ თემასთან დაკავშირებული საერთაშორისო დოკუმენტებისა და ცნობილი მკვლევრების სტატიების შესწავლის შედეგად ნათელი გახდა, რომ დღეისათვის საგანმანათლებლო პროცესის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ პირობას აკადემიური თავისუფლება წარმოადგენს, რადგან აკადემიური პერსონალის შეზღუდულ გარემოში მუშაობისას ვერ დაკმაყოფილდება სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებული თანამედროვე მოთხოვნები, ეს კი უარყოფითად აისახება არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესის, არამედ დემოკრატიული საზოგადოების განვითარებაზე, რადგან მისი ერთ-ერთი ძირითადი ღირებულება აკადემიური თავისუფლებაა.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია** უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების კვლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე. მოცემული მიზნის მისაღწევად დასახული იყო შემდეგი ამოცანები:

1. მეორეული ინფორმაციის ანალიზი;
2. კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
3. ემპირიული კვლევა;
4. მონაცემთა ანალიზი;
5. დასკვნების შემუშავება.

კვლევის **საგანია** მასწავლებლის აკადემიური თავისუფლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო კვლევის **ობიექტი** - მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების რეალიზაციის პროცესი თსუ-ში.

კვლევისათვის გამოყენებულია გამოკითხვის თვისებრივი ფორმა - სიღრმისეული ინტერვიუ, რომლის საშუალებითაც გამოვლინდა თსუ-ს აკადემიური პერსონალის შეხედულებები და გამოცდილება სწავლებისა თუ კვლევის პროცესში არსებულ აკადემიურ თავისუფლებაზე. მონაცემთა ანალიზის შედეგად მკაფიო გახდა, რომ ფინანსებისა და დროის სიმცირე აკადემიურ აქტივობებს აფერხებს, რაც იწვევს

სხვადასხვა მნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელებისას აკადემიური თავისუფლების სრული ხარისხით სარგებლობის შეუძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოცემულ თემასთან დაკავშირებით კვლევების სიმცირეა, აკადემიური თავისუფლება შესწავლილია მხოლოდ დოკუმენტების ანალიზით, შესაბამისად, ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევა აკადემიური თავისუფლების ემპირიული შესწავლის პირველი მცდელობაა.

Mariam Mamatsashvili

Research of academic freedom of the University academic personnel on the example of Tbilisi State University

Annotation

The following Master's thesis concerns the study of the academic freedom of the lecturers of Tbilisi State University. As a result of studying the international documents and articles of the famous researchers, related to this topic, it became clear that one of the conditions for providing high quality of educational process is academic freedom,

As long as working in a limited environment of academic personnel, cannot be satisfied with the modern requirements of teaching and research, it will negatively affect not only the educational process but also the development of a democratic society, because one of its main values is academic freedom.

The aim of the following Master's thesis is to study the academic freedom of the University teacher on the example of Tbilisi State University. For achieving this goal, the following objectives were set:

1. Secondary information analysis;
2. Development of research methodology;
3. Empirical research;
4. Data analysis;
5. Develop Conclusions.

The subject of the research is the academic freedom of the teacher at Tbilisi State University and the object of research - the process of realization of teacher's academic freedom in TSU.

The qualitative form of the survey has been used for the thesis – in-depth interviews, through which the views and experiences of TSU academic staff were revealed on the academic freedom

of the teaching and research process. As a result of data analysis, the lack of finances and time hinders academic activities that lead to the impossibility of utilizing academic freedom in full implementation of various important tasks.

It is noteworthy that there is lack of research towards this topic in Georgia, academic freedom is studied only by analyzing the documents, so our research is the first attempt to study academic freedom empirically.

სარჩევი

შესავალი 7

თავი I: აკადემიური თავისუფლება - ზოგადი მიმოხილვა 12

1.1. ტერმინის განსაზღვრება 12

1.2. აკადემიური თავისუფლებით სარგებლობის ლიმიტები 18

1.3. აკადემიური თავისუფლების შემზღუდველი ფაქტორები 19

თავი II: აკადემიური თავისუფლება სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში - ისტორიული მიმოხილვა 22

2.1. გერმანია 22

2.2. ამერიკის შეერთებული შტატები 23

2.3. საერთაშორისო მდომარეობა აკადემიური თავისუფლების განვითარების კონტექსტში 25

თავი III: აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული კვლევები საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საქართველოში 26

3.1. აკადემიური თავისუფლება და კომერციალიზაცია ავსტრალიის უნივერსიტეტებში 26

3.2. აკადემიური თავისუფლების გაგება: მეცნიერთა შეხედულებები 27

3.3. აკადემიური თავისუფლება ევროკავშირის ქვეყნებში 30

3.4. აკადემიური თავისუფლება ინგლისში: შედარებითი ანგარიში 34

3.5. საქართველოს უნივერსიტეტების აკადემიური თავისუფლება და ავტონომია - 2013 წლის კვლევის მიხედვით 36

თავი IV: აკადემიური თავისუფლება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მარეგულირებელ დოკუმენტებში 39

4.1. საქართველოს კონსტიტუცია, კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანება 39

თავი V: აკადემიური თავისუფლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 41

5.1. შინაგანაწესით განსაზღვრული აკადემიური პერსონალის უფლებები და ვალდებულებები41

5.2. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული აკადემიური პერსონალის უფლებები და ვალდებულებები 42

5.3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი 44

კვლევითი ნაწილი 45

დასკვნები 92

რეკომენდაციები 98

გამოყენებული ლიტერატურა 99

შესავალი

აკადემიური თავისუფლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და უმთავრესი ღირებულებაა უმაღლეს განათლებაში. ის გავლენას ახდენს აკადემიური საქმიანობის თითოეულ ასპექტზე. ფართო გაგებით, აკადემიური თავისუფლება გულისხმობს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების თავისუფლების უზრუნველყოფას სწავლებისა და სწავლის პროცესში. მიუხედავად მისი მნიშვნელოვნებისა, ამ საკითხს დღეისათვის იშვიათად შეისწავლიან და იკვლევენ, რადგან მიიჩნევენ, რომ არ არსებობს უმაღლესი განათლება აკადემიური თავისუფლების გარეშე, თუმცა რეალობა განსხვავებულია და ამის შესახებ არაერთი ავტორი საუბრობს. მათ შორისაა ალტბაჩი (Altbach, 2001), რომელსაც თავის ნაშრომში „აკადემიური თავისუფლება: საერთაშორისო გამოწვევები და რეალობა“ მოყვანილი აქვს სხვადასხვა ქვეყანაში დაფიქსირებული დარღვევები, მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც აკადემიური პერსონალი დააპატიმრეს ე.წ. ცილისწამების საფუძველზე, ასევე ერთ-ერთი კვლევის ხელმძღვანელებმა პირდაპირი გაფრთხილება მიიღეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან, რომ არ გამოექვეყნებინათ მიღებული შედეგები, ამასთანავე არსებობენ ქვეყნები, სადაც ესა თუ ის თემა კვლევისა და განხილვისათვის აკრძალული და ტაბუდადებულია.

რა თქმა უნდა, დღეისათვის აკადემიური თავისუფლების სრული რეპრესიის შემთხვევები იშვიათია, მაგრამ აკადემიური პერსონალის სამუშაო და ზოგადი ატმოსფეროს რღვევა თუ გარე შეზღუდვები მაინც არსებობს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აკადემიური თავისუფლება აბსოლუტური არასდროს არის, რადგან, როგორც ვიცით, თავისუფლება ყოველთვის დაკავშირებულია გარკვეულ ვალდებულებებთან, თუმცა ავტორები და სხვადასხვა ორგანიზაციები (AAUP,1940; Marginson & Condisine,2000; Osieja, 2016;) თანხმდებიან იმაზე, რომ უნივერსიტეტის ეფექტური ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა მის შენარჩუნებასა და დაცვაზე ზრუნვაა, რადგან დიდი შანსია იმისა, რომ სხვადასხვა მხარემ (სახელმწიფო, ბიზნესი, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია) თავისუფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებები მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენოს, ამის თავიდან ასაცილებლად კი მნიშვნელოვანია მსგავსი საკითხების მუდმივი

განხილვა და, ამ მხრივ, ცნობიერების ამაღლება, რათა ინსტიტუციურმა შეზღუდვებმა ხელი არ შეუწყოს მხოლოდ „უსაფრთხო“ და სპეკულაციური კვლევების პოპულარიზაციასა და მეცნიერული, სადავო საკითხების განხილვაზე უარის თქმას, რაც შედეგად გამოიწვევს სწავლების პროცესისა და სტანდარტების დაწევას (Kayrooz, Kinnear & Preston, 2001; Tierney, 2001), აგრეთვე, საზოგადოებრივი დებატების ხარისხისა და, ზოგადად, დემოკრატიის დეგრადაციას (Melody, 1997).

აკადემიური თავისუფლება გარდაუვლად დაკავშირებულია დემოკრატიული ფასეულობების ჩამოყალიბებასთან. ჯონ დიუი ამტკიცებდა, რომ აკადემიურ თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური განვითარებისთვის, რადგან თავისუფალი სწავლების პროცესისა და გამოკვლევების გარეშე განვითარებული საზოგადოება ვერ შეიქმნება (Dewey, 1936). დიუის მიხედვით, აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლება ყველანაირი სახის თავისუფლების საფუძველია და მისი შეზღუდვა პირდაპირი დანაშაულია, რომელიც დემოკრატიის წინააღმდეგაა მიმართული. მისთვის მიუღებელი იყო სწავლების მიზნების, მეთოდებისა და მასალების განსაზღვრა ერთპიროვნულად, რადგან მიიჩნევდა, რომ მსგავსი საკითხები უნდა განისაზღვრებოდეს დისკუსიებისა და ინტელექტუალური განხილვების საშუალებით, მასში ჩართულნი უნდა იყვნენ როგორც მასწავლებლები, ასევე სტუდენტები (Fischer, 1977).

ჰელენ ოსიეჯა 2016 წლის სტატიაში „აკადემიური თავისუფლება: პრინციპები, შეზღუდვები და დელიმიტაცია“ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დღეისათვის სიღრმისეული ცოდნის მიღება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე ის, რაც მხოლოდ ზედაპირული ინფორმაციის გაცვლაა. სწორედ ამიტომაა, რომ უნივერსიტეტები ჩამოყალიბდნენ იმ ძირითად ცენტრებად, სადაც შესაძლებელი იქნება ძველი იდეებისა და პარადიგმების კრიტიკულად გააზრება და განხილვა, რადგან სწორედ იდეათა დაპირისპირებაა ახალი ცოდნის შექმნის უმთავრესი საშუალება, ამასთანავე, შესაძლებელი უნდა იყოს ახალი ცოდნის წარმოშობა, რომელიც ობიექტურ კვლევებს დაეფუძნება და რომლის მიზანიც მხოლოდ სიმართლის ძიება იქნება. იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა ასეთი ფუნქციების შესრულება შეძლოს, პირველ რიგში, სწორედ აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფაა საჭირო,

რადგან მუდმივი საშიშროების პირობებში (თუნდაც სამსახურის დაკარგვის) აკადემიური პერსონალი საკუთარ საქმეს სათანადოდ ვერ შეასრულებს (Osieja, 2016).

ტერენს კარანის (Karran, 2007) მიხედვით, აკადემიური თავისუფლება ბოლონიის პროცესის განხორციელების მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან ბოლონიის პროცესის წარმატება მოითხოვს, რომ ევროპულ უნივერსიტეტებს ჰქონდეთ უფლებამოსილება, იმოქმედონ ავტონომიის ძირითადი პრინციპებით და დაეთანხმონ უნივერსიტეტების დიდ ქარტიას (The Magna Charta Universitatum, 1988), რომელიც ეფექტური მმართველობისათვის აუცილებელ კომპონენტად აკადემიურ თავისუფლებას განიხილავს. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნები ვერ უზრუნველყოფენ აკადემიური თავისუფლების მაღალ ხარისხს, მობილობის სურვილი იკლებს, რადგან მაშინ, როდესაც მშობლიური ქვეყნის უნივერსიტეტი შედარებით მაღალი ხარისხის აკადემიურ თავისუფლებას განიჭებს, ვიდრე სხვა ქვეყანა, პერსონალსა და სტუდენტებს აღარ უჩნდებათ სურვილი მუშაობა თუ სწავლა საზღვარგარეთ განაგრძონ, შესაბამისად, აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფის დაბალი დონე ბოლონიის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორი ხდება (Karran, 2007).

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ქვეყანა დემოკრატიული ღირებულებების მატარებელია და როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ასევე კანონი უმაღლესი განათლების შესახებ აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ მუხლებს შეიცავს, მნიშვნელოვანია, გავიგოთ ისიც, თუ რა ხარისხით ხორციელდება პრაქტიკაში აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა. ამასთანავე, საქართველოში ეს თემა შესწავლილია მხოლოდ კონსტიტუციისა და სხვა სამართლებრივი და ოფიციალური დოკუმენტების ანალიზით, სწორედ ამიტომაა საინტერესო იმის გამოვლენა, თუ რამდენად შეესაბამება დოკუმენტებში გაწერილი წესები და რეალობა ერთმანეთს.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია** უმაღლესი სკოლის მასწავლებლის აკადემიური თავისუფლების კვლევა თბილისის სახელმწიფო უნივიერსიტეტის მაგალითზე

მოცემული მიზნის მისაღწევად შემუშავდა ნაშრომის **ძირითადი ამოცანები:**

1. მეორეული ინფორმაციის ანალიზი;

2. კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
3. ემპირიული კვლევა;
4. მონაცემთა ანალიზი;
5. დასკვნების შემუშავება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგთა აკადემიური თავისუფლების მდგომარეობის გამოვლენისათვის ჩამოყალიბდა კვლევის ძირითადი კითხვები:

1. რა ფაქტორები მოქმედებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ აკადემიურ თავისუფლებაზე?
2. რამდენად უზრუნველყოფილია აკადემიური პერსონალი სწავლების პროცესში აკადემიური თავისუფლებით?
3. რამდენად უზრუნველყოფილია აკადემიური პერსონალი კვლევის პროცესში აკადემიური თავისუფლებით?
4. რამდენად უზრუნველყოფილია აკადემიური პერსონალის ჩართულობა ადმინისტრაციულ საკითხებში?
5. არსებობს თუ არა ცენზურა ან თვითცენზურა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის სამუშაო პროცესში?

კვლევის **საგანია** მასწავლებლის აკადემიური თავისუფლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო კვლევის **ობიექტი** - მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების რეალიზაციის პროცესი თსუ-ში.

კვლევის ჰიპოთეზები:

1. გამომდინარე იქიდან, რომ სამეცნიერო კვლევები და ზოგიერთ ფაკულტეტზე პრაქტიკული სამუშაოები მოითხოვს გარკვეულ ფინანსურ უზრუნველყოფას, აკადემიური თავისუფლების ხარისხზე მოქმედი ძირითადი ფაქტორი შესაძლოა აღმოჩნდეს უნივერსიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა;
2. სწავლებისა და კვლევის პროცესში აკადემიურ თავისუფლებაზე მოქმედი ფაქტორი შესაძლოა აღმოჩნდეს ის ძირითადი სტანდარტები, რომლებიც გაწერილია ოფიციალურ დოკუმენტებში და აუცილებელია შესრულდეს აკადემიური პერსონალის მიერ სწავლებისა და სტუდენტთა შეფასების დროს;

3. აკადემიურ პერსონალზე შესაძლოა გავლენას ახდენდეს საკუთარი პროფესიული სტატუსი, რაც თვითცენზურის წარმოშობის მიზეზად შეიძლება გადაიქცეს.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული თემა არის სენსიტიური და მიზნად ისახავს რეალურად არსებული აკადემიური თავისუფლების ხარისხის შესწავლას, კვლევისათვის გამოყენებულია გამოკითხვის თვისებრივი ფორმა - სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის 16-მა წარმომადგენელმა. კვლევის დეტალური აღწერა და მის შედეგად მიღებული მიგნებები მოცემულია ნაშრომის კვლევით ნაწილში.

მიღებული ემპირიული მონაცემების ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა თავად აკადემიური პერსონალის მიერ დასახელებული პრობლემების დანახვა აკადემიური თავისუფლების ჭრილში, ამასთანავე, მიღებული მონაცემები იძლევა იმის საშუალებას, რომ მომავალში მოცემული თემა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, უფრო დიდ შერჩევით ერთობლიობაზე განხორციელდეს, რადგან კვლევის პროცესში წამოიჭრა ახალი ყურადსაღები საკითხები, რომლებიც დამატებით შესწავლას საჭიროებს.

თავი I: აკადემიური თავისუფლება - ზოგადი მიმოხილვა

1.1. ტერმინის განსაზღვრება

აკადემიური თავისუფლება უნივერსიტეტების ხანგძლივ ისტორიას უკავშირდება, უფრო კონკრეტულად, ის პირდაპირ კავშირშია უნივერსიტეტების ბრძოლასთან, რომელიც ეკლესიისა და სახელმწიფოს გავლენისაგან გათავისუფლებას ისახავდა მიზნად. შუა საუკუნეების უნივერსიტეტმა მოიპოვა თავისუფლების გარკვეული ხარისხი ეკლესიისგან, თუმცა ეს მაინც არ იყო დოქტრინისაგან თავისუფლება. მოგვიანებით კულტურულმა ცვლილებებმა, როგორიც იყო მეცნიერებისა და ფილოსოფიის განვითარება, ეროვნული განსხვავებების ზრდა და კომერციული კონტრაქტები, მოამზადა ნიადაგი მოდერნული უნივერსიტეტისა და მისი დამოუკიდებლობისათვის (Nelson, 2010).

მიუხედავად ამისა, ტერმინი - Akademische Freiheit (აკადემიური თავისუფლება) - პირველად მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისში გერმანიაში გამოიყენეს და თანდათანობით, შემდეგი 50 წლის განმავლობაში, უფრო დიდი მნიშვნელობა მიიღო. ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში ეს კონცეფცია განსაზღვრეს, როგორც თავისუფლება სწავლებაში და აგრეთვე თავისუფლება სწავლაში: სწავლების თავისუფლება გულისხმობს იმას, რომ უმაღლესი სკოლის მასწავლებელს შეუძლია განსაზღვროს, რა ასწავლოს (საკუთარ პროფესიულ აზრზე დაყრდნობით), როგორ ასწავლოს (რა მეთოდებით). რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დაკავშირებულია გარკვეულ ვალდებულებებთან და პასუხისმგებლობასთან და ეს თავისუფლება არ არის აბსოლუტური, მაგალითად, თითოეული მასწავლებლის პასუხისმგებლობაა ის, რომ უზრუნველყოს საგნის თემისა და მეთოდების ერთმანეთთან შესაბამისობა კურსის დონის გათვალისწინებით, ხოლო შემდეგ იზრუნოს იმაზე, რომ ეს ინფორმაცია ცნობილი და ხელმისაწვდომი გახდეს სტუდენტებისათვის. გარდა ამისა, სწავლების პროცესში აქცენტი უნდა კეთდებოდეს თანამედროვე აზროვნებასა და მოსაზრებების ჰარმონიულად, თავისუფლად გამოხატვის უზრუნველყოფაზე, ამასთანავე

გამორიცხული უნდა იყოს მიკერძოება და ფაქტების დამახინჯება, განსაკუთრებით, მათი მიზანმიმართული ფორმები (Vrielink, Lemmens, Parmentier, 2011).

აკერლინდისა და ქეირუზის ნაშრომში მოცემულია არტურ ლავჯოის განსაზღვრება აკადემიური თავისუფლების შესახებ, მისი თქმით, აკადემიური თავისუფლება გულისხმობს მასწავლებლებისა და მკვლევრების თავისუფლებას უმაღლეს სასწავლებლებში, რაც პრობლემური საკითხების განხილვის, ინსტრუქციების შემუშავებისა და პუბლიკაციების გამოქვეყნების დროს უზრუნველყოფს პოლიტიკური, საეკლესიო ავტორიტეტებისა და ადმინისტრაციის გავლენისაგან სრულ თავისუფლებას (თუ სათანადო, კომპეტენტური ორგანოების მიერ მისი საქმიანობა პროფესიული ეთიკის საწინააღმდეგო არ იქნება) (Akerlind & Kayrooz, 2003). ისტორიკოსი ფრედერიკ რუდოლფი მოცემულ კონცეფციას განსაზღვრავს როგორც უნივერსიტეტის პროფესორის თავისუფალი კვლევის, სწავლა-სწავლებისა და საკუთარი მიგნებების გაცხადების უფლებას (Rudolph, 1962).

შესაბამისად, ცხადი ხდება, რომ გარდა სწავლისა და სწავლების თავისუფლებისა, აკადემიური თავისუფლება მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა თავისუფლება საკვლევი თემისა და მეთოდების შერჩევაში, აგრეთვე, უფლებას, რომ გააკეთო დასკვნები სხვისი კვლევის აღმოჩენებზე დაყრდნობით. ეს თავისუფლებები პირდაპირ მომდინარეობს ინდივიდის უფლებებიდან, კერძოდ, სწავლისა და საკუთარი აზრის დამოუკიდებლად შექმნის უფლებისაგან (Vrielnik, Lemmens & Parmentier, 2011).

სიტყვის თავისუფლება და აკადემიური თავისუფლება ერთმანეთს უკავშირდება, თუმცა მათ ერთმანეთთან ვერ გავაიგივებთ: პირველი უმთავრესი ღირებულებაა დემოკრატიული სისტემისათვის და ერთ-ერთ ფუნდამენტურ სამოქალაქო უფლებას წარმოადგენს. სიტყვის თავისუფლება წინაპირობაა იმისა, რომ ლექტორმა აკადემიური თავისუფლება გამოიყენოს, ხოლო ეს უკანასკნელი, ექსკლუზიურად, აკადემიური ინსტიტუტებისთვის არის შექმნილი. აკადემიური თავისუფლების პარალელურად ლექტორებს სწავლის პროცესში სხვადასხვა აკადემიური წესის გათვალისწინება უწევთ, მაგალითად, ისინი ვალდებულნი არიან სტუდენტების მოსაზრებებს პატივი სცენ, აგრეთვე, მათ უნდა შეძლონ

საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებისა და დიდაქტიკური მეთოდების გამოყენება, რაც გულისხმობს იმას, რომ პასუხისმგებლობის მქონე პროფესორმა ყველაზე შესაფერისი და მოწინავე მეთოდების სწავლების პროცესში ინტეგრირება უნდა უზრუნველყოს (Osieja, 2016).

ადვილი შესამჩნევია, რომ აკადემიური თავისუფლების განსაზღვრებები სხვადასხვაგვარია. ერთ-ერთი ავტორი მას განსაზღვრავს, როგორც მეცნიერის თავისუფლებას სწავლებისა და კვლევის პროცესში, რაც დასჯისა და გათავისუფლების შიშისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს (Berdahl, 1990). ტირნისა და ლეჩუგას ნაშრომში აკადემიური თავისუფლება განხილულია, როგორც საზოგადოებასა და პროფესორებს შორის სოციალური შეთანხმება, რომლის მიზანიც პოლიტიკური ჩარევისა და ეკონომიკური ინტერესების გარეშე სიმართლის ძიებისა და ისეთი გარემოს უზრუნველყოფაა, სადაც პროფესორს ექნება ავტონომია, თავად გადაწყვიტოს, რა მიდგომითა და როგორ გამოავლინოს სიმართლე ეფექტურად (Lechuga & Tierney, 2010). გარდა ავტორთა მოსაზრებების განსხვავებულობისა, აკადემიური თავისუფლება სხვადასხვაგვარად ესმით საერთაშორისო ორგანიზაციებს:

მე-19 საუკუნიდან აკადემიური თავისუფლებით სხვადასხვა ასოციაცია და ორგანიზაცია დაინტერსდა, მათ შორის იყო ამერიკის უნივერსიტეტის პროფესორთა ასოციაცია (AAUP), იუნესკო და ევროკავშირი.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ 1915 წლის დეკლარაცია აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური თენუარის შესახებ. 1915 წლის იანვარში ამერიკის უნივერსიტეტების პროფესორთა ასოციაციის (AAUP) შეხვედრის მიზანი იყო აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა. დეკლარაციის მიხედვით, აკადემიური თავისუფლების ადეკვატური განხილვისათვის აუცილებელია სამი საკითხის გამოყოფა:

1. ფარგლები და საფუძველი იმ ძალაუფლებისა, რომელსაც გარკვეული ორგანო უნივერსიტეტის მიმართ ახორციელებს (იურიდიული უფლებამოსილებები);

2. აკადემიური საქმიანობის ბუნება: თავისუფლება, რომ პატიოსნად და საკუთარი სინდისის მიხედვით შეასრულო საქმე, არის გამორჩეული და მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც აკადემიური პროფესიის ბუნება ემყარება;
3. უნივერსიტეტისა და აკადემიური ინსტიტუტის ფუნქციები: აკადემიური თავისუფლება უკეთ აღიქმება ფონზე იმ მიზნებისა, რომელთათვისაც არსებობს უნივერსიტეტები. ესენია: ა) კვლევების ხელშეწყობა და ადამიანთა ცოდნის გაუმჯობესება; ბ) ზოგადი ინსტრუქციებით სტუდენტების უზრუნველყოფა; გ) ექსპერტთა განვითარება საჯარო სამსახურის სხვადასხვა სფეროსთვის (Declaration of Principles, 1915).

ბოლო პუნქტში აღნიშნული ფუნქციების შესაბამისად ასოციაციამ (AAUP) დაადგინა აკადემიური თავისუფლების სამი ძირითადი სახე: თავისუფლება გამოძიებისა და კვლევის; სწავლის პროცესის თავისუფლება უნივერსიტეტსა თუ კოლეჯში; აზრის გამოხატვის თავისუფლება უნივერსიტეტის გარეთ. ეს სამი პუნქტი აკადემიური თავისუფლების სტანდარტული საზომი გახდა. მოცემული დეკლარაცია ამტკიცებდა, რომ სამეცნიერო ცოდნის პროგრესის პირველი პირობა სრულყოფილი და შეუზღუდავი გამოძიებისა და შედეგების გამოქვეყნების თავისუფლების უზრუნველყოფაა, აგრეთვე, ხაზს უსვამდა იმას, რომ სასწავლო ოთახში გამართული დისკუსია არ უნდა გახდეს ფართო საზოგადოებისათვის გაცხადებული ან გამოქვეყნებული პროფესორის ნებართვის გარეშე (Wilson, 2016).

მოგვიანებით, 1940 წლის დეკლარაციაში, ამერიკის უნივერსიტეტის პროფესორთა ასოციაციამ შემოგვთავაზა აკადემიური თავისუფლების პროფესიული სტანდარტი. მასში აღნიშნულია, რომ პედაგოგები უფლებამოსილნი არიან სწავლის პროცესში საკუთარ საგანთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვისა და კვლევის თავისუფლებით, თუმცა, ამასთანავე, მათ უნდა შეეძლოთ საკუთარი აკადემიური ვალდებულებების ადეკვატურად შესრულება და სწავლის პროცესში სიფრთხილის გამოჩენა, რათა არ წამოჭრან ისეთი სადავო საკითხები, რაც მათ საგანს არ უკავშირდება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მათთვის აკადემიური თავისუფლების საზღვრები თანამდებობაზე დანიშვნის დროიდანვე ნათელი იყოს (Statement of principles on academic freedom and tenure, 1940).

გასათვალისწინებელია, რომ კოლეჯისა და უნივერსიტეტის მასწავლებლებს, გარდა საგანმანათლებლო ინსტიტუტის თანამშრომლის სტატუსისა, აქვთ სხვადასხვა სოციალური სტატუსი, მათ შორის მოქალაქის. როცა ისინი წერენ და საუბრობენ როგორც მოქალაქეები, ამ დროს თავისუფალნი უნდა იყვნენ სამსახურის (ამ შემთხვევაში უნივერსიტეტის) ცენზურისა და მათი დისციპლინური წესებისგან, თუმცა საზოგადოებაში მათი განსაკუთრებული პოზიცია (როგორც საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე პირების) მათ გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს: მეცნიერები და, ზოგადად, საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე თითოეული პირი მუდმივად უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ მათი პროფესია და უნივერსიტეტი, რომელშიც მუშაობენ, შესაძლოა, ნებისმიერ დროს საზოგადოების განხილვის საგანი გახდეს, ამიტომ თითოეული შეხედულებისა თუ აზრის გამოთქმის დროს უნდა იყვნენ გაწონასწორებულნი, თავშეკავებულნი და ამავე დროს პატივი სცენ სხვა ადამიანის მოსაზრებებს (AAUP, Policy Documents & Reports, 2001).

გარდა ამერიკის უნივერსიტეტების პროფესორთა ასოციაციაში შემუშავებული დეკლარაციებისა, აკადემიურ თავისუფლებაზე საუბარია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტებში:

ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ქარტიის მე-13 თავში ხაზგასმულია, რომ ხელოვნება და სამეცნიერო კვლევა უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი შეზღუდვისგან და აკადემიურ თავისუფლებას პატივი უნდა მიეგოს (E.U.,2000). გარდა ამისა, 2006 წელს ევროპის საბჭოს 47-მა წევრმა მიიღო აკადემიური თავისუფლების შესახებ რეკომენდაცია, ხოლო მინისტრთა კომიტეტებს დაეკისრათ მოვალეობა, რომ მუშაობა გაეძლიერებინათ აკადემიური თავისუფლებისა და უნივერსიტეტის ავტონომიურობის კუთხით, ეს მოწოდება საბჭოს მიერ განიხილებოდა, როგორც ფუნდამენტური მოთხოვნა ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოებისთვის (Recommendation 1762, 2006). ამასთანავე, უნივერსიტეტების დიდი ქარტიის (Magna Charta Universitetum) მიხედვით, საუნივერსიტეტო ცხოვრების ფუნდამენტური პრინციპი კვლევისა და სწავლების პროცესში თავისუფლებაა (EUA, 1988,). თუმცა, როგორც ტერენს კარანი აღნიშნავს, ამ დოკუმენტებიდან არც ერთში არ არის მოცემული კონკრეტული მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ და რა მეთოდებით უნდა იყოს

დაცული და შენარჩუნებული აკადემიური თავისუფლების მაღალი ხარისხი (karran, 2007).

რეკომენდაცია აკადემიური თავისუფლების შესახებ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ შეიმუშავა, ეს იყო პირველი მცდელობა იმისა, რომ აკადემიური თავისუფლების ძირითადი პარამეტრები დეტალურად აღწერილიყო. იუნესკო, 1997 წლის რეკომენდაციის მიხედვით, აკადემიურ თავისუფლებას განსაზღვრავს, როგორც უფლებას დოქტრინის დაწესების გარეშე, ეს არის თავისუფლება სწავლების პროცესსა და დისკუსიების გამართვაში, აგრეთვე, კვლევის ჩატარებისა და მისი შედეგების გამოქვეყნებაში, მოიცავს ცენზურისაგან თავისუფლებას, აგრეთვე უფლებას, რომ აკადემიურმა პერსონალმა თავისუფლად გამოთქვას აზრი იმ დაწესებულებასა თუ ინსტიტუტზე, რომელშიც მუშაობს. იუნესკოს რეკომენდაცია ადასტურებს, რომ განათლების, სწავლებისა და კვლევის უფლების სრული რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ აკადემიური თავისუფლების მქონე ატმოსფეროში. რეკომენდაციაში ასევე აღნიშნულია, რომ აღმოჩენების, მოსაზრებებისა და ჰიპოთეზების გავრცელება უმაღლესი განათლების ძირითადი ნაწილია, რადგან ის უზრუნველყოფს ზუსტ, თანამედროვე და ობიექტურ განათლებას. (Recommendation concerning the Status of Higher-Education Teaching Personnel, 1997)

იუნესკოს რეკომენდაცია განხილულია ნაშრომში „აკადემიური თავისუფლება, როგორც ფუნდამენტური უფლება“, რომელშიც მოყვანილია ის ძირითადი საკითხები, რომელთაც 1997 წლის რეკომენდაცია მოიცავს, ეს საკითხებია: ინსტიტუციური ავტონომია, ინდივიდუალური უფლებები და თავისუფლებები, თვითმმართველობა და კოლეგიალობა, მუდმივი პოზიციის/თენუარის სისტემის არსებობა (Vrielink, Lemmens, Parmentier, 2011). ამავე ნაშრომში ვხვდებით თითოეული მათგანის მოკლე განმარტებებს:

1. ინსტიტუციური ავტონომია გულისხმობს იმას, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს საკუთარი აკადემიური სამუშაო სტანდარტისა და მენეჯმენტის განსაზღვრის საშუალება;

2. ინდივიდუალური უფლებები და თავისუფლებები - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს უნდა ჰქონდეს იმის უფლებამოსილება, რომ ისარგებლოს აკადემიური თავისუფლებით, კერძოდ, ყოველგვარი შემზღუდველი დოქტრინისგან თავისუფლად შეეძლოს სწავლება, დისკუსიების გამართვა, კვლევით სამუშაოებში ჩართვა და ჰქონდეს შედეგების გამოქვეყნებისა და საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება. აგრეთვე თავისუფალი უნდა იყოს ინსტიტუციური ცენზურისგან.

3. თვითმმართველობა და კოლეგიალობა - აკადემიურ პერსონალს უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა იმისა, რომ მონაწილეობა მიიღოს მმართველი და წარმომადგენლობითი ორგანოების სამუშაოში, ასევე უნდა ჰქონდეთ უფლება, აირჩიონ აკადემიურ ორგანოში საკუთარი წარმომადგენელი. მოცემული პუნქტი ასევე მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა კურიკულუმის, კვლევითი საქმიანობის, ასევე, ადმინისტრაციისა და უმაღლესი განათლების პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობის მიღება.

4. მუდმივი პოზიცია/თენუარი - მუდმივი პოზიციის არსებობა უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის დაცულობას მაშინაც, როცა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან სისტემაში ცვლილებები მიმდინარეობს, თუმცა ასეთი სტატუსი მინიჭებული უნდა იყოს გარკვეული გონივრული ვადის გასვლისა და სწავლისა თუ კვლევის პროცესში ობიექტური კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ. (გვ.122)

1.2. აკადემიური თავისუფლებით სარგებლობის ლიმიტები

აკადემიური თავისუფლებით სარგებლობის ფარგლებში გასათვალისწინებელია სხვადასხვა ვალდებულება და ლიმიტი, რომლებზეც საუბარია ნაშრომში: „აკადემიური თავისუფლება, როგორც ფუნდამენტური უფლება“, რომელშიც, გარდა პროფესორთა სწავლებისა და კვლევის თავისუფლების საკითხებისა, ნათლად არის განხილული აკადემიური პერსონალის ვალდებულებები და მათი თავისუფლების ლიმიტები. ეს ყველაფერი ორი მიმართულებით არის დანახული: პირველ რიგში, სწავლების თავისუფლებით სარგებლობისას გასათვალისწინებელია სტუდენტების უფლებები და

ნებისმიერი სტიგმატიზაცია, დამამცირებელი და დისკრიმინაციული განცხადებები, რომლებიც მიმართულია სტუდენტისა ან აკადემიური პერსონალის მიმართ, არის მიუღებელი. გარდა ამისა, პედაგოგებმა თავი უნდა შეიკავონ ინდოქტრინაციისგან, რათა ამან არ გამოიწვიოს ისეთი ატმოსფეროს შექმნა, სადაც სტუდენტი თავისუფლად ვეღარ დააფიქსირებს საკუთარ პოზიციას. მეორე მხრივ, აკადემიური თავისუფლების ლიმიტები განისაზღვრება კოლეგიური და ინსტიტუციური ასპექტების კუთხით, გამომდინარე იქიდან, რომ მასწავლებლები არიან დეპარტამენტის, ფაკულტეტისა და, ზოგადად, უნივერსიტეტის წევრები, მათ ინდივიდუალურ თავისუფლებას განსაზღვრავს ინსტიტუციური კონტექსტიც, რომელშიც სხვადასხვა წესი მოქმედებს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აკადემიურმა პერსონალმა არ განაგრძოს კურიკულუმების შედგენის პროცესში მონაწილეობისა და აზრის თავისუფლად დაფიქსირების უფლებებით სარგებლობა, რადგან არ უნდა არსებობდეს წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკური, ფილოსოფიური თუ რელიგიური ხედვები, რომლებიც პროფესორის სწავლებისა და კვლევის პროცესზე გავლენას მოახდენს (Vrielink, Lemmens & Parmentier, 2011).

1.3. აკადემიური თავისუფლების შემზღუდველი ფაქტორები

სხვადასხვა ავტორი აკადემიური თავისუფლების შემზღუდველ ფაქტორად ასახელებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ზრდის პროცესს. მათი მოსაზრებით, ინტერნეტის თავისუფლება ეფუძნება ეროვნულ და სახელმწიფო პოლიტიკას, შესაბამისად, მთავრობები ცდილობენ, რომ გააკონტროლონ ონლაინ საქმიანობა - დაბლოკვისა და ფილტრაციის გზით, ასეთ გარემოებებში კი აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის საფრთხე იმატებს (Lechuga & Tierney, 2010). გარდა ამისა, ტერენს კარანის (karran, 2007) აზრით, დიდი შანსია იმისა, რომ დისტანციური სწავლების პროცესში სასწავლო მეცადინეობა მოხვდეს ისეთ ქვეყანაში, სადაც აკადემიური თავისუფლება არ არსებობს, ხშირად ასეთი კურსები მხოლოდ მატერიალური მოგების მიზნით გამოიყენება და არა საზოგადო კეთილდღეობის

შესაქმნელად. მსგავსი აზრი აქვს ლიბერვიცს (Lieberwitz, 2002), რომელიც, კვლევაზე დაყრდნობით, ვარაუდობს, რომ კომერციული ონლაინ კურსები აკადემიური თავისუფლების ძირითად პრინციპებს აკნინებენ.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში უნივერსიტეტებსა და კომერციულ ინტერესებს შორისაც გარკვეული სახის კონფლიქტები დაიწყო (Nelson, 2010). ბევრ ქვეყანაში უნივერსიტეტები ორიენტირებულნი გახდნენ ბაზარზე, რომელიც კონკურენციას უწევს სამეცნიერო კვლევით ფონდებს. სხვადასხვა ავტორი საუბრობს იმაზე, რომ აკადემიური მუშაობა შემოსაზღვრულია ბიზნესის ლოგიკით, რომელიც აქცენტს აკეთებს მოკლევადიან პროექტებზე, კომერციალიზაციაზე და მოგებაზე, ასეთ შემთხვევაში უნივერსიტეტები გვევლინებიან ე.წ. ბიზნეს ორგანიზაციებად, რომლებიც, საბოლოოდ, ცოდნასა და განათლებას ფინანსური სარგებლის მომტან საშუალებად აქცევენ, რაც აკადემიური თავისუფლების შემზღუდველი და დამანგრეველი ფაქტორი ხდება (Marginson, 2000; Margolis, 2004; Fulton, 2002; Rochford, 2003;).

ერთ-ერთი კვლევა, რომელიც ავსტრალიაში ჩატარდა, სახელწოდებით „აკადემიური თავისუფლება და კომერციალიზაცია ავსტრალიის უნივერსიტეტებში, ხედვა და გამოცდილება სოციალური მეცნიერებისა“, მიზნად ისახავდა აკადემიურ თავისუფლებაზე კომერციალიზაციის ეფექტის შესწავლას, (Kayrooz, Kinnear & Preston, 2001). მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ძირითადი ყურადღება მომხმარებელთა საჭიროებებსა და ბაზარზეა გამახვილებული, ეს ყველაფერი კი მოქმედებს მეცნიერების აკადემიურ თავისუფლებაზე და იწვევს საჯარო დებატების ხარისხისა და, ზოგადად, დემოკრატიული პლურალიზმის კლებას.

კომერციალიზაციის ეფექტზე საუბრობენ მარგინსონი და კონსიდინი, ისინი საკუთარ წიგნს იწყებენ „სამოთხის დაკარგვაზე“ საუბრით, სამოთხეში ისინი გულისხმობენ უნივერსიტეტებს, სადაც ინდივიდუალიზმი და აკადემიური თავისუფლება არსებობდა, თუმცა თანდათან ეს სამოთხე შეიცვალა: კვლევითი საქმე დამფინანსებლების გავლენის ქვეშ მოექცა, ასეთ შემთხვევაში კი მნიშვნელოვანი ხდება არა საფუძვლიანი კვლევები, არამედ მოკლევადიანი პროექტები, ამის შედეგად კი

იკლებს რაოდენობა იმ კვლევებისა, რომლებიც მეცნიერის ინტერესებში შედის (Marginson & Condisine, 2000).

ამერიკელი მკვლევარი ბარტონ კლარკი ნაშრომში „უმაღლესი განათლების სისტემა, აკადემიური ორგანიზაცია კროსნაციონალურ ქსელში“ საუბრობს უმაღლესი განათლების მარკეტიზაციაზე. ავტორი გვთავაზობს „კოორდინაციის სამკუთხედს“, რომლის ტრადიციულ მოდელში უმაღლესი განათლების მონაწილეებს წარმოადგენენ: აკადემიური ოლიგარქია, სახელმწიფო და საზოგადოება, თუმცა მარკეტიზაციის პროცესის შემდეგ მისი ძირითადი მონაწილეები იცვლებიან (Clark,1986). აღნიშნული ნაშრომი განხილულია ლელა სამნიაშვილის დისერტაციაში, რომელშიც ახსნილია „კოორდინაციის სამკუთხედის“ ძირითადი არსი, კერძოდ ის, რომ ტრადიციულ მოდელში სახელმწიფო იყო განმსაზღვრელი ფაქტორი საზოგადოებასა და აკადემიურ ოლიგარქიას შორის ურთიერთობებისა, რომლის მოწესრიგებაც მას კანონმდებლობითა და მართვისა თუ დაფინანსების საშუალებებით შეეძლო, აკადემიური ოლიგარქია კი განსაკუთრებული პრივილეგიისა და მნიშვნელობის იყო როგორც საზოგადოებისა, ასევე სახელმწიფოსთვის,თუმცა მარკეტიზაციის პროცესის შემდეგ აღნიშნული სიტუაცია შეიცვალა, აკადემიური ოლიგარქიის ძალაუფლება ჩაანაცვლა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა და მენეჯერულმა სისტემამ, საზოგადოების ჩამნაცველებელი გახდა ბაზარი, რომელიც უმაღლეს განათლებაში სწავლის საფასურისა და კვალიფიკაციის სპექტრის განმსაზღვრელად იქცა (სამნიაშვილი, 2017).

როგორც გამოჩნდა, აკადემიური თავისუფლების ერთ-ერთ საფრთხედ უმაღლესი განათლების მენეჯერიზაციის პროცესი განიხილება. მაკმასტერი (McMaster, 2002, 3) აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტებში ყოველთვის არსებობდა მმართველი ჯგუფი და გარკვეული იერარქია, თუმცა მთავარი განსხვავება ისაა, რომ დღევანდელ უნივერსიტეტებში ავტორიტეტი არის ის, ვინც მენეჯერულ პოზიციას იკავებს და ამ პროცესში ყურადღება აღარ ექცევა ამა თუ იმ დისციპლინაში მისი გათვითცნობიერების დონესა და ექსპერტულ ცოდნას. ტირნი (Tierney, 2001) ვარაუდობს, რომ თუ დეკანები და დეპარტამენტის ხელმძღვანელები მაკონტროლებელ მენეჯერებად იქცევიან, ეს გამოიწვევს ახალი კულტურის შექმნას, რომელშიც აკადემიური თავისუფლება ირელევანტურ და განუხილველ საკითხად იქცევა.

თავი II: აკადემიური თავისუფლება სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში - ისტორიული მიმოხილვა

2.1. გერმანია

მე-19 საუკუნეში გერმანელი პროფესორები სახელმწიფო მოხელეები იყვნენ, ხოლო გერმანიის უნივერსიტეტებს ჰქონდათ საკუთარი თვითმმართველობა, თუმცა მაინც არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ მე-19 საუკუნის გერმანიის უნივერსიტეტებში სრული აკადემიური თავისუფლება იყო (Nelson, 2010). მიუხედავად ამისა, გოლდშტეინი აცხადებს, რომ აკადემიური თავისუფლების თანამედროვე განვითარება დიდწილად მე-19 საუკუნის გერმანიიდან დაიწყო, კერძოდ, კონცეფციებიდან Lehrfreiheit და Lernfreiheit (სწავლების და სწავლის თავისუფლება), ეს კონცეფციები დაკავშირებულია ბერლინის უნივერსიტეტში ვილჰელმ ვონ ჰუმბოლტის მიერ გატარებულ რეფორმებთან (Goldstein, 1976). ჰუმბოლტის მოდელის ცენტრალური ასპექტი იყო სწავლებისა და კვლევის ერთიანობა (Eiheit von Lehre und Forschung) და მისი შესრულება უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების მიერ ერთობლივად, მისი შეხედულებით, კოლაბორაციის პროცესი შემდეგნაირად მოქმედებს: ერთი ადამიანის ინტელექტუალური მიღწევები იწვევს სხვების ენთუზიაზმისა და სურვილების ზრდას (Karran, 2009).

მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური თავისუფლება გერმანულ გამოგონებად და იდეალად მიიჩნეოდა, ნაცისტურ გერმანიაში მისი განადგურება მაინც მოხერხდა. მესამე რაიხის დროს განსაზღვრული იყო ის, თუ რისი სწავლება შეიძლებოდა გერმანიის უნივერსიტეტებში, ხოლო ის პროფესორები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ამ ახალ იდეოლოგიას, დისიდენტებად სახელდებოდნენ და მათ უნივერსიტეტებიდან ათავისუფლებდნენ, მათ შორის იყვნენ ის ლექტორებიც, რომლებსაც მუდმივი პროფესორის სტატუსი ჰქონდათ. რეპრესიების მიუხედავად, მიმდინარე მოვლენების წინააღმდეგ გაიზარდა გერმანიის პროფესორ-მასწავლებელთა ორგანიზაციებისა და სტუდენტთა გაერთიანებების პროტესტი, ისინი ნაცისტების მიერ უნივერსიტეტებში

აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის ფაქტებს გმობდნენ, თუმცა აკადემიური თავისუფლების აღდგენა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მოხერხდა (Altbach, 2001).

21-ე საუკუნის გერმანიის აკადემიური თავისუფლების მდგომარეობას განიხილავს ბეკერი (Becker, 2006), ავტორი საუბრობს იმაზე, რომ გერმანიაში არსებობს აკადემიური თავისუფლების დაცვის კონსტიტუციური და სამართლებრივი გარანტიები, სახელმწიფო ზრუნავს უნივერსიტეტების უსაფრთხოებაზე და იცავს მას გარე, ვიწრო ინტერესებისგან, გარდა ამისა, პროფესორებს აქვთ რეალური საშუალება იმისა, რომ სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა მიიღონ. ასეთი მდომარეობით მათ შესაძლებლობა ეძლევათ, რომ შექმნან ისეთი გარემო, სადაც არ იარსებებს მკაცრი ადმინისტრაციული შეზღუდვები, რათა წარმატების მიღწევაში დაბრკოლება არ შეექმნათ. ავტორი აქვე აღნიშნავს იმას, რომ გერმანიის უნივერსიტეტები ყოველთვის ხასიათდებოდნენ ინსტიტუციური ავტონომიის დაბალი დონით, თუმცა მიუხედავად ამისა, ეს მდგომარეობა კომბინირებული იყო პროფესორთა აკადემიური თავისუფლების მაღალ დონესთან, რაც საბოლოოდ მაინც ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას უწყობდა ხელს, ასეთი მდგომარეობა 21-ე საუკუნეშიც შენარჩუნებულია.

2.2. ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებულ შტატებში აკადემიური თავისუფლების განვითარებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს: მე-19 საუკუნეში გაიზარდა იმ კურსდამთავრებულთა რიცხვი, რომელთაც განათლება საზღვარგარეთ მიიღეს (ძირითადად გერმანიაში), ისინი ამერიკაში დაბრუნდნენ ახალი ღირებულებებით, კერძოდ, ახალი ცოდნის წარმოებისა და ჭეშმარიტების ძიების სურვილით, რათა საზოგადოების მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ (Hofstadter & Metzger, 1955). მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი იდეები ეწინააღმდეგებოდა ძველი უნივერსიტეტების სტრუქტურებს, აკადემიური სივრცე უფრო და უფრო ფართოვდებოდა და ამ სივრცეში მნიშვნელოვან ადგილს კვლევა იკავებდა, სწორედ ამ დროს სტენფორდის, დიუკის,

ვანდერბილტის, კორნელის და ჩიკაგოს უნივერსიტეტები უმაღლესი განათლების ლანდშაფტს შეუერთდნენ. პროფესორთა ახალმა ნაკადმა, რომელსაც სჯეროდა სწავლების თავისუფლების იდეის (concept of Lehrfeiheit), დიდი როლი შეასრულა მისი განხორციელებისა და დამკვიდრების საქმეში. საბოლოოდ, ამ ადამიანების გადაწყვეტილებით შეიქმნა ჯგუფი, რომელიც დღემდე ცნობილია, როგორც ამერიკის უნივერსიტეტების პროფესორთა ასოციაცია (AAUP), მისი მისიაა აკადემიური თავისუფლების გაუმჯობესება, უმაღლესი განათლების ძირითადი ღირებულებებისა და სტანდარტების განსაზღვრა და იმ ადამიანების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა, რომლებიც უმაღლესი განათლების სწავლებისა და კვლევის პროცესში არიან ჩაბმულნი (Lechuga & Tierney, 2010).

მე-20 საუკუნეში სამართლებრივმა ნორმებმა გააძლიერა კავშირი აკადემიურ თავისუფლებასა და ამერიკის უნივერსიტეტებს შორის. აშშ-ს მოსამართლე უილიამ ბრენანმა 1967 წელს განაცხადა, რომ მათი ერი მომხრეა, დაიცვას აკადემიური თავისუფლება, რადგან ის ტრანსცენდენტური ღირებულებაა მათთვის, მისი მოსაზრებით, ეს კონცეფცია ინდივიდების დაცვაზე მეტს ნიშნავს, ვინაიდან აკადემიური თავისუფლება მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც თავისუფლების პრინციპებს მისდევენ (Lechuga & Tierney, 2010).

21-ე საუკუნეში ამერიკის უნივერსიტეტების 95%-ში ამოქმედდა თენუარის სისტემა, ამ ფაქტს პერიოდულად აკრიტიკებდნენ, თუმცა საბოლოოდ მაინც თანხმდებოდნენ იმაზე, რომ თენუარი აკადემიური თავისუფლების მნიშვნელოვანი საყრდენი იყო (Chait,2002). რა არის თენუარი? ეს არის საშუალება იმისა, რომ უზრუნველყოფილი იყოს წერისა და საუბრის თავისუფლება ისე, რომ აკადემიურ პერსონალს არ დაემუქროს პოზიციის დაკარგვა, კერძოდ, გამოსაცდელი ვადის შემდეგ მასწავლებლებსა და მკვლერებს მუშაობის მუდმივი უფლებამოსილება ეძლევათ წერილობითი ფორმით, შესაბამისად, მათი პოზიციიდან გათავისუფლება მხოლოდ ადეკვატური მიზეზის შემთხვევაშია შესაძლებელი (Wilson, 2016).

2.3. საერთაშორისო მდომარეობა აკადემიური თავისუფლების განვითარების კონტექსტში

მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნეში აკადემიური თავისუფლების მნიშვნელობა გაიზარდა, მისი დარღვევის ფაქტები მაინც გრძელდებოდა სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში. მაგალითად, კათოლიკური ეკლესია არ თანხმდებოდა იმ იდეების სწავლებაზე, რაც მათ დოქტრინას ეწინააღმდეგებოდა, ხოლო მთავრობები თვალყურს ადევნებდნენ აკადემიურ სამუშაოს იმის შიშით, რომ ეს ყველაფერი წინააღმდეგობაში არ მოსულიყო მმართველი პარტიის ინტერესებთან. ნაცისტური გერმანია, ალბათ, ამის ნათელი მაგალითია, ის არ უშვებდა გამოხატვის არანაირ თავისუფლებას, ასეთი მაგალითები იყო ჩილეშიც, პინოჩეტის რეჟიმის დროს, ასევე ზიმბამბვეში - მუგაბეს წესების გამო და მალაიზიაში პრემიერ მინისტრ მაჰათირის დროს. მე-20 საუკუნის ბოლოს, მაშინ, როდესაც მსგავსი იდეოლოგიები დაშლის პირას იყო, ბევრმა უნივერსიტეტმა აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიის საშუალებები გამოიყენა, თუმცა, მისი დარღვევის შემთხვევები ისევ ფიქსირდებოდა (Altbach, 2001).

ქვეყნებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ, შეძლეს, რომ მე-20 საუკუნეში აკადემიური თავისუფლება განევითარებინათ (Altbach, 2001). თუმცა, თუ მათ მდგომარეობას აკადემიური თავისუფლების ტრადიციული დეფინიციის მიხედვით განვიხილავთ, შესაძლოა, მისი დაცვის ხარისხი ძალიან დაბალ დონეზეც შეფასდეს, რადგან ზოგიერთ მათგანში - ვიეტნამში, კუბაში, ჩრდილოეთ კორეაში - აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის ფაქტები ფიქსირდებოდა. რა თქმა უნდა, ისტორიული ტრადიციები ქვეყნის მიმდინარე მოვლენებზეც მოქმედებს, შესაბამისად, თითოეული მათგანის შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მათი წარსული და კულტურული კონტექსტი. მაგალითად, ჩინეთისა და ამერიკის აკადემიური თავისუფლების ხარისხის შედარებისას ვლინდება, რომ ჩინეთი აკადემიურ თავისუფლებას ვერ უზრუნველყოფს, თუმცა, თუ მის ისტორიულ ფონს გავითვალისწინებთ, შესაძლოა, ქვეყნაში არსებული აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფის ხარისხი მაინც დადებითად შეფასდეს (Lechuga & Tierney 2010).

თავი III: აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული კვლევები საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საქართველოში

3.1. აკადემიური თავისუფლება და კომერციალიზაცია ავსტრალიის უნივერსიტეტებში

აკადემიური თავისუფლების შესახებ ემპირიული კვლევების სიმცირეა, თუმცა ერთ-ერთი კვლევა სახელწოდებით „აკადემიური თავისუფლება და კომერციალიზაცია ავსტრალიის უნივერსიტეტებში: ხედვა და გამოცდილება სოციალური მეცნიერებისა“(Kayrooz, Kinnear & Preston, 2001) მიზნად ისახავდა კომერციალიზაციის პროცესში აკადემიური თავისუფლების კუთხით არსებული გამოცდილებისა და მოსაზრებების შესწავლას.

მონაცემების ანალიზის შედეგად კვლევამ გამოავლინა ავსტალიის უნივერსიტეტების პროფესორთა შეხედულებები მათი აკადემიური თავისუფლების შესახებ, კვლევის ძირითადი მიგნება იყო ის, რომ კომერციალიზაციამ გამოიწვია საფასურის მქონე კურსების ზრდა, გაჩნდა უფრო მეტი მოთხოვნა საკონსულტაციო, ბიზნესკვლევებსა და კორპორაციული სტილის მქონე უნივერსიტეტებზე, ასეთი მდგომარეობით კი ხდება კომერციული საქმიანობების პოპულარიზაცია, რაც, შედეგად, აკნინებს და ამცირებს მეცნიერულ, აკადემიურ სამუშაოებს, კვლევის მიხედვით, პროფესორები დამოკიდებულნი არიან გრანტებსა და ტენდერებზე, ამიტომ გამოკითხულთა უმრავლესობას გამოცდილებაში ჰქონდა შემთხვევა, როცა სასურველ თემაზე უარი თქვა და აირჩია ისეთი „უსაფრთხო“ საკითხი, რომელსაც უფრო მეტი შანსი ჰქონდა დაფინანსებისა. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ პროფესორები კვლევის მაღალი ხარისხით განხორციელების გარანტიებს სწორედ უნივერსიტეტების გარეთ არსებულ ფონდებში ხედავენ (45%).

კვლევის რესპონდენტები მიიჩნევდნენ, რომ ღირებულება აკადემიური თავისუფლებისა თანდათან ნადგურდება, რადგან სტრუქტურული ცვლილებები ადეკვატურად არ უზრუნველყოფს დამოუკიდებელი კვლევების ჩატარებას, მათი თქმით, აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა მხოლოდ ინდივიდების,

მეცნიერების მუშაობაზეა მინდობილი, რადგან, ამ მხრივ, არ არსებობს ადმინისტრაციული მხარდაჭერა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნება მოცემული კვლევისა იყო ის, რომ აკადემიური თავისუფლება პროფესორების უმრავლესობის მიერ განიხილებოდა ინდივიდუალური ავტონომიის ჭრილში, რაც მოიცავდა კვლევის თემისა და მეთოდების განსაზღვრის თავისუფლებას (92%), საკამათო, პრობლემური საკითხების განხილვის საშუალებას (84%), საკუთარი სურვილის მიხედვით კოლეგის არჩევას კველვითი სამუშაოს ფარგლებში (82%). მცირე ნაწილი საუბრობდა კოლეგიურ და ინსტიტუციურ ავტონომიაზეც, კერძოდ, კოლეგიურ ავტონომიაში ისინი გულისხმობდნენ ერთობლივად და დემოკრატიულად განსაზღვრულ ეთიკურ პრინციპებს, პროფესიულ სტანდარტებს და ზოგადად, გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფას, რაც შეეხება ინსტიტუციურ ავტონომიას, ამ შემთხვევაში, პროფესორები აქცენტს აკეთებდნენ უნივერსიტეტის ისეთი კულტურისა და სტრუქტურის უზრუნველყოფაზე, რომელშიც არ იარსებებს პოლიტიკური, სამთავრობო, კომერციული და საეკლესიო ინტერესების გავლენა , მათ აკადემიურ მუშაობასა და ნაშრომების გამოქვეყნებაზე. პროფესორთა მიერ აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული შეხედულებებისა და მიღებული მონაცემების ანალიზი 2003 წელს სხვა ავტორებმაც განახორციელეს, ძირითადი მიგნებები ნაშრომის შემდეგ თავში - „აკადემიური თავისუფლების გაგება: სოციალური მეცნიერების შეხედულებები“ - არის განხილული.

3.2. აკადემიური თავისუფლების გაგება: მეცნიერთა შეხედულებები

აკადემიური თავისუფლების კონცეფციის განსაზღვრება ხშირად დებატებს იწვევს, რადგან არ არსებობს მისი ზუსტი და ყველასათვის საერთო განმარტება. სწორედ ამიტომ 2003 წელს აკერლინდისა და ქეირუზის მიერ განხორციელდა კვლევა „გაგება აკადემიური თავისუფლებისა: სოციალური მეცნიერების შეხედულებები“, რომელიც მიზნად ისახავდა აკადემიური თავისუფლების შესახებ პროფესორების შეხედულებების გაანალიზებას (Akerlind & Kayrooz, 2003),. სწორედ ასეთი მდგომარეობის გამო

ავტორების მიზანი იყო მოცემული განმარტებების სისტემური ანალიზის განხორციელება და მისი საშუალებით აკადემიური თავისუფლების გააზრებისა და მნიშვნელობის ვარიაციების გამოვლენა. აღნიშნული კვლევა დაეყრდნო წინა თავში განხილული კვლევის მონაცემებს, უფრო კონკრეტულად, კვლევას სახელწოდებით „აკადემიური თავისუფლება და კომერციალიზაცია ავსტრალიის უნივერსიტეტებში, ხედვა და გამოცდილება სოციალური მეცნიერებისა“ (Kayrooz, Kinnear & Preston, 2001), რომლის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენდა შემდეგი კითხვა: „აკადემიური თავისუფლება არ არის ნათლად განსაზღვრული ცნება, გვსურს შევიტყოთ, თუ რას ნიშნავს აკადემიური თავისუფლება თქვენთვის?“. მოცემულ კითხვაზე მიღებული მონაცემები ამავე კვლევაშიც გაანალიზდა, თუმცა მიღებული მონაცემების შედარებით სიღრმიესული და დეტალური ანალიზი აკერლინდმა და ქეირუზმა შემოგვთავაზეს, მათ გამოიყენეს ფენომენოგრაფიის მეთოდი, რესპონდეტთა მიერ დაწერილი კომენტარები ერთმანეთს შეადარეს მსგავსებისა და განსხვავებების საფუძველზე, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა აკადემიური თავისუფლების გაგებისა და გააზრების 5 სხვადასხვა გზა - „აღწერითი კატეგორია“:

1. აკრძალვების არარსებობა აკადემიურ საქმიანობაში - მოცემულ კატეგორიაში გაერთიანდა აკადემიური თავისუფლების ისეთი განმარტებები, რომლების აკადემიური თავისუფლებას განიხილავდა, როგორც აკადემიკოსების შეუზღუდავ საქმიანობას. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ არ უნდა არსებობდეს კონტროლი ან იძულება იმ საქმიანობაში, რომელშიც აკადემიური პერსონალია ჩართული. აკადემიურ საქმიანობებში მოიაზრებდნენ: კვლევის, პუბლიკაციების გამოქვეყნების, სწავლებისა და სიტყვისა თუ იდეების გამოხატვის თავისუფლებას, უმეტესად აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ პროფესორი თავისუფალი უნდა იყოს კურსის ფარგლებში გასავლელი თემების არჩევასა და კვლევის საკითხის განსაზღვრაში, გარდა ამისა, მას უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ თავად განსაზღვროს და გაანაწილოს საკუთარი დრო სხვადასხვა ამოცანასთან მიმართებით.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ კატეგორიაში შესული განმარტებები აკადემიური აქტივობის სხვადასხვა სახეს მოიცავს, მათ აქვთ ერთი საერთო

კრიტერიუმი, კერძოდ, თითოეული მათგანი აქცენტს აკეთებს ამ აქტივობების შესრულების პროცესში რეპრესიების, შიშისა და ჩარევის ფაქტებისგან თავისუფლებაზე.

2. აკრძალვების არარსებობა თვითრეგულირებადი ლიმიტების ფარგლებში - წინა კატეგორიისგან განსხვავებით, მეორე კატეგორია გარკვეული ლიმიტების აუცილებლობას უსვამს ხაზს, კერძოდ, კვლევის თემის შერჩევის პროცესში საზოგადოებისა და მოცემული სფეროს ინტერესების გათვალისწინება, შესაბამისად, ისეთი თემის არჩევა, რომელიც აქტუალური და აუცილებელია მათი განვითარებისათვის, თუმცა, რა თქმა უნდა, პროფესორის აზრისა და შეხედულებების მიხედვით და არა სხვისი ძალდატანებით.

3. აკრძალვების არარსებობა გარედან რეგულირებული ლიმიტების ფარგლებში - აღნიშნულ კატეგორიაში მიზანშეწონილობის განცდა ვრცელდება თვითრეგულირებადი ლიმიტების მიღმა და მოიცავს გარედან რეგულირებად კრიტერიუმებსა და შეზღუდვებს. გარე შეზღუდვებში პროფესორები განიხილავდნენ აკადემიური საქმიანობის განხორციელების პროცესში სამეცნიერო სტანდარტების დაკმაყოფილების აუცილებლობას, აგრეთვე მუშაობას იმ სფეროში, რომელიც კოლეგების მიერ შეფასებულია, როგორც ადეკვატური და საჭირო, აგრეთვე ყურადღებას ამახვილებდნენ შესაბამისი ეთიკის ნორმების დაცვითა და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო მითითებების გათვალისწინებით მუშაობაზე.

4. შეზღუდვების არარსებობა საერთო ინსტიტუციონალურ მხარდაჭერასთან ერთად - ამ კატეგორიაში აკადემიური თავისუფლება დანახულია მხარდაჭერის კუთხით, უფრო კონკრეტულად, მათი ხედვით, აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს სხვადასხვა ძირითადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება, მათ შორის დასახელებული იყო დაფინანსება, სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა, აგრეთვე, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ვინაიდან აკადემიური თავისუფლებით სარგებლობა და აკადემიური აქტივობების ეფექტურად განხორციელება ასეთ პირობებშია შესაძლებელი.

5. შეზღუდვების არარსებობა აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების გათვალისწინებასთან ერთად - მოცემულ კატეგორიაში გაერთიანებული

განმარტებების მიხედვით, აკადემიური თავისუფლების განხორიცელება მოითხოვს აკადემიური პერსონალის შინაგან პასუხისმგებლობასა და სხვადასხვა პროცესში ჩართულობას: მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ სოციალურ დებატებში, აგრეთვე ჩაერთონ უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტის პროცესში, ხოლო კვლევისა და სწავლების საშუალებით კი იზრუნონ საზოგადო სიკეთის წარმოებაზე.

მოცემული 5 კატეგორია ავტორების მიერ განხილულია მსგავსებისა და განსხვავებების კუთხით, კერძოდ 1-ლ, მე-2 და მე-3 კატეგორიებში მოთავსებული განმარტებები გამოდიოდა იმ შეზღუდვებისგან, რომელიც აკადემიური თავისუფლების არსებობას ხელს უშლის. მე-4 და მე-5 კატეგორია აკადემიურ თავისუფლებას განიხილავდა სხვადასხვა პროცესის უზრუნველყოფის კუთხით, კერძოდ იმისათვის, რომ პროფესორებმა ისარგებლონ აკადემიური თავისუფლებით, უნდა არსებობდეს გარკვეული სახის მხარდაჭერა, ხოლო მეხუთე კატეგორია, უფლებების გარდა, აქცენტს აკეთებდა ამ პროცესებში აკადემიური პერსონალის პირად პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე.

მოცემული კვლევა წარმოადგენს აკადემიური თავისუფლების კონცეფციის გაანალიზების პირველ მცდელობას, რომელიც ემპირიული მონაცემების დამუშავების საშუალებით განხორციელდა, მისი შედეგები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სისტემური სახით დავინახოთ და ჩვენთვის უფრო ნათელი გახდეს ის, თუ აკადემიური თავისუფლების რომელი ასპექტებია პროფესორთათვის მნიშვნელოვანი ყოველდღიური მუშაობის პროცესში.

3.3. აკადემიური თავისუფლება ევროკავშირის ქვეყნებში

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ტერენს კარანის 2007 წელს ჩატარებული კვლევა „აკადემიური თავისუფლება ევროპაში: შედარებითი ანალიზი“ (Karran, 2007). მოცემული კვლევის მიზანი იყო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უნივერსიტეტებში არსებული ვითარების შესწავლა, კერძოდ კი ის, თუ რა ხარისხით

არის თითოეულ მათგანში აკადემიური თავისუფლების დაცვა უზრუნველყოფილი. იმისათვის, რომ ქვეყნები დაეყოთ დაბალ, საშუალო და მაღალი აკადემიური თავისუფლების მქონედ, შეისწავლეს და შეაფასეს 4 ძირითადი პარამეტრი: საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ჩარჩოები; უნივერსიტეტის მმართველობის რეგულაციები და წესები (თვითმმართველობა); რექტორის დანიშვნის მეთოდები და თენუარის სისტემის არსებობა. საბოლოოდ კი, გაკეთდა ევროკავშირის 23 ქვეყნიდან მიღებული მონაცემების შედარებითი ანალიზი.

კვლევის ავტორმა ის ქვეყნები, რომელთა კონსტიტუციაც ყურადღებას ამახვილებს სიტყვის თავისუფლებასა და აკადემიურ თავისუფლებაზე (სწავლის პროცესის, კვლევისა და ავტონომიის დეტალური განხილვით) მიიჩნია აკადემიური თავისუფლების დაცვის კუთხით მაღალი ხარისხის ქვეყნად, ხოლო ის ქვეყნები, რომელთა კონსტიტუციაც მხოლოდ სიტყვის თავისუფლებას განიხილავს, მიჩნეულია აკადემიური თავისუფლების საშუალო დონეზე უზრუნველმყოფელ ქვეყნად. შესაბამისად, ის ქვეყნები, სადაც კონსტიტუცია არც აკადემიურ თავისუფლებას და არც სიტყვის თავისუფლებას არ იცავს - განიხილება დაბალი დონის აკადემიური თავისუფლების მქონედ. მაგალითად, მოცემული კრიტერიუმის კუთხით, ესპანეთში აკადემიური თავისუფლების მაღალი დონე ფიქსირდება, რადგან მის კონსტიტუციაში (1978) გარდა აზრის გამოხატვისა და გავრცელების თავისუფლებისა, ყურადღება მახვილდება ლიტერატურულ, სახელოვნებო და სამეცნიერო სფეროებში აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფაზე, ხოლო აკადემიური თავისუფლების ყველაზე დაბალი ხარისხი ჰოლანდიაში დაფიქსირდა, ვინაიდან მის კონსტიტუციაში (2002) სიტყვის თავისუფლებაზეც არ არის საუბარი. კონსტიტუციის პარამეტრით, აკადემიური თავისუფლების მაღალი ხარისხის მქონე ქვეყნებად დასახელდა: ავსტრია, ჩეხეთი, ესტონეთი, ფინეთი, უნგრეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი; საშუალო მაჩვენებლის მქონე ქვეყნებია: დენმარკი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, მალტა, შვედეთი; დაბალი ხარისხის აკადემიური თავისუფლების მქონე ქვეყნად ჰოლანდია დასახელდა. მოცემული ანალიზი ცხადყოფს, რომ ევროკავშირის ქვეყნების

ნახევარს კონსტიტუციაში გაწერილი არ აქვს აკადემიური თავისუფლების დაცვის შესახებ დებულება.

კვლევის ფარგლებში უფრო კონკრეტულად შეისწავლეს ის სხვა საკანონმდებლო ჩარჩოებიც, რომლებიც აკადემიური თავისუფლების შესახებ მოიცავს ინფორმაციას. ის ქვეყნები, რომელთა უმაღლესი განათლების კანონი მოიცავს აკადემიური საქმიანობის სფეროში ჩართული ადამიანის დეტალურად გაწერილ უფლებებსა და შესაძლებლობებს (სწავლების, კვლევის, ადმინისტრაციულ საკითხებში მონაწილეობის უფლებებსა და თითოეული აქტივობის განხორციელებისას საკუთარი სინდისისა და არა სხვისი იძულებითი მოთხოვნით მოქმედებას), და, ამასთანავე, აქცენტს აკეთებს უნივერსიტეტის ავტონომიურობაზე, ჩაითვალა აკადემიური თავისუფლების მაღალ დონეზე უზრუნველმყოფ სახელმწიფოებად. ანალიზის შედეგად, 23 ქვეყნიდან მხოლოდ 11 (ჩეხეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, ირლანდია, ლატვია, ლიტვა, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი) დასახელდა ისეთ ქვეყნად, რომელიც კანონმდებლობით აკადემიურ თავისუფლებას მაღალ დონეზე იცავს, საშუალო დაცვით დახასიათდა: ავსტრია, დანია, ესტონეთი, ლუქსემბურგი, პოლონეთი, პორტუგალია, ხოლო დაბალი ხარისხით: იტალია, მალტა, ჰოლანდია, შვედეთი, ინგლისი, საბერძნეთი.

შემდეგი პარამეტრი, რომლითაც აკადემიური თავისუფლების დონე განსაზღვრეს, იყო უნივერსიტეტის ავტონომია და თვითმმართველობა. მოცემული პარამეტრი შემდეგნაირად გაიზომა: ის ქვეყნები, რომელთა უნივერსიტეტებშიც უმაღლესი გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო შედგენილია ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის უმრავლესობისგან, პერსონალის აკადემიური თავისუფლების მაღალი დონის უზრუნველმყოფ ქვეყნებად მიიჩნიეს. აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტების მმართველობითი სისტემები და მათში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის როლი სრულიად განსხვავებულია ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში. იმ ქვეყნებში, სადაც რთული მმართველობითი ორგანოებია და გადაწყვეტილების მიღებაში სხვადასხვა ჯგუფები მონაწილეობენ, უფრო ძნელდება აკადემიური პერსონალის თავისუფლების დაცვა, რადგან მოცემული კვლევის ავტორის აზრით, აკადემიურ პერსონალს მაშინ აქვს უფრო მეტი ძალა, როდესაც მმართველობით

ორგანოში მაქსიმალური განაწილებით სარგებლობს. ამ პარამეტრით მაღალი მაჩვენებელი აქვს 13 ქვეყანას (ავსტრია, ჩეხეთი, ესტონეთი, ფინეთი, გერმანია, უნგრეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი), საშუალო მაჩვენებელი 5 ქვეყანაში (საფრანგეთი, საბერძნეთი, ლუქსემბურგი, მალტა, პორტუგალია) დაფიქსირდა, ხოლო მოცემული პარამეტრით დაბალი დონის ქვეყნებს მიეკუთვნება 5 ქვეყანა (დანია, ირლანდია, ნიდერლანდები, შვედეთი, ინგლისი).

მეოთხე პარამეტრი, რომლითაც აკადემიური თავისუფლება შეფასდა, იყო რექტორის თანამდებობაზე დანიშვნის მეთოდები. კვლევის მიხედვით, როდესაც რექტორი, რომელიც არჩეულია პროფესორ-მასწავლებელთა მიერ განსაზღვრული ვადით, ვერ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც თანამშრომელთა აკადემიურ თავისუფლებას შელახავს, ვინაიდან მას გააზრებული ექნება, რომ ამის საპასუხოდ, შეიძლება ამ თანამდებობაზე სხვამ ჩაანაცვლოს, შესაბამისად, ეს გარემოება უზრუნველყოფს აკადემიური თავისუფლების მაღალ დონეს, მაგრამ მაშინ, თუ მხოლოდ რექტორის არჩევის უფლება მიეცემათ და არ შეეძლებათ საკუთარი კანდიდატის წარდგენა, ეს შეზღუდულ აკადემიურ თავისუფლებად ჩაითვლება (karran,2007). 23 ქვეყნიდან 16 ქვეყანაში (ავსტრია, ჩეხეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი) რექტორს აკადემიური პერსონალი ირჩევს, 5 ქვეყანაში (ესტონეთი, გერმანია, ირლანდია, ნიდერლანდები, შვედეთი) აკადემიური პერსონალი იზღუდება იმით, რომ არ შეუძლიათ საკუთარი კანდიდატის წარდგენა, ხოლო 2 ქვეყანაში (დანია, ინგლისი) აკადემიურ პერსონალს რექტორის არჩევის პროცესზე არანაირი გავლენის მოხდენა არ შეუძლია.

ბოლო პარამეტრი, რომლითაც ევროკავშირის ქვეყნების აკადემიური თავისუფლება შეფასდა იყო თენუარის სისტემის საკითხი. მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ევროკავშირის ქვეყანათა უმრავლესობაში მოქმედებს თენუარის სისტემა, თუმცა აკადემიურ პერსონალს უპირობოდ იშვიათად ეძლევა თენუირებული პროფესორის სტატუსი, რადგან ეს სტატუსი მათ გარკეული გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ გადაეცემათ. უმრავლეს ქვეყანაში აკადემიურ თანამდებობებზე ინიშნებიან კონკურენციის დაძლევის შემთხვევაში. შესწავლილი

ქვეყნებიდან 12 ქვეყანაში (ჩეხეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი) მოქმედებს თენუარის სისტემა, 9 ქვეყანაში (ავსტრია, ესტონეთი, გერმანია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, სლოვაკეთი) დასაქმებულის დაცვის საშუალო დონე ფიქსირდება, ხოლო 3 ქვეყანაში (დანია, მალტა, ინგლისი) თენუარის სისტემა არ არსებობს.

აღნიშნული კვლევის მიხედვით, ხუთივე პარამეტრში მაღალი მაჩვენებელი მხოლოდ ხუთმა ქვეყანამ აჩვენა, ეს ქვეყნებია: ფინეთი, სლოვენია, ჩეხეთი, უნგრეთი ესპანეთი. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებიდან სამი ყოფილი სსრკ-ს გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფოები არიან, ხოლო ხუთივე პარამეტრის მიხედვით დაბალი დონით შეფასდა ინგლისი და ნიდერლანდები.

3.4. აკადემიური თავისუფლება ინგლისში: შედარებითი ანგარიში

ზემოთ განხილული კვლევის - „აკადემიური თავისუფლება ევროკავშირის ქვეყნებში: შედარებითი ანალიზი“ - ცხადყობს (Karran,2007), რომ სამართლებრივ დონეზე ინგლისში აკადემიური თავისუფლების დაცვის დაბალი ხარისხია, ქვეყანაში არ არის აკადემიური თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიები, გარდა ამისა აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის მინიმალური საშუალება აქვს. სწორედ ეს მდგომარეობა გახდა იმის წინაპირობა, რომ ინგლისში ჩატარებულიყო ემპირიული კვლევა „აკადემიური თავისუფლება ინგლისში: სამართლებრივი და ნორმატიული დაცვა შედარებითი ანგარიშის კონტექსტში“ (Karran & Mallinson, 2017), რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს აკადემიური თავისუფლების შესახებ პროფესორთა და მკვლევართა გამოცდილებისა და შეხედულებების გამოვლენა. კვლევის რესპონდენტებს წარმოადგენდნენ ინგლისის ერთ-ერთი პროფესიული გაერთიანების - „უნივერსიტეტისა და კოლეგების გაერთიანების“ - წევრები, რომლებიც არიან ინგლისის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორები და მკვლევრები, გარდა

ამისა, კვლევის ფარგლებში კითხვარი გაეგზავნათ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სხვადასხვა უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს.

აკადემიური თავისუფლების კუთხით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა ინგლისისა და ევროკავშირის სხვა სახელმწიფოთა უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის პასუხებს შორის. ინგლისის გამოკითხული პროფესორების უფრო მეტი ნაწილი ძლიერ ეთანხმებოდა იმას, რომ აკადემიური თავისუფლების ძირითადი ელემენტები: კვლევა, ავტონომია, უნივერსიტეტების მმართველობა და დასაქმებულთა დაცვა უზრუნველყოფილი არ არის, მაგალითად, ინგლისის პროფესორთა 35,5% აფიქსირებს თვითცენზურის არსებობის შემთხვევებს, რადგან აქვს უარყოფითი შედეგების შიში, მაგალითად იმისა, რომ არ მოხდეს მათი სამსახურეობრივი პოზიციიდან ჩამოქვეითება და გარკვეული პრივილეგიების დაკარგვა, აგრეთვე ფსიქოლოგიური წნეხი მუშაობის პროცესში ინგლისში განუცდია 26,6%-ს, ხოლო ევროკავშირის სხვა ქვეყნების აკადემიური პერსონალის მხოლოდ 15,7%-ს, ინგლისის პროფესორთა 23% აღნიშნავს, რომ განუცდია ბულინგი/დაშინება საკუთარი აკადემიური შეხედულებების გამო, ხოლო იგივე კითხვაზე დადებითად ევროკავშირის სხვა ქვეყნების აკადემიური პერსონალის მხოლოდ 14% პასუხობს.

კვლევის ძირითად მიგნებას წარმოადგენს ის, რომ აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფის მხრივ ბევრად ნაკლები დონეა ინგლისში ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 41,7% აფიქსირებდა დადებით პასუხს კითხვაზე - ჰქონდათ თუ არა აკადემიური თავისუფლების შესახებ ადეკვატური ცოდნა, თუმცა მათგან მხოლოდ 20%-ს ჰქონდა ინფორმაცია 1988 წლის განათლების რეფორმის შესახებ, რომელიც ინგლისში აკადემიური თავისუფლების დაცვას ისახავდა მიზნად. ამიტომ გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა 81,6% აცხადებს სურვილს, მიიღოს დამატებითი ინფორმაცია აკადემიური თავისუფლების კონცეფციისა და აკადემიური პერსონალის უფლებების შესახებ.

3.5. საქართველოს უნივერსიტეტების აკადემიური თავისუფლება და ავტონომია - 2013 წლის კვლევის მიხედვით

ზემოთ განხილულ კვლევაში „აკადემიური თავისუფლება ევროპაში: შედარებითი ანალიზი“ (Karran, 2007) გამოყენებული თითოეული კრიტერიუმის მიხედვით, საქართველოში არსებული აკადემიური თავისუფლების დაცულობის დონე შეფასებულია თამარ ზაალიშვილის ნაშრომში „უნივერსიტეტის ავტონომია და აკადემიური თავისუფლება“, მას განხილული აქვს საქართველოს კონსტიტუცია, უმაღლესი განათლების კანონი, უნივერსიტეტების თვითმმართველობისა და რექტორის დანიშვნის წესები.

ზაალიშვილის შეფასებით, საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული მუხლები ზოგადია და მასში არ არის საუბარი აკადემიური თავისუფლებისა და უნივერსიტეტის ავტონომიის უზრუნველყოფაზე, ხოლო რაც შეეხება „საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ“ - მისი თქმით, ის შედარებით ნათლად გადმოგვცემს აკადემიური თავისუფლების საკითხებს, რადგან მასში მოცემულია აკადემიური თავისუფლების განმარტება და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შემთხვევებშია შესაძლებელი მისი შეზღუდვა. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კონსტიტუციაში, 2017 წლის ცვლილებით, დაემატა კონკრეტულად აკადემიური თავისუფლების შესახებ არსებული დებულელებიც, რომლებსაც უფრო ვრცლად ნაშრომის მეხუთე თავში განვიხილავთ.

შემდეგი კრიტერიუმი, რომლითაც აკადემიური თავისუფლება იზომება, უნივერსიტეტის თვითმმართველობაა. ზაალიშვილის შეფასებით, კანონი უნივერსიტეტის თვითმმართველობის ზოგად გარანტიებს ქმნის და უზრუნველყოფს უფლებამოსილებების უნივერსიტეტებისთვის დელეგირებას, რადგან უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრებს ირჩევენ პერსონალის თითოეული წევრისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, ფარული კენჭისყრის საფუძველზე. თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის მართვა საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ შეზღუდულია, რადგან აკადემიურ პერსონალს დაბალი

მოტივაცია აქვს იმისა, რომ მონაწილეობა მიიღოს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და ღიად დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია, ამის მიზეზად კი სამეცნიერო პერსონალის შრომის გარანტიების არარსებობა სახელდება. აგრეთვე, აკადემიურ საბჭოებში წევრთა მცირე რაოდენობაა და უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შეზღუდულია ფაკულტეტების მონაწილეობა. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, აკადემიურ საბჭოში თითოეული ფაკულტეტიდან მხოლოდ 2 წარმომადგენელი აირჩევა, რაც საბოლოოდ იწვევს იმ სურათს, რომ მათი მონაწილეობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს იძენს.

ნაშრომში განხილულია აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესი (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 34-ე მუხლი), რომელშიც საუბარია იმაზე, რომ ეს პროცესი ღია და გამჭვირვალე კონკურსით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. თითოეულ უნივერსიტეტში კონკურსის კონკრეტულ წესებს აკადემიური საბჭო განსაზღვრავს, რომელსაც შემდეგ წარმომადგნელობითი საბჭო ამტკიცებს. შესაბამისად, პერსონალის შერჩევას უზრუნველყოფენ უნივერსიტეტები, კანონი კი მხოლოდ პერსონალის ზოგად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს არეგულირებს (განსაზღვრავს სამეცნიერო ხარისხსა და სამუშაო წლებს თითოეული აკადემიური პოზიციისათვის). ზაალიშვილის შეფასებით, ამ მხრივ უნივერსიტეტები სარგებლობენ მაღალი ავტონომიურობით, თუმცა, ამავდროულად, აღნიშნავს იმასაც, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულელები ავტონომიას იყენებენ მხოლოდ სუბიექტური ინტერესების დასაკმაყოფილებლად და არ უზრუნველყოფენ ობიექტურ კონკურსებს, რის შედეგადაც ყოფილა შემთხვევები, როცა მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები უნივერსიტეტს მიღმა დარჩენილან. რაც შეეხება რექტორის არჩევის საკითხს - ამ პროცესშიც სახელმწიფო მხოლოდ რექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს განსაზღვრავს, ხოლო დამატებითი მოთხოვნები უნივერსიტეტების წესდებით დგინდება და მისი არჩევა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს პრეროგატივაა. თამარ ზაალიშვილი მიიჩნევს, რომ მსგავსი მდგომარეობა ამ პარამეტრითაც უნივერსიტეტის მაღალ ავტონომიაზე მიუთითებს.

გარდა ამისა, მოცემულ ნაშრომში ავტორს განხილული აქვს აკრედიტაციის მექანიზმის მუშაობის საკითხები. აუცილებელია, რომ უნივერსიტეტის

საგანმანათლებლო პროგრამები აკმაყოფილებდეს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ სააკრედიტაციო სტანდარტებს, რომელიც ერთგვარად მოქმედებს მის შინაარსსა და ფორმაზე. ავტორის შეფასებით, აკრედიტაცია ხშირ შემთხვევაში, უნივერსიტეტებზე გავლენის მომხდენ ინსტრუმენტად გვევლინება, რომელსაც სახელმწიფო ფლობს.

ზაალიშვილმა მოცემული კვლევის შედეგები გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ერთ-ერთ სტატიაში ასეთი კომენტარით შეაფასა:

„საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები გამოირჩევიან მაღალი ორგანიზაციული ავტონომიურობით, მაგრამ ანგარიშვალდებულების გარანტიების არქონის გამო მაღალი ორგანიზაციული ავტონომია ვიწრო პოლიტიკური და კერძო ინტერესების ინსტრუმენტს წარმოადგენდა“ (თბილისის უნივერსიტეტი, 2013, N17,გვ.4).

თავი IV: აკადემიური თავისუფლება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მარეგულირებელ დოკუმენტებში

4.1. საქართველოს კონსტიტუცია, კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანება

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი - „ადამიანის ძირითადი უფლებები“ მოიცავს მუხლებს, რომლებშიც საუბარია სიტყვის თავისუფლებასა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზე, აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან მოცემულ თავს დაემატა 27-ე მუხლი - „განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება“, რომელშიც საუბარია განათლების მიღების, აგრეთვე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიასა და აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფაზე (საქართველოს კონსტიტუცია, 1995).

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ აკადემიურ თავისუფლებას შემდეგნაირად განმარტავს:

„აკადემიური თავისუფლება არის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება, დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა, სწავლება და სწავლა“ (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004, გვ.1).

მისი შეზღუდვა კი დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში:

„ა) სამეცნიერო კვლევის თავისუფლებისათვის –საორგანიზაციო საკითხებსა და პრიორიტეტების განსაზღვრაში; ბ) სწავლების თავისუფლებისათვის –სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში, ლექციების, ცხრილისა და სასწავლო კურსის პროგრამების დამტკიცების საკითხებში; გ) სწავლის თავისუფლებისათვის –სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველყოფაში“ (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004, გვ.7).

გარდა ამისა, დოკუმენტში ვხვდებით დებულებებს, რომლებიც კანონით განსაზღვრული მიზნების შესრულებისათვის სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს უზრუნველყოფილი, საუბარია უმაღლესი განათლების ღია ხასიათსა და ხელმისაწვდომობაზე, სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესში აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფაზე, უნივერსიტეტების ავტონომიასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში როგორც აკადემიური პერსონალის, აგრეთვე, სტუდენტების ჩართულობაზე.

საქართველოს კონსტიტუციისა და უმაღლესი განათლების შესახებ კანონის დებულებები ხაზს უსვამს აკადემიური თავისუფლების ღირებულებას და მისი უზრუნველყოფის აუცილებლობას, რაც გვაძლევს სურათს, რომ საქართველოში აკადემიური თავისუფლება დოკუმენტურ დონეზე მოწესრიგებულია.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის ძირითადი წესები, რომლებიც აკადემიური პერსონალის სამუშაოზე მოქმედებს. ერთ-ერთი მათგანია შეფასების ზოგადი ფორმა, რომელიც „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ნომერი სამი ბრძანებით არის განსაზღვრული, მასში მოცემულია, რომ სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას, სემესტრის საბოლოო გამოცდის შეფასებას. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ჩაიჭრება საბოლოო გამოცდაზე, სხვა კრიტერიუმებში მიღწეული შედეგები აღარ განიხილება და ის მაინც ჩაჭრილად ითვლება (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი, 2007).

მოცემული ბრძანება აკადემიურ პერსონალს სთავაზობს სტუდენტის შეფასების პროცესში გამოსაყენებელ იმ ძირითად წესებს, რომლებიც მათ მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს, ამიტომ სამაგისტრო ნაშრომის კვლევით ნაწილში ყურადღება გამახვილდა შეფასების ძირითადი წესების მიმართ გამოკითხული ლექტორების დამოკიდებულებაზე, რომელსაც ვრცლად სამაგისტრო ნაშრომის შემდეგ თავებში განვიხილავთ.

თავი V: აკადემიური თავისუფლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

იმისათვის, რომ გავიგოთ, რა მდგომარეობაა აკადემიური თავისუფლების კუთხით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გავეცნოთ ოფიციალური დოკუმენტებით გაწერილ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომელიც აკადემიურ პერსონალს სამუშაო პროცესში ეკისრება.

5.1. შინაგანაწესით განსაზღვრული აკადემიური პერსონალის უფლებები და ვალდებულებები

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები განსაზღვრავს თსუ-ს შრომის განაწესს, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს“. შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფის გარდა, მოცემული დოკუმენტის მიზნებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს „პერსონალის უფლებებისა და თავისუფლების განხორციელების ხელშეწყობა“. თუმცა ამ მიზნის შესაბამისი დებულება ძალიან ზოგადია და მასში არ არის საუბარი კონკრეტულად აკადემიურ თავისუფლებაზე:

“პერსონალი, გარდა ამ შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული შრომითი უფლებებისა, სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით,საქართველოს შრომის კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი ყველა სხვა უფლებით“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, გვ.7).

რაც შეეხება პერსონალის ვალდებულებებს, მოცემულ დოკომენტში, მასზე უფრო ვრცელ ინფორმაციას ვხვდებით: პირველ რიგში, პერსონალი ვალდებულია, რომ იყოს ყურადღებიანი და ზრდილობიანი მოქალაქეებთან და თანამშრომლებთან

ურთიერთობისას. აგრეთვე, ვალდებულია, რომ უნივერსიტეტში საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ, არ გაავრცელოს და გამოიყენოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას გახდა ცნობილი, ამასთანავე დაუშვებელია პერსონალისა და თსუ-ს დისკრედიტაციისკენ მიმართული რაიმე სახის ქმედება, იმის მიუხედავად, თუ სად იქნება იგი ჩადენილი. თუმცა თსუ-ს პერსონალის მონაწილეობა გაფიცვასა თუ ლოკაუტში არ ხდება იმის საფუძველი, რომ ხელშეკრულებაშეწყდეს (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა).

შინაგანაწესში ასევე ვხვდებით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ზომებს იყენებს ადმინისტრაცია გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მათ შორისაა: შენიშვნა, გაფრთხილება, ხელფასის დაქვითვა, დაბალი თანამდებობის სარგოზე გადაყვანა (მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში) და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, ამ პროცესშიგანიხილავენ არასასურველი ქცევის გამომწვევ გარემოებებსა და ამასთანავე მათ წარსულ მუშაობასა და ყოფაქცევას.

5.2. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული აკადემიური პერსონალის უფლებები და ვალდებულებები

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ფარგლებში, იმისათვის, რომ უფრო ნათელი გამხდარიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ძირითადი უფლებები და ვალდებულებები ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებიდან გამოვითხოვეთ შრომითი ხელშეკრულების ფორმა.

შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია, რომ დასაქმებულისთვის შექმნას შრომის ნორმალური პირობები, რათა აკადემიურმა პერსონალმა დაკისრებული ფუნქციებისა და ვალდებულებების შეუფერხებლად შესრულება შეძლოს, ამასთანავე ხელი შეუწყოს ისეთი პირობების შექმნას, რაც სამეცნიერო კვლევების და პროფესიული განვითარების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

რაც შეეხება დასაქმებულს, მას ხელშეკრულებით ეძლევა რიგი უფლებები, რომლებიც მას უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაო პირობებითა და ანაზღაურებით. აქვე ვხვდებით დასაქმებულის მიმართ დაკისრებულ ვალდებულებებს: პროფესორმა სწავლების პროცესი უნდა დაგეგმოს და წარმართოს შესაბამისი სამეცნიერო სფეროს უახლესი მიღწევების შესაბამისად, უნდა იზრუნოს სასწავლო მასალების განახლებაზე და სწავლების პროცესი წარმართოს თანამედროვე მეთოდოლოგიისა და მიდგომების გამოყენებით, რაც გულისხმობს სტუდენტზე ორიენტირებული და ინტერაქტიული სასწავლო გარემოს შექმნას. გარდა ამისა, პროფესორმა შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის უნდა მოამზადოს ვალიდური ინსტრუმენტი და მისი საშუალებით უზრუნველყოს სტუდენტთა ნამუშევრების შეფასება, სტუდენტებს უხელმძღვანელოს საკვალიფიკაციო ნაშრომების მომზადების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს მაგისტრის/დოქტორანტის ნაშრომის შეფასებაში.

პროფესორი ვალდებულია, რომ განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ N112/2014 დადგენილებით, 2021 წლიდან პროფესორი ვალდებული ხდება, შექმნას სამეცნიერო პროდუქცია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, რაც ქულობრივად გამოიხატება და წლის განმავლობაში 100 ქულაზე ნაკლებს არ უნდა წარმოადგენდეს (ქულები განისაზღვრება პუბლიკაციების ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

პროფესორი აქტიურად უნდა იყოს ჩართული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების პროცესში, აგრეთვე რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა თუ ფაკულტეტის დეკანის დავალებით მონაწილეობას იღებდეს საუნივერსიტეტო შეხვედრებში და სხვა კომიტეტების/კომისიების მუშაობაში, აგრეთვე ასრულებდეს ფაკულტეტის დეკანისა და ადმინისტრაციის დავალებებს, რომელიც დაკავშირებულია სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების მაღალ დონეზე წარმართვასთან.

ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი შესაძლოა გახდეს ხელშეკრულების ვადის გასვლა, საკუთარი ნებით დასაქმებულის მიერ თანამდებობის დატოვება, ხარისხის სტანდარტების დარღვევა, ნაშრომების არაობიექტური შეფასება, სილაბუსის

შინაარსიდან არსებითი გადახვევა, პროფესორის ეთიკისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენა და, ამასთანავე, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

5.3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი

უნივერსიტეტში მოქმედი ეთიკის კოდექსის მესამე თავში განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის, მასწავლებლებისა და მოწვეული პედაგოგების ძირითადი მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, უმაღლესი სკოლის მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ის, რომ შესაბამის დარგში მიმდინარე ცვლილებების საფუძველზე, პერიოდულად განაახლოს სალექციო კურსის თემატიკა, სტრუქტურა და კურსის წარმართვის მეთოდიკა, ამ პროცესში უნდა შეეძლოს უნივერსიტეტის ტექნიკის, აღჭურვილობისა და სხვა დანარჩენი რესურსების გამოყენება, რათა მისი საქმიანობა მაქსიმალურად ეფექტურად წარიმართოს, ამასთანავე, ლექტორი ხელს უნდა უწყობდეს მოსაზრებების, იდეებისა და შეხედულებების გაცვლას.

რაც შეეხება კოლეგებთან ურთიერთობას - აკადემიური პერსონალი ვალდებულია, რომ პატივი სცეს კოლეგის აკადემიურ დამოუკიდებლობას, შესაბამისად, უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მისი ნაშრომები თუ საქმიანობა სამართლიანად, ობიექტურად და შეაფასოს.

როგორც თსუ-ს მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტებიდან ჩანს, სამართლებრივ დონეზე პროფესორის აკადემიური თავისუფლების ყველა მახასიათებელი - კვლევა, სწავლება, ადმინისტრაციულ საქმიანობაში მონაწილეობა - დაცულია. ჩვენი კვლევის მიზანია დავადგინოთ, როგორია პრაქტიკულად თსუ-ს პროფესორის აკადემიური თავისუფლების ხარისხი.

კვლევითი ნაწილი

სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი მიზანია - უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების კვლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე. მოცემული მიზნის მისაღწევად, პირველ რიგში, შევისწავლეთ აკადემიური თავისუფლების შესახებ არსებული დოკუმენტები და სამეცნიერო ლიტერატურა, რომლის საფუძველზეც განვსაზღვრეთ კვლევის მეთოდოლოგია.

• კვლევის მეთოდოლოგია

მოცემული მიზნის განსახორციელებლად შერჩეულია თვისებრივი კვლევის მეთოდი. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული თემა არის სენსიტიური და მიზნად ისახავს რეალურად უზრუნველყოფილი აკადემიური თავისუფლების ხარისხის შესწავლას, კვლევისათვის გამოყენებულია გამოკითხვის თვისებრივი ფორმა - სიღრმისეული ინტერვიუ და არა, მაგალითად, ფოკუს-ჯგუფი, სადაც შესაძლოა ასეთ საკითხებზე, სხვა რესპონდენტების თანდასწრების გამო, ადამიანებს ღიად არ ესაუბრათ. სიღრმისეული ინტერვიუს არჩევის ერთ-ერთი ფაქტორი იყო ის, რომ რესპონდენტებს საკუთარი აზრები სხვადასხვა არგუმენტებით დაესაბუთებინათ, მკვლევარს კი ჰქონოდა შესაძლებლობა, რომ კვლევის ამოცანების შესაბამისად წარემართა ინტერვიუ, ყურადღება გაემახვილებინა კვლევისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც დეტალური ინფორმაციის მიღებას შეუწყობდა ხელს.

• კვლევის ინსტრუმენტი

სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა წინასწარ შედგენილი ნახევრად სტრუქტურირებული სადისკუსიო გეგმის საფუძველზე, რადგან ინტერვიუს პროცესში მიგვეღო მონაცემები კვლევის თითოეული ამოცანის შესახებ. სადისკუსიო გეგმა

შემუშავდა მეორეული ინფორმაციის (საკანონმდებლო ბაზის, საკითხის შესახებ არსებული დოკუმენტებისა და სტატიების) საფუძველზე. სადისკუსიო გეგმა დაყოფილი იყო თემატურ ბლოკებად: პირველი ბლოკი მიზნად ისახავდა აკადემიური თავისუფლების მნიშვნელობის შესახებ რესპონდენტთა მოსაზრებების გამოვლენას, მეორე ბლოკი მოიცავდა სწავლების პროცესში პროფესორთა აკადემიური თავისუფლების შესახებ კითხვებს, მესამე ბლოკის კითხვები სამეცნიერო ნაშრომებსა და კვლევებზე მუშაობის პროცესსა და მისი გამოქვეყნების საშუალებებს შეეხებოდა, მეოთხე ბლოკში წარმოდგენილი იყო ადმინისტრაციულ საკითხებში აკადემიური პერსონალის ჩართულობასთან დაკავშირებული კითხვები, მეხუთე ბლოკი - თვითცენზურისა და ცენზურის არსებობის საკითხებს და მისი არსებობის მიზეზების გამოვლენას დაეთმო, ხოლო მეექვსე ბლოკი შეჯამების სახით აკადემიური პერსონალის მოსაზრებების გამოვლენას იმის შესახებ, თუ როგორ აფასებდნენ ისინი დღეისათვის უნივერსიტეტში უზრუნველყოფილი აკადემიური თავისუფლების დონეს და აგრეთვე დამატებით რას ისურვებდნენ იმისათვის, რომ აკადემიური თავისუფლების ხარისხი უფრო მეტად გაუმჯობესებულიყო.

- **შერჩევა**

თემის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოყენებულია არაალბათური შერჩევის მეთოდი - მიზნობრივი შეჩევა, გამომდინარე იქიდან, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არის 7 ფაკულტეტი, თითოეული ფაკულტეტიდან დაგეგმილი იყო აკადემიური პერსონალის 2 წარმომადგენლის გამოკითხვა, თუმცა იმ მიზეზით, რომ ორ ფაკულტეტზე დაფიქსირდა ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულებები, გადავწყვიტეთ, რომ ჩაგვეტარებინა დამატებითი ინტერვიუებიც, რესპონდენტთა მოსაძიებლად გამოვიყენეთ პირადი კონტაქტები. სულ ჩატარდა 16 პირისპირი ინტერვიუ, თითოეულის ხანგრძლივობა 45 წუთიდან საათ-ნახევრამდე გრძელდებოდა და ჩაწერილია აუდიო ფირზე. გამოკითხული ლექტორებიდან 8 არის როგორც აკადემიური პერსონალის ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ხოლო 8 მხოლოდ აკადემიური პერსონალი, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გარკვეულწილად

დავაკვირდეთ არსებობს თუ არა მათ მოსაზრებებს შორის განსხვავება სტატუსიდან გამომდინარე.

- **მონაცემთა ანალიზი**

საველე სამუშაოს შემდეგ შეიქმნა თითოეული ინტერვიუს ტრანსკრიპტი, ხოლო მიღებული მონაცემების ანალიზი განხორციელდა თვისებრივი კონტენტ-ანალიზის საშუალებით. ანალიზის პირველ ეტაპზე მონაცემების კოდირება მოხდა, რაც გულისხმობს იმას, რომ რესპონდენტების მონათხრობებიდან გამოიყო ძირითადი ცნებები/საკითხები, ხოლო შემდეგ ეტაპზე განხორციელდა კატეგორიზაცია, რომლის ფარგლებშიც მოცემული საკითხების შესახებ ინტერვიუებით მიღებული ინფორმაცია თემატურ ფაილებში მოთავსდა. ლოკალური ინტეგრაციის ეტაპზე განხორციელდა ძირითად საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებების შეჯამება და ინტერპრეტაცია, ხოლო ბოლო ეტაპზე თემატური ბლოკების ლოგიკური თანმიმდევრობით ერთ ისტორიად გაერთიანება, რაც ინკლუზიურ ინტეგრაციას გულისხმობს (Weiss, 1994).

კვლევის ძირითადი მიგნებები

- **აკადემიური თავისუფლების ზოგადი განმარტებები თსუ-ს აკადემიური პერსონალის ხედვით**

აკადემიური თავისუფლება არის კონცეფცია, რომელზეც სხვადასხვა მოსაზრება და განმარტება არსებობს. ეს ნათლად გამოჩნდა ამ თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის ანალიზის ფარგლებშიც, როგორც ვნახეთ, სწორედ ასეთი აზრთა სხვადასხვაობის გამო ავსტრალიაში ჩატარებული კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა აკადემიური პერსონალის მიერ მოცემული ტერმინის გაგებისა და ზოგადად, მათი თვალით დანახული აკადემიური თავისუფლების შესწავლა (Akerlind & Kayrooz,2003), როგორც ზემოთ, მეორეული ლიტერატურის ნაწილში განვიხილეთ, მათთვის მნიშვნელოვანი იყო იმის გამოვლენა, თუ რა საკითხებს მოიაზრებდნენ პროფესორები აკადემიური თავისუფლების ფარგლებში. სწორედ ამიტომ სამაგისტრო ნაშრომისათვის შექმნილ სადისკუსიო გეგმაში პირველ და ერთ-ერთ მთავარ ბლოკში გაერთიანდა კითხვები, რომლებიც მოგვცემდა მონაცემებს თსუ-ს აკადემიური პერსონალის თვალით დანახულ აკადემიურ თავისუფლებაზე, კერძოდ იმაზე, თუ ძირითადად რას გულისხმობს და რა საკითხებს მოიცავს მათთვის მოცემული ტერმინი. ამ თემასთან დაკავშირებით მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიყო ორი ძირითადი მიმართულება: 1. აკადემიური თავისუფლება, როგორც შეზღუდვებისგან თავისუფლება, 2. აკადემიური თავისუფლება, როგორც მხარდაჭერა აკადემიური საქმიანობების შესრულების პროცესში.

1. **აკადემიური თავისუფლების გაგება, როგორც შეზღუდვებისაგან თავისუფლება**

პირველ მიმართულებაში გაერთიანდა აკადემიური საქმიანობის ის საკითხები, რომლებიც აკადემიური პერსონალისათვის ნებისმიერი შეზღუდვისაგან თავისუფლებას მოითხოვს, ეს საკითხებია: საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შედგენა, სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად და შემოქმედებითი მიდგომით წარმართვა, ტაბუდადებული თემების არარსებობა, კვლევითი სამუშაოების,

მათ შორის თემის განსაზღვრის, მონაცემების ანალიზისა და გამოქვეყნების პროცესებში ხელშეუხებლობა.

რესპონდენტთა ნაწილი აკადემიური თავისუფლების განმარტებას იწყებს იმ შეზღუდვებზე ყურადღების გამახვილებით, რომლებიც, მათი აზრით, აკადემიური სამუშაოს ფარგლებში არ უნდა არსებობდეს, რადგან საპირისპირო შემთხვევაში აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა ვერ მოხერხდება. ძირითადი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ აკადემიური პერსონალის მოსაზრებები არ უნდა იყოს სხვა პირების მიერ გაკონტროლებული ან რეპრესირებული, გარდა ამისა, მათ არ უნდა ეზღუდებოდეთ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შედგენის პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა, რადგან მიიჩნევენ, რომ თითოეული პროფესორის აზრის მოსმენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწავლის პროცესის განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის, ასე რომ, გამოკითხულთა უმრავლესობა აკადემიურ თავისუფლებაში მოიაზრებს აკადემიური პერსონალის შეხედულებებისა და მოსაზრებების მოსმენა-გათვალისწინებას, ისინი მიიჩნევენ, რომ ამ პროცესში მათი შეხედულებების გამოთქმა არ უნდა იყოს შეზღუდული:

„აკადემიური თავისუფლება მე მესმის ისე, როდესაც ერთი ის რომ ჩართულები ვართ პროგრამის და სილაბუსების შექმნის პროცესში, ის რომ როდესაც ვარჩევთ სწავლების მეთოდებს თუ შეფასების მეთოდებს ჩვენი აზრი არის გათვალისწინებული, შეიძლება ადამიანს ჰქონდეს გარკვეული ხედვები, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ეს კურსი, კარგ შედეგზე როგორ გავიდეთ (მედიცინის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

აქვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის პროცესში ჩართულობაზე გამოკითხულთაგან უმეტესად ადმინისტრაციის წარმომადგენლები ამახვილებენ ყურადღებას, ხოლო ის აკადემიური პერსონალი, რომელიც მხოლოდ სწავლის პროცესშია ჩართული საუბრობს მხოლოდ საკუთარი საგნის სილაბუსების შედგენაზე, მათთვის აკადემიური თავისუფლება გაგებულია, როგორც შეზღუდვების არარსებობა სილაბუსში შემავალი თოთუეული საკითხის განსაზღვრისას, ისინი ყურადღებას ამახვილებენ შესასწავლი საკითხების, მასალების,

სწავლების მეთოდებისა და შეფასების კრიტერიუმების შერჩევისას ნებისმიერი გარეშე პირის ჩარევის მიუღებლობაზე.

„შეზღუდული არ უნდა ვიყოთ არაფერში, ჩვენ როგორც გვესმის ისე უნდა ვაკეთებდეთ ამ ჩვენს საქმეს“ (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასისტენტ-პროფესორი).

„არანაირი შეზღუდვა ლექტორს არ უნდა ჰქონდეს, გარდა თვითშეზღუდვისა“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი).

რესპონდენტთა ასეთი მოსაზრებები აკერლინდისა და ქეირუზის (Akerlind & Kayrooz, 2003) მიერ შემოთავაზებული აკადემიური გაგების პირველი კატეგორიის იდენტურია, რაც აერთიანებდა იმ განმარტებებს, რომელშიც აკადემიკოსების შეუზღუდავ საქმიანობაზე იყო საუბარი, მოცემულ კატეგორიაში ავტორებს გაერთიანებული ჰქონდათ პროფესორთა ის შეხედულებები, რომლებშიც მკაფიოდ იყო დაფიქსირებული ნებისმიერი სახის კონტროლის მათთვის მიუღებლობა, იმის მიუხედავად, თუ საიდან იქნებოდა წამოსული (სახელმწიფოს თუ ადმინისტრაციის მხრიდან) და რა სახის იქნებოდა ეს კონტროლი. როგორც გამოვლინდა, აკადემიური თავისუფლების კონცეფციაზე საუბრისას, ჩვენ მიერ გამოკითხული აკადემიური პერსონალის ნაწილი სწორედ ასეთ მოსაზრებას იზიარებს.

გარკვეული აკადემიური აქტივობების, როგორც შეუზღუდავი პროცესების არსებობაზე საუბრობენ სხვა რესპონდენტებიც, თუმცა ამ შემთხვევაში, მათ დაკონკრეტებული აქვთ, რომ თავისუფლების ფარგლებში არსებობს გარკვეული ჩარჩოები, რომელშიც პერსონალმა საკუთარი აკადემიური თავისუფლება უნდა მოთავსოს, მათ მხედველობაში აქვთ თავად საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული მიზნები, მისაღწევი შედეგები და ზოგადად, საგნის კონტექსტი. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, თითოეულ საგანს თავისი სპეციფიკა აქვს, შესაბამისად, პრაქტიკული და თეორიული საგნების ერთი მეთოდით სწავლება ვერ მოხერხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ლექტორს ასე სურს:

„ბუნებრივია ლექტორი თავისუფალი უნდა იყოს მეთოდების განსაზღვრაში, თუმცა ამ თავისუფლებას ე.წ. სტანდარტები განსაზღვრავს, რადგან კლასიკური

განმარტება ხომ იცით, თავისუფლება თქვენი მთავრდება იქ, სადაც სხვისი იწყება, შესაბამისად, როცა უკვე სტუდენტის ინტერესია გასათვალისწინებელი, რომ, მაგალითად, მან იმიტირებული პროცესი უნდა გაიაროს პრაქტიკულ კონტექსტში და არა მარტო თეორია, ამ შემთხვევაში ლექტორმა ეს უნდა გაითვალისწინოს“ (იურიდიული, ასისტენტ-პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

„როცა ვამბობ ვასწავლო რაც მინდა და როგორც მინდა აქ ვგულისხმობ იმას, რომ სილაბუსი შევადგინო ისე, როგორც მე მინდა და იმის გამო, რომ ვიღაცას რაღაც თემა არ მოსწონს და ამიტომ იმ თემას მე გვერდი ავუარო, არ უნდა ხდებოდეს, ოღონდ ბუნებრივია ეს იმ ჩარჩოში, რასაც გვთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამა. რასაც მე ვასწავლი პოლიტიკურად მგრძნობიარე თემებია, შეიძლება ვიღაცეებს გაუჩნდეთ სურვილი რა, როგორ, რანაირად უნდა ასწავლო ხო? ამაში არავინ არ უნდა ჩაერიოს - ეს არის, პირველ რიგში, აკადემიური თავისუფლება“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

აღნიშნული მოსაზრებები, რომლებშიც ყურადღება მახვილდება გარკვეული წესებისა და კონტექსტის გათვალისწინებაზე, ავლენენ მსგავსებას აკერლინდისა და ქეირუზის (Akerlind & Kayrooz) მიერ გამოყოფილი აკადემიური თავისუფლების მესამე კატეგორიასთან, რომელშიც საუბარია აკრძალვების არარსებობაზე გარედან რეგულირებული ლიმიტების ფარგლებში, კერძოდ, აკადემიური თავისუფლებით სარგებლობაზე სამეცნიერო სტანდარტების, ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო მითითებებისა და ეთიკური ნორმების გათვალისწინების ფარგლებში.

რესპონდენტთა ნაწილი აკადემიურ თავისუფლებაში მოიაზრებს ტაბუდადებული თემების არარსებობას. მათი თქმით, არ უნდა არსებობდეს საკითხები, რომლებიც სრულ ჭეშმარიტებად იქნება მიჩნეული და მასზე მსჯელობა თუ განსხვავებული აზრის დაფიქსირება მიუღებლად ჩაითვლება, რადგან ასეთ შემთხვევაში შეიზღუდება ახალი კვლევებისა და მიგნებების გაცხადების შესაძლებლობა, რაც საბოლოოდ არამხოლოდ კონკრეტული ლექტორის მუშაობას,

არამედ საგანმანათლებლო პროგრესს შეუშლის ხელს, მათი მოსაზრებით, თუ გარკვეულ საკითხებს უპირობო მოცემულობად და ჭეშმარიტებად მივიღებთ და ამასთანავე, არ შევეცდებით განხილვასა ან თანამედროვე კვლევებით მათ გადამოწმებას, ჩვენ ვერ დავინახავთ ობიექტურ, არსებულ რეალობას და მხოლოდ წარსულზე დამოკიდებულნი გავხდებით:

„თუ ნებისმიერ საკითხს, რომელიც აქამდე აქსიომად იყო მიღებული და საკითხს, რომელზეც შეთანხმებული იყო მეცნიერების ნაწილი, დავტოვებთ იგივე ჩარჩოში და ამას მივიღებთ ჩვეულებრივ მოცემულობად, ეს იქნება სტუდენტის მხრიდან თუ აკადემიური პერსონალის მხრიდან, გამოდის, რომ უფრო ისტორიულ წიაღსვლებში გადავალთ, ვიდრე არსებული მდგომარეობის შეფასებაში და არსში“. (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ასისტენ-პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

მსგავსი მოსაზრებების მქონე რესპონდენტები თემების შერჩევის პროცესში თავისუფლებასთან ერთად განიხილავენ პედაგოგის კვლევითი სამუშაოს შეუზღუდავობას, მათთვის აკადემიური თავისუფლება გულისხმობს დამოუკიდებლობას არა მხოლოდ თემის განსაზღვრის, არამედ საკვლევი მეთოდებისა და საბოლოო შედეგების გამოქვეყნების პროცესში.

„აკადემიური თავისუფლება უნდა დავინახოთ ყველა ვარიანტში კვლევის, ანალიზის, მოსაზრებებისა და დასკვნების თავისუფალი გაკეთების შესაძლებლობაში“ (იურიდიული ფაკულტეტი, ასისტენტ-პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

აღნიშნული მოსაზრებები, რომლებშიც საუბარია სიახლეებისა და ჭეშმარიტებად მიღებული საკითხების განხილვასა, გადამოწმებასა და კვლევაზე, შეგვიძლია შევადაროთ ჰელენ ოსიეჯას შეხედულებებს, რომლის მიხედვითაც დღეისათვის უნივერსიტეტში შესაძლებელი უნდა იყოს ძველი პარადიგმების გადააზრება და ახალი ცოდნის წარმოშობა, რომლის ერთ-ერთ მთავარ პირობას ობიექტური კვლევები წარმოადგენს (Osieja, 2016).

რესპონდნეტთა მიერ ზემოთ მოცემული მოსაზრებების ავსტრალიაში ჩატარებული კვლევის შედეგებთან შედარებისას, ნათლად გამოჩნდა, რომ თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა თავსდება აკადემიური თავისუფლების გაგების აკერლინდისა და ქეირუზის (Akerlind & Kayrooz, 2003) მიერ ჩამოყალიბებულ პირველ და მესამე კატეგორიებში, მათ კვლევაში ამ ორი კატეგორიის საერთო მახასიათებელს წარმოადგენდა აკადემიური თავისუფლების განხილვა შეზღუდვების არარსებობის ჭრილში, სადაც პირველი კატეგორია საუბრობდა სრულ თავისუფლებაზე აკადემიური აქტივობების განხორციელების დროს, ხოლო მესამე კატეგორია აკადემიურ თავისუფლებას ათავსებდა გარკვეული სტანდარტული წესების ფარგლებში, ეს ყველაფერი იდენტურია ჩვენს კვლევაში გამოვლენილი მონაცემებისა, უფრო კონკრეტულად კი, აკადემიური თავისუფლების გაგების ჩვენ მიერ გამოყოფილ პირველ მიმართულებასთან, სახელწოდებით: „აკადემიური თავისუფლება, როგორც შეზღუდვებისაგან თავისუფლება“, მასში გავაერთიანეთ აკადემიური თავისუფლების ის საკითხები, რომლებიც აკადემიურმა პერსონალმა სწორედ შეზღუდვების კუთხიდან განიხილა, ამ მიმართულებაში გაერთიანებულ განმარტებებს მხოლოდ ერთი კრიტერიუმი განასხვავებთ, ნაწილი აკადემიური აქტივობების განხორციელების პროცესში სრულ, ინდივიდუალურ თავისუფლებაზე აკეთებს აქცენტს, ხოლო მეორე ნაწილი საკუთარ თავისუფლებას განიხილავს გარკვეული ჩარჩოებისა და საერთო სტანდარტული წესების ფარგლებში, რაც მათი თქმით, ლექტორმა კურსის დაგეგმვის დროს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ მიღებულ მონაცემებში ჭარბობს სრული ინდივიდუალური თავისუფლების უზრუნველყოფაზე აქცენტირებული მოსაზრებები შედარებით აკადემიური თავისუფლების იმგვარ გაგებასთან, რომელშიც სტანდარტებისა და გარკვეული წესების გათვალისწინებაც მოიაზრება.

2. აკადემიური თავისუფლება, როგორც მხარდაჭერა აკადემიური საქმიანობების შესრულების პროცესში

მეორე მიმართულება, რომელშიც გამოკითხული ლექტორების მიერ აკადემიური თავისუფლების განმარტებები გაერთიანდა, მოიცავს მოსაზრებებს, რომლებშიც აკადემიური თავისუფლება გაგებულია გარკვეული მხარდაჭერის უზრუნველყოფის კუთხით. მაგალითად ერთ-ერთი რესპონდენტის მიერ აკადემიური თავისუფლება განხილულია სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტის მხარდაჭერის ჭრილში, მისი

თქმით, აკადემიური თავისუფლება უზრუნველყოფილია მაშინ, როდესაც სახელმწიფოსა და უნივერსიტეტს შორის არსებობს თანამშრომლობითი ურთიერთობები, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მხრიდან მათ ფინანსურ დახმარებაში:

„თვითონ უნივერსიტეტში უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი გარკვეული თანხა სამეცნიერო კვლევებისათვის, რომელიც აკადემიურ თავისუფლებას უზრუნველყოფს.“ (ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ა).

„სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გარკვეული პროექტები და საფინანსო პოლიტიკა, რომელიც სტიმულირებას გაუკეთებს თავისუფლების ხარისხის გაზრდის თვალსაზრისით უმაღლეს სკოლაში მომუშავე პერსონალს“ (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ბ).

გარდა ამისა, გამოკითხული ლექტორები, რომლებიც აკადემიურ თავისუფლებას განიხილავენ რაიმე სახის მხარდაჭერის უზრუნველყოფის კუთხით, ყურადღებას ამახვილებენ ადმინისტრაციის მხრიდან გაწეული დახმარებების საშუალებით აკადემიური თავისუფლების შექმნაზე. ადმინისტრაციულ მხარდაჭერაში ისინი მოიაზრებენ, როგორც ფინანსურ, აგრეთვე დროსთან დაკავშირებულ საკითხებს. რესპონდენტები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ აკადემიური თავისუფლებისათვის აუცილებელია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ფინანსებისა და კვლევითი გრანტების მოძიების შესაძლებლობა, მაგალითად, მათი თქმით, გარკვეული ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ვერ მოხერხდება თანამედროვე მასალების სწავლის პროცესში ინტეგრაცია, რადგან ლექტორის მიერ დამოუკიდებლად წიგნისა თუ „რიდერების“ თარგმნა ძალიან დიდ დროსთან არის დაკავშირებული, შესაბამისად, საჭიროა თარგმნისათვის გამოყოფილი იყოს გარკვეული თანხები. მეორე საკითხი, რომლის ფარგლებშიც მხარდაჭერის არსებობა მათ აკადემიური თავისუფლების აუცილებელ კომპონენტად განიხილეს იყო დრო, მათი თქმით, ადმინისტრაციის მხრიდან გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ სამეცნიერო კვლევა დიდ დროით რესურს ითხოვს, შესაბამისად, მათ უნდა ჰქონდეთ თავისუფალი კვლევის, ახალი საკითხების შესწავლისათვის გამოყოფილი საათები, მთელი დღე სრულად არ უნდა ჰქონდეთ დაკავებული სასწავლო პროცესით, რათა პარალელურად შეეძლოთ იმ სამუშაოების

შესრულება, რაც მათთვისა და საგანმანათლებლო პროცესის განვითარებისათვის აუცილებელია:

„პროფესორის სამუშაო არ მთავრდება, სახლში რომ მიდიხარ იქაც სტუდენტების საბაკალავრო თუ სამაგისტრო ნაშრომები უნდა წაიღო, შაბათ-კვირა რომ მოდის, მაშინაც სტატიებზე უნდა იმუშაო ანუ ტვინი სულ მუშაობს, ეს მთლად კარგი არ არის“ (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, სრული პროფესორი).

„პრობლემა არის დრო, სტატიების დაწერას განუსაზღვრელად დიდი დრო სჭირდება, ნაკლები სალექციო დატვირთვა“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი).

შესაბამისად, აკადემიური თავისუფლება, როგორც მხარდაჭერის არსებობა, აერთიანებს ორ ძირითად საკითხს: ეს არის ფინანსური და დროითი დახმარება ერთი მხრივ სახელმწიფოსა და მეორე მხრივ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან. მოცემული მოსაზრებები იდენტურია აკერლინდისა და ქეირუზის მიერ შექმნილი აკადემიური თავისუფლების გაგების მეოთხე კატეგორიისა, რომელშიც გაერთიანებულია აკადემიური თავისუფლების გაგება, როგორც გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, რადგან ასეთი მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია აკადემიური აქტივობების განხორციელება ეფექტურად, რაც აკადემიური თავისუფლების არარსებობამდე მიგვიყვანს.

- **სწავლების პროცესის საერთო მოთხოვნები აკადემიური თავისუფლების ჭრილში**

აკადემიური თავისუფლების შესახებ ზოგადი განმარტებები, როგორც გამოჩნდა, ორ განსხვავებულ მიმართულებაში გაერთიანდა, თუმცა ჩვენი შემდეგი კვლევითი კითხვების მიზანს წარმოადგენდა იმის გამოვლენა, თუ რა სახის აკადემიური თავისუფლებით სარგებლობენ ლექტორები სწავლებისა და კვლევის, აგრეთვე, ადმინისტრაციული საკითხებისა და საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. შესაბამისად, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენა, თუ რეალურ,

სამუშაო კონტექსტში, როგორ აფასებენ ისინი საკუთარ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული აკადემიური თავისუფლების ხარისხს.

სწავლის პროცესის აკადემიურ თავისუფლებაზე საუბრისას გამოკითხულმა ლექტორებმა განიხილეს აკადემიური პერსონალის ძირითადი ვალდებულებები, რომლებსაც უნდა ითვალისწინებდნენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მათ განიხილეს სასწავლო მიზნების, მასალების, მეთოდებისა და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრისას არსებული მოთხოვნები და ისაუბრეს თითოეულ ამ პროცესთან დაკავშირებით საკუთარი გამოცდილების შესახებ.

1. აკადემიური პერსონალის თავისუფლების ხარისხი სასწავლო მიზნებისა და მეთოდების განსაზღვრის პროცესში

გამოკითხული რესპონდენტები საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით საუბრობენ სასწავლო კურსის მიზნებისა და მეთოდების განსაზღვრის პროცესზე. მათი უმრავლესობა ამბობს, რომ მიზანს განსაზღვრავს საგნისა და, ზოგადად, იმ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან შესაბამისობით, რომლის ფარგლებშიც მოცემული საგანი იკითხება, ამასთანავე, ამ პროცესში ითვალისწინებენ მოცემული მეცნიერების განვითარების დონესა და მასთან შესაბამისობას, რესპონდენტებიდან მხოლოდ სამმა ლექტორმა დაასახელა ქვეყნის ზოგადი პოლიტიკური მიმართულებისა და დასავლური ღირებულებების გათვალისწინების საკითხი, მხოლოდ ერთმა ისაუბრა უნივერსიტეტის მისიისა და თითოეული მიზნის მასთან შესაბამისობაზე. თუმცა მათ შორის საერთო იყო ის, რომ თითოეულ მათგანს, მიზნის განსაზღვრის დროს შეზღუდვა არც ადმინისტრაციისა და არც პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან არასდროს უგრძვნია:

„ლექტორები ვითვალისწინებთ პროგრამის ძირითად მიზანს, მნიშვნელოვანია, რომ საგნის მიზანი შესაბამისობაში მოდიოდეს პროგრამის მიზანთან და შედეგებთან“ (იურიდიული ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

„ჩემს კონკრეტულ საგნებში მიზნის განსაზღვრის დროს კაციშვილი ნეგატიურად არ ჩარეულა, თუ ჩარეულა მარტო დახმარების თვალსაზრისით“ (ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ა).

ერთ-ერთი ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ლექტორთა მიერ საგნის მიზნის განსაზღვრის თავისუფლებას შემდეგი მოსაზრებით ადასტურებს:

„ხელმძღვანელი პროგრამის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის შემდეგ სილაბუსების შექმნაში აღარ ერთვება, თუ მე უნდა ვუკარნახო ადამიანს რა ჩაწეროს საგნის სილაბუსში ის აღარ მჭირდება საგნის ლექტორად ხო?“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

თუმცა ასეთი სახის შეზღუდვების არარსებობის მიუხედავად, სამიზნე ჯგუფის ანუ სტუდენტების ცოდნის დონის გათვალისწინება ერთ-ერთ აუცილებელ და რიგ შემთხვევაში შემაბრკოლებელ ფაქტორადაა განხილული, მათი თქმით, სტუდენტთა ზოგადი ცოდნის დონე არ იძლევა ძალიან მაღალი სტანდარტების მქონე მიზნის დადგენას, ასეთი მოსაზრება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლექტორებმა დააფიქსირეს:

„გათვალისწინებული უნდა გქონდეს მოცემული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე, ამას მეტ-ნაკლებად ვცდილობთ, მაგრამ სტუდენტების ზოგადი ცოდნის დონე არ გვაძლევს ამის საშუალებას“ (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, სრული პროფესორი).

რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ დღევანდელი საგანმანათლებლო პროგრამები უფრო მეტად ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რადგან შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, დღეისათვის აქცენტი სწორედ პრაქტიკულ სწავლებაზე უნდა გაკეთდეს. როგორც გამოკითხული ლექტორები ამბობენ, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ მომავალში კურსდამთავრებული სტუდენტების უმრავლესობა მარტივად დასაქმდეს, სწორედ ამიტომ, ისინი ცდილობენ, რომ პროგრამებისა და მასში შემავალი საგნების მიზნები შეესაბამებოდეს შრომის ბაზრის კვლევის შედეგად გამოვლენილ მოთხოვნებს:

„როცა ახალი პროგრამის ინიცირებაზე იწყება ფიქრი, პირველი ფიქრობ, რომ ვისთვის უშვებ კადრს და რომ დაამთავრებს მერე რა იქნება. მაგისტრის დიპლომს ერთ სფეროში აიღებს და ეხლა მეორეში წასვლა მაინცდამაინც არ არის სასურველი ხო? ამიტომ პირველი ფიქრობ დამსაქმებლით“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მდგომარეობა მათ მიერ შეფასებული არ არის, როგორც რაიმე შეზღუდვა სასურველი მიზნების განსაზღვრის პროცესში, რადგან მათთვის ამ ყველაფრის გათვალისწინება ჩვეულებრივ მოცემულობად განიხილება. ამ მხრივ რესპონდენტების გამოთქმული მოსაზრებები შევადარეთ ქეირუზის, კინეარისა და პრესტონის მიერ 2001 წელს ჩატარებულ კვლევას (Kayrooz, Kinnear & Preston, 2001), მათ შედეგებში პროფესორთა მოსაზრებები სრულიად საპირისპირო სურათს იძლევა, ისინი მსგავსი მოთხოვნების გათვალისწინებას სწორედ აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის ჭრილში აქცევენ, რადგან, მათთვის ბაზრის მოთხოვნები სამეცნიერო სამუშაოებისა და გარკვეული მიმართულებების კლებასთან ასოცირდება.

ინტერვიუებში დაფიქსირდა შემდეგი მოსაზრებაც, რომ მიუხედავად საგნების ძირითადი მიზნების დასახვის პროცესში რაიმე შემზღუდველი ფაქტორის არარსებობისა, პროფესორები ცდილობენ მოერგონ უკვე დამკვიდრებულ ტენდენციებს. რამდენიმე ლექტორი საუბროს პროგრამების აკრედიტაციის პროცესზე, მათი თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროგრამა მოწმდება, ისინი დიდ პასუხისმგებლობას გრძნობენ თითოეული საგნის სილაბუსის შედგენის პროცესში მიზნების განსაზღვრისას, ამიტომ ისინი ხშირად სხვების გამოცდილებასა და უკვე აპრობირებულ მეთოდებს იყენებენ, ასეთი მდგომარეობა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ლექტორის მიერ შეფასებულია, როგორც სიახლის შიში, რაც განპირობებულია იმაზე ფიქრით, რომ რაიმე პრობლემა არ შეიქმნას მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში:

„უფრო თვითშეზღუდვა გვაქვს ხოლმე იმის შიშით, რომ შეცდომა არ დაუშვა, მეტნაკლებად ქვეცნოებიერად ერგები უკვე აპრობირებულ მეთოდებს, არა იმით, რომ ვიღაცამ დაგავალა ესე უნდა გაწეროო, მაგრამ იმის გამო, რომ რამე პრობლემა არ

შეიქმნას მაგალითების მსხვერპლი ვხდებით" (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ასისტენტ-პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

რაც შეეხება სწავლების მეთოდების შერჩევას, გამოკითხულთაგან, ამ შემთხვევაშიც, თითქმის არავინ საუბრობს შემზღუდველი გარემოებების მქონე გამოცდილებაზე, მათი თქმით სწავლების მეთოდების შერჩევა მთლიანად მათზეა დამოკიდებული, თითოეული ფაკულტეტიდან გამოკითხული ლექტორების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ამ პროცესში აუცილებელია სამიზნე ჯგუფის გათვალისწინება და საგნისადმი ისეთი მიდგომის შერჩევა, რაც სტუდენტებისათვის უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს გახდის პროცესს.

„მეთოდების შერჩევისას ვითვალისწინებ ჩემს გამოცდილებას და იმას, თუ რა კონტიგენტზეა გათვლილი" (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი).

„ლექტორი თავისუფლად განსაზღვრავს მეთოდებს, ამაში არავინ ზღუდავს, თუ ისეთი არსობრივი წინააღმდეგობა არ მოხდა, რომ პრაქტიკული ასწავლოს თეორიულად ან პრაქტიკულად ასწავლოს და თეორიული უნდა იყოს" (იურიდიული ფაკულტეტი, ასისტენტ-პროფესორი).

მაშასადამე, გამოკითხული რესპონდენტები სწავლების მიზნებისა და მეთოდების განსაზღვრის პროცესში თავს თავისუფლად მიიჩნევენ, რადგან მათი მთავარი ვალდებულება მხოლოდ ის არის, რომ მიზნების განსაზღვრის პროცესში გაითვალისწინონ საგნისა და პროგრამის სპეციფიკა, სწავლების შედეგზე გასასვლელად კი ეფექტური მეთოდების შერჩევა უზრუნველყონ. ერთადერთი განსხვავებული შემთხვევა, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო სწავლების მეთოდების შერჩევასთან დაკავშირებით არსებულ შემზღუდველ გარემოებებზე, შემოგვთავაზა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლექტორმა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ლექტორებს უნივერსიტეტში არ ზღუდავენ მეთოდების შერჩევასთან დაკავშირებით, ისინი მაინც ვერ სარგებლობენ არჩევანის თავისუფლებით, რადგანაც ექსპერიმენტულ მეცნიერებებში გამოსაყენებელი თანამედროვე მეთოდების

ინტეგრირება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლაბორატორიებისა და ბაზების არასახარბიელო მდგომარეობის გამო ვერ ხერხდება:

„ქიმია არის ექსპერიმენტული მეცნიერება და საშუალებებში ძალიან შეზღუდულები ვართ, გვაქვს ღარიბი ლაბორატორიები, ბაზა გვაქვს რავიცი ჩემი სტუდენტობის დროიდან მოყოლებული ძლივს ვავსებთ..“ (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,).

სწავლების მიზნისა და მეთოდების შერჩევის ფარგლებში გამოკითხულთა თქმით, არ არსებობს არასასურველი ჩარევის ფაქტები, თუმცა ისეთ ფაკულტეტებზე, რომელიც საჭიროებს ლაბორატორიულ და ექსპერიმენტულ სამუშაოებს, ლექტორები აწყდებიან ისეთი სახის შეზღუდვებს, რომელიც განპირობებულია გარემოს არახელსაყრელი მდგომარეობით, რაც ფაქტია, რომ ფინანსური მხარდაჭერის არარსებობასთან არის დაკავშირებული.

2. სასწავლო მასალების არჩევანის თავისუფლება

ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც ლექტორებმა ინტერვიუების პროცესში ვრცლად ისაუბრეს, იყო სასწავლო მასალების შერჩევის დროს მათთვის უზრუნველყოფილი თავისუფლება, უფრო კონკრეტულად, მათი თქმით, ისინი თავისუფალნი არიან განსაზღვრონ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი ლიტერატურა, რაც ერთ, ზოგად, საერთო წესს უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ, იმას, რომ მასალები იყოს თანამედროვე და საგნის სპეციფიკის შესაბამისი. გამოკითხულ ლექტორთაგან ყველა თანხმდება იმაზე, რომ, ამ მხრივ, მათი აკადემიური თავისუფლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია, მათი თქმით, ისინი თავად განსაზღვრავენ კურსის შინაარსობრივ მხარეს და იმას, თუ რა მასალებით უნდა გავიდნენ საბოლოო შედეგზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხში უნივერსიტეტი მათ არ ზღუდავს, ლექტორები მაინც აწყდებიან იმ სახის დაბრკოლებებს, როგორიცაა თანამედროვე ლიტერატურის თარგმნა, მაგალითად, მათ შესაძლოა ჰქონდეთ სურვილი იმისა, რომ სწავლების პროცესში ჩართონ უახლესი, თანამედროვე ლიტერატურა, მაგრამ ეს ვერ განახორციელონ არა იმ მიზეზით, რომ ვინმე უკრძალავთ, არამედ იმიტომ რომ, არ

არსებობს გარკვეული ხელშეწყობა და საშუალება თარგმნისა და წიგნების ლიცენზირების პროცესში:

„მასალების მხრივ, არის სირთულე, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ვერ ვიღებთ თავისუფალ გადაწყვეტილებას, უბრალოდ მასალა არ არის, ბავშვებს უნდა შესთავაზო ქართულად. მე მქონდა შემთხვევა, ორი ახალი კურსი უცაბედად ავიღე და ვიჯექი, ამ მასალებს ვთარგმნიდი, რომ „რიდერი“ მომემზადებინა. ეს არის კოლოსალური შრომა, საუბედუროდ, დიდი არჩევანი არ გაქვს, ყველა კურსზე შენ ვერ თარგმნი, ამიტომ ხშირად უნდა წახვიდე დათმობაზე, რასაც არსებული ლიტერატურა გთავაზობს.“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

აღსანიშნავია, რომ გამოკითხული ლექტორებისთვის მსგავსი მდგომარეობა განიხილება უბრალო მოცემულობად და მას, როგორც აკადემიური თავისუფლების შეზღუდვისა ან მხარდაჭერის არარსებობის კუთხით არ განიხილავენ. მსგავსი მოსაზრებები აქვთ სხვა ფაკულტეტის წარმომადგენლებსაც, თუმცა ერთი განსხვავება, რომელიც გამოიკვეთა ფაკულტეტებს შორის იყო ის, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გამოკითხულმა ლექტორებმა გამოთქვეს კმაყოფილება ბოლო დროს წიგნების თარგმნასთან დაკავშირებით:

„პირველი ეხლა, რაც უნივერსიტეტმა მე ვთვლი, რომ მიაღწია, ეს არის იმ კლასიკური სახელმძღვანელოების გამოყენება, განსაკუთრებით ბაკალავრიატში, რომლითაც სწავლობენ ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში, ცოტა რთულია თარგმნის პროცესი, თუმცა უკვე რამდენიმე კურსში მოვიპოვეთ თარგმნის უფლება, ცხადია, ეს ძვირადღირებული პროცესია“. (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, სრული პროფესორი)

„ალბათ პრობლემაა ინგლისურენოვანი მასალების გამოყენება, თუმცა ჩემს ფაკულტეტზე ნაკლებად, ძალიან ბევრი წიგნი ითარგმნა. (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ასისტენტ-პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

როგორც ჩანს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ლექტორები კმაყოფილნი არიან ლიტერატურის თარგმნის გააქტიურებული პროცესით, თუმცა აქვე აღნიშნავენ,

რომ სახელმძღვანელოების თარგმნა და გამოცემა ფინანსური სახსრების საჭიროებასთან ერთად დაკავშირებულია დროის ფაქტორთან, უფრო კონკრეტულად, იმისათვის, რომ სახელმძღვანელოს თარგმნის ლიცენზია მოიპოვო ამას რამდენიმე წელი სჭირდება, ამ პერიოდში კი შესაძლოა მოცემულმა წიგნმა აქტუალობა დაკარგოს, სწორედ ამ მიზეზით, თითოეული რესპონდენტი ფიქრობს, რომ ელექტრონული სახელმძღვანელოები და „რიდერები“ ასეთი მდგომარეობის გასამარტივებლად მაინც ყველაზე კარგი საშუალებაა:

„სახელმძღვანელოს თარგმნის ლიცენზიის მოპოვებას ყველაზე კარგ შემთხვევაში სამი წელი მაინც სჭირდება, ამ პერიოდში უკვე ამ სახელმძღვანელოს გადამუშავებული, განახლებული ვერსიებია იქ მიღებული, ამიტომ, ალბათ, რამდენიმე ნაბიჯით უკან მივყვებით ამ პროცესს“. (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ასისტენტ-პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

„თარგმნას სჭირდება ძალიან დიდი დრო, ამიტომ პროფესორები ვაკეთებთ „რიდერებს“, რომლებშიც წიგნის მხოლოდ ის ნაწილია ნათარგმნი, რაც კურსის ფარგლებში გვჭირდება, შემდეგ ამას ვაწვდით ბიბლიოთეკას ან ელექტრონულად ვტვირთავთ“ (მედიცინის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ა).

გამომდინარე იქიდან, რომ ლექტორებს კონკრეტული ლიტერატურის შერჩევის პროცესში გამოციდლებაში არ ჰქონიათ რაიმე ჩარევა ან კონტროლი გარეშე პირის მხრიდან, ისინი მასალების თარგმნის სირთულეს აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებში არ ათავსებენ, თუმცა, ამავდროულად, ფაქტია, რომ მოცემული მდგომარეობა მათ გარკვეულ ჩარჩოებში ათავსებს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ლექტორის უფლებაა თავად განსაზღვროს ლიტერატურა, მას მაინც არ აქვს არჩევანის თავისუფლება, რაც უცხოური ლიტერატურის თარგნის სირთულესთან არის დაკავშირებული, როგორც გამოჩნდა, ფაკულტეტების უმრავლესობაზე, ამ მხრივ, არ არსებობს ადმინისტრაციული მხარდაჭერა.

3. სტუდენტის შეფასების პროცესში აკადემიური პერსონალის თავისუფლების ხარისხი და მათ მიმართ არსებული მოთხოვნები

მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ რესპონდენტები სტუდენტთა შეფასების დროს გასათვალისწინებელ ვალდებულებებს ერთგვარ მაორგანიზებელ როლს აკისრებენ, ისინი მიიჩნევენ, რომ აუცილებელი და საჭიროა არსებობდეს შეფასების გარკვეული ჩარჩო და საერთო წესები, რადგან სხვა შემთხვევაში სწავლის პროცესი ქაოტურ ხასიათს მიიღებს, თუმცა ამავე დროს აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია ამ ჩარჩოს ფარგლებში არსებობდეს ლავირების შესაძლებლობა, რაც, მათი თქმით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესაძლებელია, შესაბამისად, ისინი თვლიან, რომ ამ ნაწილში მათი აკადემიური თავისუფლება შეზღუდული არ არის:

„სრულ ანარქიამდე ხო არ მივალთ, ვიღაცა ეხლა 200 ქულას დაწერს და ვიღაცა 5-ს, სახელმწიფოს რომ ქმნი უკვე ჩარჩოში ჯდები თავისთავად, თუ იმ კუთხით მივუდექით, რომ ეს ჩარჩო შეზღუდვაა, მაშინ ყველაფერი შეზღუდვაა აბსოლუტურად. რეალურად თუ გინდა რაღაც დონეზე რო გქონდეს წესრიგი - ლოკი ამბობდა, სადაც არ არის კანონი, არ არის თავისუფლებაო ხო?“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი).

მსგავსი მოსაზრება აქვს ლექტორების უმრავლესობას, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სტანდარტული ფორმა, რომელიც განსაზღვრავს სემესტრის ფარგლებში ჩასატარებელი გამოცდების აუცილებლობასა და შუალედურისა თუ საბოლოო გამოცდისათვის მისანიჭებელ მაქსიმალურ და მინიმალურ ქულებს, აკადემიური პერსონალის მხრიდან გათვალისწინებული უნდა იყოს, რადგან სხვა შემთხვევაში, თუ ლექტორები სტუდენტის შეფასების განსაზღვრისას გამოიყენებენ ინდივიდუალურ მიდგომებს, სასწავლო პროცესი დაკარგავს სისტემურ ხასიათს, ამ შემთხვევაში კი, პირველ რიგში, სტუდენტი იზარალებს, რადგან მისთვის რთული იქნება თითოეულ საგანში განსხვავებული ფორმატით სწავლა:

„არის იქ რაღაცეები, რომ გამოცდა არ შეიძლება 40 ქულაზე მეტი იყოს და 30 ქულაზე ნაკლები - მე ამით დისკომფორტი არ განმიცდია, იმიტომ რომ სტანდარტული კურსები მაქვს და მაგ ფორმატში ძალიან მარტივად ჯდება“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

„შეიძლება ინდივიდუალური მიდგომა კონკრეტული ადამიანისთვის კომფორტული იყოს, მაგრამ როცა მასას ეხება ეგრე რთულია, მასაში ყველა ინდივიდი ვართ და ყველა სხვადასხვა მიმართულებით ვხედავთ, თუ სტანდარტი არ გვაქვს“ (იურიდიული ფაკულტეტი, ასისტენტ-პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

ასე რომ, მათი აზრით, აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესში თავისუფლება გარკვეულ ფარგლებში უნდა მოთავსდეს. თუმცა ამასთანავე იგივე რესპონდენტები ამბობენ, რომ საგამოცდო საკითხებისა და დავალებების ქულების მინიჭება თავად უნდა შეეძლოთ, უფრო კონკრეტულად, მათთვის მნიშვნელოვანია თავისუფლება გამოცდაზე შესატანი საკითხებისა და თითოეული დავალებისათვის მისანიჭებელი ქულის განსაზღვრის პროცესში. ამ საკითხებზე საუბრისას, მათ აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში ეს ყველაფერი უზრუნველყოფილია და შეფასების პროცესი შეზღუდული არ არის:

“საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორი თავად ირჩევს რა შეფასების კრიტერიუმები სჭირდება, რას რა ქულა მიაწეროს, ვინმე თუ ამბობს რო არა, მე ვერ წარმომიდგენია რავიცი“(მედიცინის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ბ).

„თუ რამე გარემოებას ვითვალისწინებ შეფასების ინსტრუმენტის შერჩევისას, ეს არის მხოლოდ საგანი, სტუდენტების დონე და საჭიროება. ის რომ ვინმე მეუბნებოდეს როგორი შეფასება გამოვიყენო, ეს ჩვენს უნივერსიტეტში არ მქონია, რასაც ვერ ვიტყოდი სხვა კერძო უნივერსიტეტებში მიღებულ გამოცდილებაზე“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი).

ძალიან მცირე ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ლექტორი სრულად თავისუფალი უნდა იყოს კურსის ფარგლებში გამოცდების

რაოდენობის განსაზღვრისა და ზოგადად, მთლიანი 100 ბალიანი სისტემის საკუთარი შეხედულებისამებრ წარმართვის საკითხებში. ეს მოსაზრება გამოკითხულთაგან მხოლოდ ორმა ლექტორმა გაიზიარა, თუმცა მათგან ერთ-ერთმა ამ ყველაფერს ისიც დაამატა, რომ საქართველოში არსებული დღევანდელი მდგომარეობით ეს ყველაფერი შეუძლებელია, რადგან მსგავსი ცვლილებებისთვის არც სტუდენტი და არც აკადემიური პერსონალი მზად არ არის:

„ჩვენ რომ ვიყოთ ფრანგული საზოგადოება ან რომ ვიყოთ უფრო განვითარებულ ქვეყანაში, მე საერთოდ მოვხსნიდი გამოცდებს და რაღაც საგნებში იმ ოთხ თვეს მივცემდი ნაშრომის გაკეთების შესაძლებლობას კონსულტაციებით, თუმცა ასეთი საკითხის დაყენება არ გამოვა, იმიტომ რომ ასეა აწყობილი სისტემა“ (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ა).

შესაბამისად, გამოკითხული აკადემიური პერსონალის უმრავლესობა უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემით კმაყოფილია, რადგან მიიჩნევენ, რომ არსებული საერთო წესები მათ აკადემიურ თავისუფლებას არ ზღუდავს.

4. საგამოცდო ცენტრის როლი აკადემიური თავისუფლების საკითხში

შეფასების პროცესის ობიექტურად წარმათვაზე საუბრისას რესპონდენტების ნაწილმა დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ გამოცდები მაღლივში, საგამოცდო ცენტრის ორგანიზებით იმართება. მათი თქმით, ეს ყველაფერი ხელს უწყობს სტუდენტების მობილიზებას და აგრეთვე მათი ნაშრომების გასწორების პროცესის ობიექტურობას, ამის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად დაასახელეს ანონიმურობა, რადგან, როგორც ვიცით, მათთან ნაწერები სტუდენტის სახელის დაფარვით მიდის. გარდა ამისა, მათივე თქმით, ეს პროცესი ლექტორს ათავისუფლებს გარკვეული ვალდებულებისაგან, თავად ჩაატაროს გამოცდები, მათ მიაჩნიათ, რომ ეს არის ერთ-ერთი დიდი პასუხისმგებლობისა და ტვირთისაგან განთავისუფლება. საინტერესოა ის, რომ იმ ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომელმაც საგამოცდო ცენტრის საკითხი დადებითად შეაფასა, ამავე დროს ხაზი გაუსვა უნივერსიტეტში ამ საკითხთან დაკავშირებული განსხვავებული მოსაზრებების არსებობის ფაქტსაც, კერძოდ,

საგამოცდო ცენტრის როლი აკადემიური პერსონალის ნაწილის მიერ უარყოფითად არის შეფასებული, რადგან, როგორც ჩანს, მათთვის უფრო სასურველია გამოცდის ორგანიზება თავად ლექტორის პრეროგატივაში შედიოდეს:

„ეხლა გამახსენდა წინა საგჭოზე მსჯელობა იმაზე, რომ რატო ითხოვენ მაღლივში გამოცდების ჩატარებას, ეს არის აკადემიური პერსონალის შეზღუდვაო, მაგრამ იცი რა? ლექტორისთვის გამოცდის არჩატარება არის ძალიან დიდი ტვირთის მოხსნა, ჯერ ერთი შენ თვითონ უნდა ამობეჭდო ეს ტესტი, მერე დადგე და იარო ამ რიგებში და ტელეფონებს სდიო, ეს არ არის ჩემი საქმე“. (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

ჩვენ მიერ გამოკითხულ რესპონდენტთაგან მცირე ნაწილი მართლაც აფიქსირებს უკმაყოფილებას საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოცდებთან დაკავშირებით. ისინი თვლიან, რომ ლექტორს თავისუფლება უნდა ჰქონდეს, თავად ჩაატაროს გამოცდები, რადგან ეს უზრუნველყოფს სასწავლო კურსის მიმდინარეობის უფრო მაღალ ეფექტურობას. ერთ-ერთი ლექტორის თქმით, საგამოცდო ცენტრი ავალდებულებს ლექტორებს წინასწარ მიაწოდონ საკითხები და ტესტები, რაც მთელ რიგ პრობლემებს იწვევს, მაგალითად, შესაძლოა, რომ სწავლების პროცესი ჩამორჩეს სილაბუსს და ვერ მოხერხდეს ყველა საკითხის გავლა, საგამოცდო ცენტრისათვის წინასწარ მიწოდებულ ტესტებში კი აღმოჩნდეს ისეთი საკითხებიც, რომელთა გავლაც ვერ მოხერხდა, მისი თქმით, ეს ძალიან დიდ გაუგებრობამდე და უარყოფით შედეგებამდე მიიყვანს აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს:

„ყოველთვის მერჩივნა, რომ საგამოცდო ცენტრში არ დაეწერათ გამოცდა ჩემს სტუდენტებს, არამედ მე დამეწერინებინა, იმიტომ რომ, საგამოცდო ცენტრს უნდა გაუგზავნო ტესტი ახლა და გამოცდა არის ერთი თვის მერე, სასწავლო პროცესი ჯერ დამთავრებული არ გაქვს, როცა ტესტს იქ აგზავნი და არ იცი ჯერ როგორი იქნება შედეგი და რა უნდა მოსთხოვო სტუდენტს, ამიტომ ეს სულ მაღიზიანებს“ (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი).

როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა კმაყოფილია საგამოცდო ცენტრის სასწავლო პროცესში ჩართულობით, უნივერსიტეტში არიან ლექტორებიც, რომლებიც ამ ფაქტს უარყოფითად განიხილავენ და მიიჩნევენ, რომ ეს სასწავლო პროცესში გარკვეული პრობლემების გამომწვევი ფაქტორიც შეიძლება გახდეს, რაც არასასიამოვნოა, როგორც პროფესორის, ასევე სტუდენტისათვის. საუბარში ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ არსებობს საშუალებაც, რომ პროფესორმა თავად ჩაატაროს გამოცდები, საგამოცდო ცენტრისგან თავისუფლად, თუმცა იმ საგნებში, რომლებსაც სხვადასხვა ლექტორები ასწავლიან, გასათვალისწინებელია თითოეულის აზრი, რაც ხშირ შემთხვევაში ისევდაისევ იმით სრულდება, რომ გამოცდები არა ლექტორის, არამედ საგამოცდო ცენტრის ორგანიზებით მიმდინარეობს, რადგან უმრავლესობას ეს ფაქტი მოსწონს. ამ შემთხვევაში, ლექტორთა ის მცირე ნაწილი, რომელიც განსხვავებულ აზრზეა და საკუთარ სურვილს ვერ ახორციელებს, რჩება უკმაყოფილო და ვერ მოქმედებს თავისუფლად, ანუ, ისე, როგორც მას სურს.

5. სილაბუსების როლი სასწავლო პროცესში

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული თითოეული საგნის ფარგლებში აუცილებელია სილაბუსების შედგენა, სწორედ ამიტომ, სასწავლო პროცესზე საუბრისას, ლექტორებმა განიხილეს სილაბუსების ფუნციები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. გამოკითხული რესპონდენტებიდან ყველა თანხმდება იმაზე, რომ სილაბუსი სწავლების პროცესის მოწესრიგების საშუალებაა, ხოლო რაც შეეხება სილაბუსების შედგენის პროცესს, ამას სრულიად დამოუკიდებელ პროცესად მიიჩნევენ, რადგან მათივე თქმით, ამაში არავინ ზღუდავთ და აკონტროლებთ. რაც შეეხება მის უარყოფით მხარეს, ამ შემთხვევაში, რესპონდენტთა ნაწილი საუბრობდა სილაბუსის ფორმატით განსაზღვრული ზოგიერთი ნაწილის ფორმალობაზე, მათი თქმით, არის ისეთი პუნქტები, რომლის გაწერაც არაფერს ემსახურება და სწავლის პროცესში საერთოდ არ არის გამოყენებადი, გარდა ამისა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სილაბუსის ფორმატის ხშირი ცვლილება მათთვის გარკვეული დისკომფორტის გამომწვევია:

„თემატიკას განსაზღვრავ თავად, ყველაზე მთავარი ეს არის და იქ რაღაცა საშინელებები როა წერტილ-მძიმეები, ცოდნა-გაცნობიერება და კომპონენტები ძირითადად "copy-paste-ით" აქვს ყველას გადასმული... ბოლო პერიოდში რაც დავწერე სილაბუსები ვიჯექი და ტვინს ვახლიდი, მაგრამ ნუ ეს არ არის შეზღუდვა აკადემიური თავისუფლების, ეს არის უბრალოდ წამება მეტი არაფერი, ეს არის წვალება ამ სილაბუსების მუდმივი გადაკეთება, რომელსაც წელიწადში ერთხელ გვთხოვს ხარისხი" (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი).

სილაბუსის ფორმატებისა და მისი ცვლილებების შესახებ სხვა ლექტორებიც საუბრობდნენ, მნიშვნელოვანია ის, რომ მათთვის სილაბუსის შედგენის დროს გასათვალისწინებელი ზოგიერთი წესი და ფორმატების ხშირი ცვლილება არ განიხილება აკადემიური თავისუფლების შეზღუდვად, რადგან ისინი ამბობენ, რომ მათთვის მთავარია სწავლების პროცესის შინაარსობრივი მხარის განსაზღვრისა და მთლიანად პროცესის თავისუფლად წარმართვის შესაძლებლობა, მათი თქმით, სილაბუსში გაწერილი ზოგიერთი პუნქტი საერთოდ არ არის სწავლების პროცესში გამოყენებადი, მაგალითად, ასეთ პუნქტებად დაასახელეს კომპეტენციების გაწერის აუცილებლობა, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა თითოეული ქულის შემთხვევაში, როგორც ჩანს მათთვის სილაბუსის გარკვეული ნაწილი ფორმალურ მხარედ მიიჩნევა, რომელიც არ ემსახურება საგანმანათლებო ხარისხის გაუმჯობესებას:

„ეხლა მაგალითად 5 კომპონენტის სამზე გადაყვანა მოგვთხოვეს, ან მიზანი დაწერეთ ასე, აწმყო არ გამოიყენოთ, წარსული არ გამოიყენოთ, რაც აბსოლუტურად არის ფორმა, რომელიც ხარისხიან სწავლას არ უზრუნველყოფს, ეს ეხლა აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა კი არ არის, უფლებების შეზღუდვაა, როცა გაწერინებს იმას, რაც არ გჭირდება, დაახლოებით ექვს გვერდ სისულელეს" (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი).

„შინაარსობრივი ნაწილი, რაც მე ყველაზე მნიშვნელოვანი მგონია ამაში არ იზღუდები, ამიტომ სილაბუსებს ვერ ჩავთვლი აკადებიური თავისუფლების

შემზღუდველ ფაქტორად“ (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ა)

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ რესპონდენტები, რომლებიც სილაბუსებს საგანმანათლებლო პროცესის მომწესრიგებელ საშუალებად მიიჩნევენ, ამავე დროს, საუბრობენ ისეთ შემთხვევებზე, რომლის დროსაც სილაბუსში გაწერილი საკითხების ზუსტად განხორციელება ვერ ხერხდება, რადგან, მათი თქმით, კონტექსტის გათვალისწინება მათთვისა და ზოგადად სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის ბევრად უფრო საჭირო და მნიშვნელოვანია, ვიდრე თეორიულად გაწერილი საკითხებისა. მაგალითად, ერთ-ერთმა ლექტორმა ყურადღება გაამახვილა ძირითადი ლიტერატურის ცვლილების შემთხვევაზე, რადგან ნახა, რომ რეალურ კონტექსტში სტუდენტებმა მისი დაძლევა ვერ შეძლეს. მსგავს საკითხებზე სხვა ლექტორებმაც ისაუბრეს, უფრო კონკრეტულად, რამდენიმე ლექტორმა განიხილა მათ გამოცდილებაში არსებული ისეთი შემთხვევები, როცა სილაბუსში გარკვეული საკითხის გაწერილ საათებს გადააჭარბეს სხვადასხვა მიზეზის გამო, მათი თქმით, არის შემთხვევები, როდესაც გარკვეული თემა შედარებით რთული აღმოჩნდება სტუდენტებისათვის, რაც დამატებით განხილვასა და საათებს საჭიროებს, ამასთანავე შეიძლება საკითხი რთული არ იყოს, მაგრამ მასზე უფრო მეტი დროის გამოყოფა სტუდენტის დაინტერესებამ გამოიწვიოს. გარდა ამისა, ლექტორებმა ისაუბრეს შემთხვევებზეც, როცა სილაბუსში გაწერილი მეთოდები არსებულ რეალობას არ ერგება, ისევდაისევ სტუდენტის მზაობის მიზეზით. კიდევ ერთი გაწერილი საკითხი, რომელსაც, გამოკითხულთა თქმით, რეალურად პროფესორები არ იყენებენ არის თითოეული ქულის განსაზღვრისას სილაბუსში გაწერილი კრიტერიუმების გათვალისწინება, მათი თქმით, სილაბუსის ფორმატი აიძულებთ, რომ ნებისმიერი ქულა დასაბუთებული ჰქონდეთ გარკვეული კრიტერიუმით, რომელსაც შეფასების პროცესში ყოველთვის ვერ გაითვალისწინებ:

„რეალურად იმას არ ვარღვევ შუალედურში რამდენს ვწერთ და როგორ ფორმას მოვიტან, მაგრამ არასდროს არ ვხსნი სილაბუსს და არ ვუყურებ 5 ქულა რაში უნდა დავუწერო ან სამი ქულა რაში, ის დავწერე სილაბუსისთვის, უფრო ჰოლისტურად

ვაფასებ“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

„გასაწერია სწავლების მეთოდები, რაც ცოტა არ მომწონს იმ თვალსაზრისით, რომ ხანდახან ჯგუფი გიჩვენებს რა უნდა გამოიყენო, შეიძლება მეწეროს დისკუსია, მაგრამ ხედავდე, რომ ჯგუფი არ არის მზად ამ დისკუსიისთვის და პირველი 5 კვირა სულ არ გამოვიყენო“ (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ბ).

რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ სილაბუსის გარკვეული საკითხებიდან გადახვევის ფაქტები უნივერსიტეტში ვერ კონტროლდება, რადგან ამისათვის რაიმე სახის სპეციალური მექანიზმი არ არსებობს, თუმცა ადმინისტრაცია სტუდენტთა შეფასებების საშუალებით გარკვეული სახის ინფორმაციას მაინც იღებს, რის შემდეგაც სამომავლოდ შესაძლებელი ხდება სტუდენტების უკმაყოფილების გამომწვევი ფაქტების გამოსწორება. ხოლო თავად რესპონდენტები ასეთი ფაქტების არსებობას გარკვეულ აკადემიურ თავისუფლებად მიიჩნევენ, რადგან მათ მიერ განხორციელებული ცვლილებები და სილაბუსიდან გადახვევა ისევ სტუდენტების სასარგებლოდ კეთდება:

“ჩემი ლექცია-სემინარები მაინცდამაინც სილაბუსების მიხედვით არ ეწყობა, რადგან ვითვალისწინებ სტუდენტების მხიდან დაინტერესებას და შემოქმედებითი აქტივობების კონტექსტში საკითხების განხილვას“ (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ბ).

რესპონდენტთა მცირე ნაწილი საუბრობდა იმაზეც, რომ მათ სილაბუსშივე გაწერილი აქვთ, რომ გარკვეულმა საკითხებმა შეიძლება კურსის ფარგლებში ცვლილებები განიცადოს, მაგალითად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ლექტორმა განიხილა ერთ-ერთი საგნის სპეციფიკა, რაც იწვევს ძირითადი სასწავლო საკითხების ხშირ ცვლილებას, შესაბამისად, ამის გამო, მას საგნის სილაბუსში მითითებული აქვს, რომ გარკვეული ცვლილებები ამ კუთხით შეიძლება საჭირო გახდეს, შესაბამისად, ასეთი სახით შესაძლებელია თავიდან იყოს აცილებული სილაბუსისა და რეალურად არსებული სასწავლო პროცესის განსხვავებები:

„მე მქონდა მითითებული, რომ საგნის სპეციფიკის გამო შესაძლოა სტუდენტებს მიეწოდოთ მასალა საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, ისე რო თავი არ მოვიტყუოთ“ (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ასისტენტ-პროფესორი).

როგორც ჩანს სილაბუსში გაწერილი საკითხების დიდი ნაწილი, რესპონდენტთა მოსაზრებით, ფორმალურ ხასიათს ატარებს, მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსს სასწავლო პროცესის მაორგანიზებელ ფაქტორად მიიჩნევენ, მათთვის სტუდენტების ინტერესი და მოცემული კონტექსტის გათვალისწინება ბევრად მნიშვნელოვანია, ამიტომ არ ერიდებიან სილაბუსში გაწერილი აქტივობებისგან გადახვევას, ისინი ამბობენ, რომ, ამ მხრივ, უნივერსიტეტს არ აქვს გამაკონტროლებელი მექანიზმი, შესაბამისად, შეუძლიათ, რომ სრული თავისუფლებით იმოქმედონ.

6. საერთო სილაბუსების შექმნის პროცესში არსებული შეზღუდვები

სილაბუსებზე საუბრისას, რესპონდენტები საუბრობდნენ იმ კურსებზეც, რომლებსაც რამდენიმე ლექტორი ერთდროულად კითხულობს. გამოკითხული ლექტორებიდან ყველა თანხმდება იმაზე, რომ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია კოლეგებთან ერთად მოცემული საკითხების განხილვა და შედეგად საერთო სილაბუსზე შეთანხმება, თუმცა, როგორც აღმოჩნდა არსებობს შემთხვევები, როცა ეს ვერ ხერხდება, რესპონდენტთა უმრავლესობა კოლეგებთან წარმოქმნილი უთანხმოებების პირად მაგალითებს არ განიხილავს, თუმცა რამდენიმე ინტერვიუს ფარგლებში ზოგი მათგანი საუბრობს თანამშრომლებს შორის არსებული კონფლიქტების შესახებ, მაგალითად, მედიცინის ფაკულტეტის ლექტორმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ კათედრაზე საერთო სილაბუსის შექმნის პროცესში ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვა და საბოლოოდ ისე მოხდა, რომ კურსი ორი განსხვავებული სილაბუსით წაიყვანეს, თუმცა მისი თქმით, ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათად იჩენს თავს, რადგან თუ ეს ყველაფერი ინტენსიურ ხასიათს შეიძენს ის სტუდენტთა უკმაყოფილების გამომწვევ მიზეზად იქცევა. მსგავს შემთხვევაზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ლექტორმაც ისაუბრა, რომელიც ამ პროცესს უარყოფითად აფასებს:

„მრავალი სილაბუსის არსებობამ მთელი რიგი პრობლემები წარმოშვა, განსაკუთრებულად სტუდენტებში. ასეთ დროს მათ საგამოცდო საკითხებიც სხვადასხვა აქვთ და თუ მაგალითად მობილობა მოხდება ერთი ჯგუფიდან მეორეში რა ქნას სტუდენტმა? გარდა ამისა ბაზისთვის ძნელია ერთი და იგივე საგანში 5 სხვადასხვა შეფასების კრიტერიუმის აღქმა“ (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, სრული პროფესორი).

ის ლექტორები, რომლებიც ერთი საგნის ფარგლებში არსებული სხვადასხვა სილაბუსის არსებობას ეწინააღმდეგებიან, მიიჩნევენ, რომ კოლეგებთან შეთანხმება და კონსესუსი არ არის მათი აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა, რადგან აუცილებელი არ არის ყველაფერი ისე წარიმართოს, როგორც ერთ ადამიანს სურს, მათი თქმით, აკადემიური თავისუფლებით ასეთ დროსაც შეიძლება ისარგებლო:

„ზოგადი სილაბუსი კონსესუსით უნდა იყოს მიღწეული, მაგრამ აკადემიური თავისუფლების მეტი რა გვაქვს? რა ტონით წაიკითხავ, რომელ დამატებით მასალას მიაწვდი, რომელ მეთოდს უფრო ეფექტიანად გამოვიყენებ და ა.შ.“ (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, სრული პროფესორი).

სხვა რესპონდენტების თქმით, არის შემთხვევები, როცა კოლეგებიდან იმ ადამიანის მოსაზრება იმარჯვებს, რომელსაც თანამდებობრივი პოზიციის გამო უფრო მეტი ძალაუფლება აქვს, გარდა ამისა ყოფილა შემთხვევები, როდესაც თანამშრომლები თანხმდებიან იმ მოსაზრებაზე, რომელიც ასაკით მათზე უფროს კოლეგას ეკუთვნის:

„საერთო სილაბუსის შექმნის პროცესში მართლა ინტენსიური შრომა მიდის, თუმცა არ არის მარტივი პროცესი, არის რაღაც ძალაუფლებრივი ჭიდილიც. თუ უფრო ავტორიტეტულია ან ასაკით დიდი, იმასთან გიწევს რაღაც დათმობებზე წასვლა“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთო სილაბუსის ჩამოყალიბების პროცესში გამოკითხული ლექტორები აკადემიური თავისუფლების სრული ხარისხით ვერ სარგებლობენ, რადგან ამ პროცესში დამოკიდებულნი არიან არამხოლოდ საკუთარ, არამედ კოლეგების მოსაზრებებსა და შეხედულებებზე, განსაკუთრებით,

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას არსებობს სხვადასხვა ფაქტორის (პოზიციისა და ასაკის) გავლენის შემთხვევებიც, რაც თავისუფალი პროცესის შემაფერხებელი ხდება.

7. საგნმანათლებლო პროგრამის შედგენის პროცესში აკადემიური პერსონალის ჩართულობა

კვლევის ფარგლებში ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის პროცესში პროფესორთა აკადემიური თავისუფლების ხარისხის დადგენა. შესაბამისად, სადისკუსიო გეგმა მოიცავდა კითხვებს, რომლებიც მოგვცემდა ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების მიმდინარეობისა და ამ მხრივ გამკითხული რესპონდეტების გამოცდილების შესახებ.

გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამას ამ საქმიანობით დაინტერესებული პროფესორების ჯგუფი ქმნის, შემდეგ ეტაპზე მისი განხილვა ხდება კომიტეტის სხდომაზე, რომლის შემადგენლობაში არიან, როგორც პროფესორები და სტუდენტები, აგრეთვე დამსაქმებლები. მას შემდეგ, რაც პროგრამა დააკმაყოფილებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს, ის დასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოს გადაეცემა. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ინფორმაცია რესპონდენტებიდან მხოლოდ იმ ლექტორებმა მოგვაწოდეს, რომლებიც ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არიან დანიშნული, ხოლო ისინი, ვინც მხოლოდ სასწავლო პროცესში არიან ჩართული ამ პროცესებზე დეტალურად არ საუბრობენ, შესაბამისად, გაგვიჩნდა ვარაუდი, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის პროცესით ისინი ნაკლებად ინტერესდებიან, რაც შემდეგში დაგვიდასტურდა სხვადასხვა ფაკულტეტის ლექტორებთან საუბრისას.

როგორც მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი ამბობს, პროგრამის განახლებისა თუ ახალი პროგრამის შედგენის პროცესისათვის შექმნილია კურიკულუმის კომიტეტი, რომელშიც შედის აკადემიური პერსონალი, ასევე სტუდენტი და დამსაქმებელი, თუმცა მიუხედავად ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი

და ხარისხის სამსახური ამ პროცესებში უფრო მეტად არის ჩართული იმ მხრივ, რომ სწორედ ისინი ეცნობიან თანამედროვე ტენდენციებს ამ ყველაფრის დაგეგმვისათვის, შესაბამისად, ისინი ქმნიან პროგრამის ძირითად სტრუქტურას და მხოლოდ ამის შემდეგ ერთვებიან პროცესში აკადემიური პერსონალის დანარჩენი წარმომადგენლები, რათა საბოლოო ერთ საერთო აზრზე შეთანხმდნენ. ამის მიზეზად ლექტორების თავისუფალი დროის სიმცირე სახელდება, რის გამოც მათ არ აქვთ პროგრამისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის მეთოდების შესახებ გარკვეული ცოდნა და გამოცდილება, რადგან თანამედროვე მოთხოვნების სწრაფი ცვლილება ამ პროცესში მუდმივ ჩართულობას ითხოვს. როგორც მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, ასეთი მდომარეობის გამომწვევი მიზეზია ექიმთა დატვირთული მუშაობა კლინიკებში, რომლის გამოც ხშირად მათთვის მეორეხარისხოვანი ხდება სასწავლო პროცესის მეთოდებისა და ზოგადად პროგრამებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. მისი თქმით, მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაცია დაინტერესებულია, რომ ამ პროცესში ლექტორების მეტი ჩართულობა უზრუნველყოს, თუმცა დროის ფაქტორის გამო ამის განხორციელებას ვერ ახერხებენ. ამის გამო სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების გაწერაც პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის სამსახურის მიერ ხდება და ლექტორების ჩართვა უკვე შედგენილი მიზნის განხილვითა და მათ მიერ რჩევების გაცემის გზით ხდება:

"სიმართლე გითხრათ, სასწავლო კურსის მიზნების განსაზღვრას ძირითადად პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხი აკეთებს, თუმცა ჩვენ მაგალითად დავუძახეთ ჩვენს პერსონალს, დავურიგეთ შედეგები და ვუთხარით, რომ ჩვენ ეს დავწერეთ, იმიტომ რომ თქვენ არ გაქვთ ფიზიკურად იმის დრო დაჯდეთ და შედეგი დაწეროთ, ეს არის ახალი სტანდარტების მიხედვით, მიმოვიხილეთ სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი პროგრამები და ეს არის ჩვენი შედეგები და ვთხოვთ შემდეგ იმათ, რომ გვითხარით თქვენი მოსაზრება" (მედიცინის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი).

მსგავს ვითარებაზე საუბრობს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლექტორი, რომელიც ამბობს, რომ სხვა სამსახურით დაკავებული ლექტორები პროგრამის შექმნის პროცესებში ჩართვის სურვილს არ გამოხატავენ, ის ამბობს, რომ ამ პროცესში ლექტორების მხოლოდ 1/4 -ია ჩართული:

„ჩვენს პირობებში ლექტორები მრავალფეროვანი დასაქმებით გამოირჩევიან, ამიტომ დაახლოებით ¼ იქნება ისეთი, ვინც ვიცი რომ მოვა, წაიკითხავს, რჩევას მოგცემს, შეასწორებს“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ სანამ ადმინისტრაციის წევრი გახდებოდა, თავადაც, როგორც მხოლოდ სასწავლო პროცესში ჩართული პროფესორი, მსგავსი საკითხებით არ ინტერესდებოდა:

„უნივერსიტეტში მე მეგონა, რომ ჩემი ვალდებულება იყო მხოლოდ ლექციის წაკითხვა და ის, რომ ჩემი, როგორც აკადემიური პერსონალის როლი ზოგადად პროგრამის შედგენაში ან ფაკულტეტის საქმეებში, ამაზე ჩემი ინფორმირებულობა იყო ნოლზე დაბალი,“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი)

ფაქტორი, რომლითაც აკადემიური პერსონალის მონაწილეობა იზღუდება პროგრამების შექმნაში, სხვა ძირითადი სამსახურის გამო დროის უქონლობაა, შესაბამისად, ამ პროცესში ადმინისტრაციის უფრო მეტი ჩართულობის გამომწვევ მიზეზადაც სწორედ ეს სახელდება და არა რაიმე ძალაუფლებრივი გავლენები. დამატებით, მედიცინის ფაკულტეტის ერთ-ერთი ლექტორი საუბრობს იმაზეც, რომ მათი ფაკულტეტი საერთაშორისო აკრედიტაციას გადის და ექსპერტები ამოწმებენ იმასაც, თუ რამდენად ჩართულნი იყვნენ პროგრამის შექმნაში ლექტორები, შესაბამისად, მათი თქმით, ადმინისტრაცია ყველაზე მეტად არის დაინტერესებული იმით, რომ აკადემიური პერსონალი ნამდვილად მონაწილეობდეს პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, შესაბამისად, მათი მხრიდან სხვა ლექტორების ჩართულობა არანაირი ფორმით არ იზღუდება, რადგან ეს მათ ინტერესებში არ შედის:

„ის ექპერტები რომ ჩამოვლენ, ის ეძახის თითოეულ აკადემიურ პერსონალს, თითოეულ ლექტორს და ეკითხება - რა მონაწილეობა მიიღო პროგრამის შექმნაში, ბოლო შეხვედრა რა თემაზე ჰქონდა, რეალურად შენ რაც ფურცელზე გიწერია იმას არკვევს მართლა მიიღო თუ არა მონაწილეობა, ეს მოწმდება, მაქსიმალურად

ვცდილობთ, რომ ჩავრთოთ ისინი და მათგან დამოუკიდებლად არ იყოს ეს გაწერილი“ (მედიცინის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი).

შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხულთა მოსაზრებით, აკადემიური პერსონალის ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის პროცესში ადმინისტრაციის ან სხვა გარეშე პირის მიერ შეზღუდული არ არის, თუმცა მათ ნაკლებ დაინტერესებას ლექტორების დროის სიმცირე იწვევს, რადგან მათი უნივერსიტეტის გარეთ არსებული სამსახურეობრივი საქმიანობა არ აძლევთ იმის საშუალებას, რომ მსგავს პროცესებზე ორიენტირდნენ.

- **კვლევითი საქმიანობის თავისუფლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში**

ჩვენს ძირითად ამოცანას წარმოადგენდა იმის გამოვლენა, თუ რა ფაქტორები მოქმედებს აკადემიური პერსონალის კვლევით სამუშაოზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოცემულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად, სადისკუსიო გეგმის ერთ-ერთ ბლოკში გაერთიანდა კითხვები, რომლებიც შეეხებოდა სამეცნიერო ნაშრომის/საკვლევი თემის შერჩევის, მასზე მუშაობისა და გამოქვეყნების პროცესებს. გამოკითხულმა ლექტორებმა ისაუბრეს, ამ მხრივ არსებულ, როგორც პირად, ასევე კოლეგების გამოცდილებაზე.

1. **სამეცნიერო ნაშრომისა და საკვლევი თემის შერჩევის პროცესში თსუ-ს ლექტორების აკადემიური თავისუფლება**

თითოეული ფაკულტეტიდან რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ სამეცნიერო ნაშრომისა თუ კვლევის თემის შერჩევის დროს თავისუფალია რაიმე სახის შემზღუდველი მოსაზრებების გავლენისაგან, მათი თქმით, უნივერსიტეტში არ დაფიქსირებულა რაიმე თემის სხვისი ინტერესების გამო შეზღუდვის ფაქტები. უმრავლესობა ამბობს, რომ თემის შერჩევის დროს ითვალისწინებს საკუთარ

ინტერესებს, ამასთანავე, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ თემა იყოს აქტუალური, მოცემული სფეროსა და, ზოგადად, ქვეყნის განვითარებისათვის გამოსადეგი:

„საკითხი ჩემთვის, სტუდენტისთვის, ქვეყნისთვის აქტუალური, საჭირო, და გამოსადეგი უნდა იყოს“ (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ასისტენტ-პროფესორი)

„მე თანამედროვე ისტორიის სპეციალისტი ვარ და სამეცნიერო თემის შერჩევის დროს ვითვალისწინებ იმას, რაც დღეს ქვეყანას სჭირდება, მაგალითად, ის, რაც დღეს გარეჯში ხდება, აი, ეს თემები, რაღაცნაირად უნდა გამოვლინდეს“ (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ა)

ასეთი მოსაზრების მქონე რესპონდენტები ამბობენ, რომ პოლიტიკური ინტერესების გამო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გარკვეული თემები არასდროს „დაბლოკილა“, მათი თქმით, აკადემიური პერსონალის ნაშრომზე პოლიტიკის გავლენა მხოლოდ მაშინ შეიძლება იგრძნობოდეს, თუ თავად ავტორს აქვს რაიმე რადიკალური შეხედულება, რადგან, ასეთ დროს, მას შეუძლია კვლევის კითხვარი ისეთი მიდგომით შეადგინოს, რომ სასურველი პასუხები და შედეგები მიიღოს, რაც შეეხება, ამ მხრივ, გარეგანი ჩარევის ფაქტებს, ეს ყველა რესპონდენტმა უარყო:

„თუ თვითონ აქვს ძალიან განსაზღვრული პოლიტიკური ხედვები, ურთულესი იქნება ეს ხედვები გამიჯნოს თავისი ნაშრომისგან, ყველა ეტაპზე, დასმული კითხისასაც, მიღებული პასუხის ინტერპრეტაციისასაც, ხშირად ეს გაუცნობიერებლად ხდება და გარე ზეწოლა თსუ-ში ნამდვილად არ გამიგია, რო ეთქვათ ეს შედეგი დადეო, რა სისულელეა“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

„მიზანმიმართული პოლიტიზირება თვითონ უნივერსიტეტში ეს გამორიცხულია, იმიტომ რომ ის მაკონტროლებელი მექანიზმები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროს იყო აღარ არსებობს“ (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ა).

რესპონდენტებმა ასევე ისაუბრეს საკვლევი თემის შერჩევის დროს არსებულ ეკონომიკურ გარემოებებზე. ამ შემთხვევაში ისინი საუბრობენ უნივერსიტეტის მიერ ფინანსური მხარდაჭერის სიმცირეზე, ამ მხრივ, განსაკუთრებულ შეზღუდვებზე აქცენტს აკეთებენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის ლექტორები, მათი თქმით, ექსპერიმენტული კვლევები მოითხოვს მატერიალური ბაზების, ლაბორატორიების გამართულობას, მათი თქმით, უნივერსიტეტში არ არსებობს ამ ყველაფრისათვის საჭირო პირობები, ამიტომ იძულებულნი ხდებიან არჩევანი თეორიულ საკითხებზე გააკეთონ:

„კვალიფიკაციური ნაშრომი ქიმიაში შეუძლებელია გაკეთდეს, რეაქტივი არ არის, ხელსაწყოები არ არის, აპარატურა... ბევრი პრობლემაა“ (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, სრული პროფესორი).

„შეიძლება ძალიან გაინტერესებდეს, ძალიან საინტერესო იყოს, აქტუალური, მაგრამ იმიტომ რომ არ გაქვს შესაბამისი ბაზა ამას ელემენტარულად ვერ გააკეთებ, ამიტომ მიულწეველი მიზნის დასახვას ჯობია ისეთი მიზანი დაისახო, რომელიც მიღწევადია, ასეთ დროს თეორიულ თემებს ირჩევენ“ (მედიცინის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი).

რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ აუცილებელია სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის მხრიდან არსებობდეს მეტი მხარდაჭერა, რადგან სხვაგვარად მეცნიერების განვითარება შეუძლებელია. მათი თქმით, განხორციელება იმ კვლევებისა, რომელიც დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული დამოკიდებულია მხოლოდ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსებზე. რაც შეეხება, ამ მხრივ, უნივერსიტეტის მხარდაჭერას, რესპონდენტების ნაწილი დადებითად განიხილავდა იმ საგრანტო პროექტებს, რომელიც უნივერსიტეტის ფარგლებში იძლევა სტუდენტისა და ლექტორის მონაწილეობით გარკვეული მცირე კვლევების დაფინანსების შესაძლებლობას:

„გარკვეული ფინანსების მოძიების საშუალებას ჩვენი ფაკულტეტი იძლევა, მე ორჯერ მქონდა ამის შანსი, კვლევითი გრანტები გვაქვს, რომლის პირდაპირი მოთხოვნაც არის, რომ სტუდენტიც ჩართო ამ კვლევით პროექტში, ძალიან კარგი

კვლევები ჩავატარეთ ორივეჯერ“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი).

„არის სხვადასხვა პროგრამები, მათ შორის ფაკულტეტზეც, მიმდინარე ეტაპზე 6 პროექტი მუშავდება, ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა გახლავთ ის, რომ სტუდენტი უნდა იყოს ამ კვლევაში ჩართული, რაც მისთვის დიდი გამოცდილებაა“ (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, სრული პროფესორი).

მიუხედავად იმისა, რომ კვლევითი პროექტების არსებობა აკადემიური პერსონალის მიერ დადებითად არის შეფასებული, ისინი ამბობენ, რომ უნივერსიტეტს არ აქვს შესაძლებლობა ყველა კვლევა დააკმაყოფილოს, რის გამოც ბევრი მათგანი პროექტს მიღმა რჩება, ასეთ დროს ისინი ან უარს ამბობენ მოცემული კვლევის განხორციელებაზე ან ისეთ მეთოდს ირჩევენ, რომელიც ნაკლებ ფინანსებს მოითხოვს, ამ შემთხვევაში, საუბარი იყო რაოდენობრივის ნაცვლად, თვისებრივი მეთოდით მონაცემების შეგროვება-ანალიზზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მეთოდის ცვლილებაც არ ზრდის კვლევის განხორციელების შესაძლებლობას, მაშინ ისინი იძულებულნი ხდებიან სასურველ თემაზე უარი თქვან და მეტად ორიენტირებულნი გახდნენ იმ თემებზე, რომელიც გრანტის მიღების მეტ საშუალებას ქმნის:

„არის მეინსტრიმული მიმდინარეობები, რომლებზეც წერა ნიშნავს იმას, რომ მეტი შანსი გაქვს ამაზე მოიგო გრანტი და დაგაფინანსონ“. (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

რესპონდენტთა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს დროის ფაქტორზეც, რომელიც ხშირად ხდება მათთვის სასურველ კვლევით სამუშაოებზე უარის თქმის მიზეზი, ისინი ამბობენ, რომ სალექციო საათებისა და სტუდენტების დიდი რაოდენობის გამო აღარ რჩებათ დრო სტატიებისა და სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისათვის:

„როცა ლექციებით ხარ დატვირთული, ეს ლექცია ხო ის არ არის, შეხვიდე, წაიკითხო და გამოხვიდე, ამას სჭირდება მომზადება, მუდმივად უნდა იმუშავო შენს თავზე, პლუს ამას ნაშრომების გასწორება, ხელმძღვანელობა, თუ ამ საქმეებს პასუხისმგებლობით უდგები, მაშინ დრო აღარ გრჩება, ეს ხო ის არ არის - ჰოპ, მოვრჩი

ლექციის წაკითხვას და ეხლა სტატიას დავწერ, ესე არ გამოდის, ამას სჭირდება ფიქრი, მომზადება...“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი)

რესპონდენტთა გარკვეულმა ნაწილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ფარგლებში კვლევების ჩატარების ნაცვლად ორიენტირებულნი არიან საბაზრო კვლევებზე, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციისა ან პირის დაკვეთით ფინანსდება. ამ საკითხებზე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ასევე ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა ისაუბრეს. მათი თქმით, არსებული ფინანსური მდგომარეობის გამო ისინი იძულებულნი ხდებიან მეტი ყურადღება საბაზრო ან უნივერსიტეტის გარეთ მიმდინარე კვლევებს დაუთმონ, ამ პროცესში დადებითად განიხილავენ იმ ნაკლებად ხშირ შემთხვევებს, როცა მოცემული კვლევებიდან შეიძლება რაიმე სამეცნიერო მიგნებაც აღმოაჩინონ, რასაც შემდეგ სტატიების პროცესში გამოიყენებენ ხოლმე.

2. სამეცნიერო ნაშრომების, კვლევებისა და სტატიების გამოქვეყნების პროცესში თსუ-ს ლექტორთა აკადემიური თავისუფლება

სტატიებზე საუბრისას გამოკითხული ლექტორების უმრავლესობამ ისაუბრა მათი ნაშრომების გამოქვეყნების პროცესზე, ამ შემთხვევაშიც, ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორად ფინანსები დასახელდა. მათი თქმით, იმისათვის, რომ სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნდეს, ისინი საკუთარ ფინანსურ სახსრებსა და შესაძლებლობებს იყენებენ. ერთ-ერთი ლექტორი არსებულ მდგომარეობას უფრო პოზიტიურად განიხილავს და ისეთი მაღალრეიტინგული ჟურნალების არსებობაზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც სტატიის გამოქვეყნებისათვის საფასურს არ ითხოვენ, თუმცა, მიუხედავად ამისა, საუბარში ისიც დააფიქსირა, რომ უცხოენოვან ჟურნალებში გამოქვეყნებისათვის საჭიროა ტექსტის მეცნიერული, მაღალი დონის თარგმანი, სამწუხაროდ, უნივერსიტეტი ლექტორებს, ამ მხრივაც, ვერ ეხმარება.

რაც შეეხება სტატიის დროს თემისა და გარკვეული შედეგების „დაბლოკვას“, რესპონდენტები ამბობენ, რომ მსგავსი შემთხვევები მათ გამოცდილებაში არ ყოფილა:

„თსუში ოღონდ კვლევა დაწერე შენ, გამოაქვეყნე, სადმე დაბეჭდე და რეიტინგი აიმაღლე, რა მნიშვნელობა აქვს მაგას“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევით ნაწილში თსუ-ს გამოკითხული რესპონდენტები, არ იზღუდებიან რაიმე სახის იდეოლოგიური შეხედულებების გამო, თუმცა ფინანსურად არასახარბიელო მდგომარეობის მიზეზით ხშირად უწევთ თემისა და საკვლევი მეთოდების შეცვლა, გარდა ამისა, სწორედ ამ მიზეზით, გამოკითხულ ლექტორთა ნაწილი სამეცნიერო კვლევით სამუშაოზე უარს ამბობს და ძირითად სამუშაო დროს უთმობს უნივერსიტეტს გარეთმიმდინარე კვლევებს, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციის დაკვეთითა და დაფინანსებით მიმდინარეობს. მათ მიერ დასახელებული მეორე ფაქტორი, რომელიც კვლევითი სამუშაოს შემზღუდველია აღმოჩნდა დრო, რაც განპირობებულია სალექციო საათებისა და სტუდენტების დიდი რაოდენობის გამო.

- **თსუ-ს აკადემიური პერსონალის ცენზურისაგან თავისუფლება**

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის სადისკუსიო გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბლოკში გაერთიანებული გვქონდა ცენზურასთან დაკავშირებული კითხვები, რომელთა საშუალებითაც მივიღეთ ინფორმაცია საჯარო გამოსვლების, სასწავლო პროცესისა და კოლეგებთან აზრის დაფიქსირების საკითხებზე.

1. პროფესიული სტატუსის გამო არსებული ცენზურა/თვითცენზურა

გამოკითხული ლექტორები მოცემულ თემებზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში და საჯარო გამოსვლების დროს მათი პროფესიული სტატუსის გავლენაზე. უმრავლესობა ამბობს, რომ პროფესორობა გარკვეული პასუხისმგებლობის მქონე სტატუსია და მაშინ, როდესაც რაიმე აზრს

აფიქსირებენ, ყოველთვის ითვალისწინებენ, რომ ისინი უნივერსიტეტის წარმომადგენლები არიან, ამ გარემოების გამო, რესპოდენტთა ნაწილი საუბარში ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ჰქონია შემთხვევა, როცა ასეთი დამოკიდებულების გამო თავი შეუკავებია გარკვეული მოსაზრების საჯაროდ თქმის პროცესში:

„ჩვენი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელს და მათ შორის მეც, როცა უნივერსიტეტის გარეთ ვართ, ჩვენ ვერ მოვიქცევით რომელიმე უმნიშვნელო ინსტიტუტის წარმომადგენელივით, ეს მეტი პასუხისმგებლობაა“ (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ბ).

გარდა საჯარო გამოსვლების დროს თავშეკავებისა, რესპონდენტთა ნაწილი საუბრობს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გარკვეული შეზღუდვების არსებობაზე, მაგალითად, რამდენიმე მათგანი ამბობს, რომ ისინი სოციალურ ქსელშიც არ გამოირჩევიან გარკვეული სტატუსებით, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს შეიძლება შემდეგ განხილვის საგანი გახდეს სტუდენტებისა:

„ელემენტარულად „ფეისბუქ“ სტატუსსაც არ ვწერ, თვითცენზურაა, პროფესიული სტატუსის გამო. მაგალითად, მე ვარ სპორტის თავგადაკლული ფანი, ყოველ წუთას რა განცდებიც მაქვს ისინი რომ ვწერო, ერთი წუთი წარმოიდგინე.. მეორე დღეს ლექციაზე შედიხარ ხო?“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი).

ამ მოსაზრების მქონე რესპონდენტი მის ასეთ დამოკიდებულებას ხსნის პიერ ბურდიეს თეორიით, რომლის მიხედვითაც ეს ყველაფერი არის გარკვეული ჰაბიტუსი ანუ იმ წესებისა თუ ნორმების ერთობლიობა, რომელიც არ არის დადგენილი, თუმცა მაინც ითვალისწინებ გარკვეული კუთვნილების, ამ შემთხვევაში, პროფესორის სტატუსის გამო. გამოკითხული ლექტორების ძირითადი ნაწილის დამოკიდებულება სწორედ ამ მოსაზრების მსგავსია, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ მიერ გარკვეული სახის თვითშეზღუდვები განხილულია არა, როგორც გარედან მიწოდებული ან შემზღუდველი კონტექსტის შედეგი, არამედ საკუთარი შეხედულებების გავლენით არსებული მდგომარეობა.

2. სასწავლო პროცესში ლექტორთა მიერ აზრის დაფიქსირების თავისუფლება

საჯაროდ აზრის დაფიქსირების გარდა, რესპონდენტებმა განიხილეს სასწავლო პროცესის დროს, ამ მხრივ, არსებული მდგომარეობა. მათი ნაწილი აცხადებს, რომ ლექციებისა და სემინარების მიმდინარეობის დროს, ძალიან თავისუფლად და მკაფიოდ აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებებს, ასეთი მიდგომის მქონე რესპონდენტები ფიქრობენ, რომ სწორედ აზრთა გაცვლის საშუალებითა და გულწრფელობით არის შესაძლებელი ის, რომ ჭეშმარიტებამდე და სწორ აზრამდე მიხვიდე, ისინი ამბობენ, რომ ლექციაზე ყველა ის თემა შეიძლება განიხილო, რაც სტუდენტის ინტერესს იწვევს, თუმცა, ამ პროცესში, უნდა გაითვალისწინო დროის ფაქტორი, რადგან სალექციო დრო მთლიანად სხვა საკითხების განხილვაში არ გავიდეს.

რესპონდენტთა მეორე ნაწილს სრულიად განსხვავებული ხედვები აქვს, ისინი მიიჩნევენ, რომ პროფესორობა გულისხმობს ძალიან დიდ პასუხისმგებლობას, ამიტომ თითოეული აზრის დაფიქსირებისას მათ უნდა გაითვალისწინონ ყველა ის გარემოება, რამაც შესაძლოა სტუდენტზე გავლენა მოახდინოს, მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ ლექტორები გარკვეულწილად სტუდენტებისთვის მისაბაძ ადამიანებს წარმოადგენენ, ამიტომ აზრის დაფიქსირების დროს რადიკალურები არ უნდა იყვნენ, ამით შეიძლება მიმართულება შეუცვალონ სტუდენტს ან ისეთი აზრი დააფიქსირონ, რაც მათ განაწყენებას გამოიწვევს:

„ზოგადად ვთვლი, რომ ლექტორი არის სანიმუშო, განსაკუთრებით ბაკალავრიატში, ამიტომ, მგონია, რომ შენი პოზიციის, კონკრეტულად შენს სუბიექტურ აზრს როცა გამოხატავ, ამით შეიძლება გავლენა მოახდინო სტუდენტებზე“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

გამოკითხული რესპონდენტებიდან ყველა თანხმდება იმაზე, რომ არ არსებობს რაიმე გარეშე შეზღუდვები სასწავლო პროცესში აზრის დაფიქსირების დროს, თუმცა ისინი გარკვეულ თემებზე რადიკალური მოსაზრებების გამოთქმას ისევ სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე ერიდებიან.

3. კოლეგებთან ურთიერთობის პროცესში არსებული ცენზურისა და თვითცენზურის შემთხვევები

რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ კოლეგებთან ურთიერთობისა და მათი ნაშრომების შეფასების პროცესში გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს, მათი თქმით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნებისმიერი რჩევა და ჯანსაღი კრიტიკა განიხილება, როგორც თავდასხმა ან შეურაცხყოფა, გამოკითხული ლექტორები ამბობენ, რომ აღნიშნული კონტექსტის გამო ხშირად თავი შეუკავებიათ საკუთარი აზრის მკაფიოდ დაფიქსირებისგან, ამის მიზეზად კი კოლეგებთან ურთიერთობის გაფუჭების არასასურველობას ასახელებენ:

„არ გამოდის ჩვენთან, რა თქმა უნდა, პირადი ურთიერთობების გამო, არ მითხრას რომელიმე ლექტორმა რომ გამოდის, ეგ არის ტყუილი“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი).

რესპონდენტა მიერ დასახელებული მეორე მიზეზი, რომელიც საკუთარი აზრის დაფიქსირების ნაკლებობას ხსნის არის ამ პროცესის არაეფექტურობა, ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს შემთხვევას, როცა სამართლიანმა შეფასებამ, რომელიც კოლეგის მიერ პლაგიატს შეეხებოდა, არანაირი შედეგი არ გამოიღო და ყველაფერი ისევ ისე დარჩა, როგორც იყო, ამით კი ისევდაისევ პირადი ურთიერთობების გაფუჭებამდე მივიდნენ:

„სკანდალებიც მომხდარა, იმიტომ რომ ამხელა წიგნი პლაგიატი იყო, თანამშრომელმა ეს ამხილა, მაგრამ მერე რა? ის წიგნი მაინც გამოვიდა, ძაღლი ჰყეფს და ქარავანი მიდის, აი, ეგ არის“ (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასისტენტ-პროფესორი).

მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანი ხაზს უსვამს იმას, რომ კოლეგებს შორის ნაშრომების შესახებ აზრთა გაცვლა და რჩევების გაცემა ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი პროცესია, რადგან ეს ყველაფერი პროფესიულ განვითარებას უწყობს ხელს, თუმცა, როგორც ჩანს, ხშირ შემთხვევაში, ეს ყველაფერი ვერ ხერხდება, ნაწილი ამას თვითცენზურითა და პირადი თვისებებით ხსნის, ხოლო ნაწილისთვის ეს არსებული კონტექსტის ანუ უნივერსიტეტში არსებული ორგანიზაციული კულტურით

არის განპირობებული. ძალიან მცირე ნაწილი ამბობს, რომ მათ სრული თავისუფლება აქვთ და ყოველთვის მკაფიოდ აფიქსირებენ აზრს კოლეგის ნაშრომებთან დაკავშირებით, მსგავსი აზრი იურიდიული ფაკულტეტისა და მედიცინის ფაკულტეტის ლექტორებმა გამოთქვეს, თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მსგავსი ფაქტებისგან მხოლოდ მოცემული ორი ფაკულტეტია თავისუფალი.

- **ადმინისტრაციულ საკითხებში აკადემიური პესონალის ჩართულობის შესაძლებლობები**

ლიტერატურის ანალიზის ეტაპზე, სხვადასხვა დოკუმენტისა და კვლევების განხილვის ფარგლებში, ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ აკადემიური თავისუფლების მაღალი ხარისხის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი ადმინისტრაციულ საკითხებსა და საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აკადემიური პერსონალის ჩართულობაა, შესაბამისად, ერთი ბლოკი სწორედ ისეთ კითხვებს მოიცავდა, რომელიც პროფესორების ასეთ საკითხებში ჩართულობის შესაძლებლობებსა და, ამ მხრივ, არსებულ ზოგად მდგომარეობას გამოავლენდა.

ადმინისტრაციულ საკითხებში ჩართულობაზე არაერთგვაროვანი მოსაზრებები დაფიქსირდა, აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები აქცენტს აკეთებენ ადმინისტრაციული საკითხების, კომისიებისა და კომიტეტების პროცესებში სრულიად თავისუფალი ჩართვისა და მონაწილეობის შესაძლებლობაზე, მათი თქმით, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, რომ დაესწროს მსგავს შეხვედრებს და გამოთქვას საკუთარი აზრი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით (როგორც შეხვედრებზე, აგრეთვე წერილობით). აქვე აღნიშნავენ იმას, რომ უნივერსიტეტში არსებობს წარმომადგენლობითი დემოკრატია და სწორედ აქედან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ სრულიად ბუნებრივია, თუ ყველა ლექტორი მათი წევრი ვერ გახდება, მათი მოსაზრებით, ეს არ არის აკადემიური პერსონალის აზრებისა და სურვილების გამოთქმის შემაბრკოლებელი ფაქტორი, რადგან მათ შეხედულებებს უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ექცევა. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ ლექტორები, რომლებიც

მხოლოდ სასწავლო პროცესში არიან ჩართულნი არ ინტერესდებიან ადმინისტრაციული საკითხებით, ასეთი მდგომარეობა კი, მათი აზრით, გამოწვეულია ორი ძირითადი მიზეზით, პირველი არის ის, რომ აკადემიურ პერსონალს უბრალოდ არ აქვს დაინტერესება და სურვილი, რომ მოცემულ საკითხებში ჩაერთოს, ხოლო მეორე მიზეზია ის, რომ უნივერსიტეტში არსებული დაბალი ანაზღაურების გამო მათ აქვთ სხვა ძირითადი სამსახურები, რაც არ უტოვებთ საშუალებას, რომ აღნიშნულ თემებს გარკვეული დრო დაუთმონ:

„ვის უნდა მონაწილეობა? ხელფასი დაბალია, სხვადასხვა ადგილებზე მუშაობენ და ასეთი საკითხებისთვის ინტერესი და დრო არ აქვთ“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ასოცირებული პროფ., ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

რაც შეეხება, ამ საკითხების შესახებ აკადემიური პერსონალის დამოკიდებულებას, ისინი ფიქრობენ, რომ ადმინისტრაიულ თანამდებობებს იკავებენ ერთი და იგივე პირები, რაც მათი მხრიდან უარყოფითად არის შეფასებული, გარდა ამისა, საუბრობენ აკადემიური პერსონალის იმ აქტიურ ნაწილზე, რომელთაც არ ეძლევათ შესაძლებლობა, რომ გარკვეული ცვლილებები განახორციელონ, რადგან მათი წერილობითი მიმართვები ადმინისტრაციასთან დიდ შედეგს არ იძლევა, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოკითხულთაგან პირად შემთხვევებზე და გამოცდილებაზე არავის უსაბრია, მათი თქმით, ისინი მსგავსი საკითხებით არ ინტერესდებიან, ხოლო ზემოთ მოცემული მოსაზრებების გამოთქმისას მხოლოდ კოლეგების მაგალითები მოჰყავთ.

- **შრომითი ხელშეკრულებისა და რეალობის შესაბამისობა აკადემიური პერსონალის ხედვით**

შრომით ხელშეკრულებებზე არსებული კითხვებით ნათელი გახდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას მოცემული დოკუმენტი წაკითხული არ აქვს, თუმცა ის ნაწილი, რომელიც ხელშეკრულებისა და რეალობის შესაბამისობის საკითხებზე ვრცლად საუბრობს არაერთგვაროვან მოსაზრებებს გვთავაზობს. გამოკითხულ

ლექტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ შრომითი ხელშეკრულება მოიცავს ისეთ პუნქტებს, რაც ნებისმიერი პოზიციის აკადემიური პერსონალის მიერ წაკითხვის გარეშეც შესრულებული უნდა იყოს, რადგან, მათი თქმით, მოცემული ვალდებულებები და მოთხოვნები ელემენტარულ ეთიკის საკითხებს მოიცავს:

„ისეთ პირობით, მარტივ თემებზეა ლაპარაკი, რომელიც არ უნდა გააკეთოს პედაგოგმა და არ უნდა ჩაიდინოს, ეს დაუწერლადაც უნდა ჰქონდეს გათავისებული“ (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ასისტენტ-პროფესორი, ადმინისტ.).

რესპონდენთა უმრავლესობა ამბობს, რომ მოცემული ხელშეკრულება აკადემიურ პერსონალს რაიმე შემზღუდველ ჩარჩოში არ აქცევს, თუმცა, კითხვაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფს ხელშეკრულებაში გაწერილი დებულებები აკადემიური თავისუფლების კუთხით თსუ-ში არსებული რეალობის ნათლად დანახვის საშუალებას, რესპონდენტები ამბობენ, რომ ამის გაგება მხოლოდ მუშაობის პროცესშია შესაძლებელი, მათი თქმით, აკადემიურ თავისუფლებაზე თსუ-ს დოკუმენტებიდან დიდ ინფორმაციას ვერ მიიღებ. რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ, ამ მხრივ, უმჯობესია გარკვეული დებულებები უფრო მკაფიო და დეტალური იყოს, რადგან პროფესორს სამუშაოს დაწყებამდე შეეძლოს განსაზღვრა იმისა, თუ როგორ პირობებში იმუშავებს მომავალში.

- **აკადემიური პოზიციის მოპოვებისათვის არსებული კონკურსების მიმდინარეობა აკადემიური თავისუფლების ჭრილში**

კონკურსები, რომლებიც აკადემიური პოზიციის მოპოვებას ემსახურება, რესპონდენტთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგი მათგანისათვის ის საგანმანათლებლო პროცესის ერთგვარ მაორგანიზებელ საშუალებას წარმოადგენს, ამ მოსაზრების მქონე რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ კონკურენცია და გარკვეული მოთხოვნები ლექტორების პროფესიულ განვითარებას ემსახურება,

რადგან, როდესაც არსებობს გარკვეული მოთხოვნა, ლექტორი იძულებული ხდება, რომ მუდმივად ფორმაში იყოს და აქტიურად ჩაერთოს სამეცნიერო საქმიანობაში:

„როცა ვიღაცა რაღაცის ვალდებულებას განგისაზღვრავს და ამოწმებენ შენს აქტივობას, უკვე გაქვს ამ მოლოდინის გამო კეთების ვალდებულება“ (იურიდიული ფაკულტეტი, ასისტენტ-პროფესორი).

მიუხედავად ასეთი შეფასებისა, თითოეულმა რესპონდენტმა ისაუბრა იმაზეც, რომ აკადემიური პერსონალი გარკვეულწილად დამახინჯებული ფორმით აღიქვამს მოცემულ პროცესს, ისინი უფრო მეტად გადართულნი ხდებიან იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი სტატია და სამეცნიერო ნაშრომი შექმნან, რამდენიმე რესპონდენტმა საუბარში ახსენა, რომ ამის გამო ლექტორები სხვისი ნაშრომის ავტორებადაც ეწერებიან, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ თავად კონკურსის სპეციფიკა განსხვავებულია და არ შეესაბამება იმას, რასაც პროფესორები ფიქრობენ, მათი თქმით, კონკურსებში მნიშვნელოვანია ხარისხიანი სტატიებისა და ნაშრომების წარდგენა და არა რაოდენობა, თუმცა, როგორც ჩანს, აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი მაინც სტატიების რაოდენობაზეა ორიენტირებული, ეს მდგომარეობა კი გამოკითხული რესპონდენტების მიერ უარყოფითად არის შეფასებული. ერთ-ერთი ლექტორი გამოთქვამს სურვილს, რომ ის ჩანაცვლდეს ატესტაციით, სადაც დასაწყისშივე განსაზღვრული იქნება ნაშრომებისა და აქტივობების მინიმალური რაოდენობა, ის ფიქრობს, რომ ეს ერთადერთი გამოსავალია, თუ გვსურს, რომ პროფესორები ხარისხზე ორიენტირებულნი გახდნენ.

რაც შეეხება კონკურსის ფარგლებში კომისიის მიერ პროფესორების შეფასებას, რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს პროცესი არც თუ ისე გამჭვირვალეა, რაც ხშირ შემთხვევაში, აკადემიური პერსონალის განაწყენებას იწვევს, გარდა ამისა დაფიქსირდა მოსაზრებაც, რომ შესაძლოა არსებობდეს შემთხვევები, როდესაც წინასწარ იციან ვინ რა პოზიცია უნდა დაიკავოს. გამოკითხულთა ნაწილი ფიქრობს, რომ ეს თემა გადახედვას საჭიროებს, ერთ-ერთი რესპონდენტი მოცემული მდგომარეობის გამოსწორების კუთხით, საკუთარ რეკომენდაციებსაც გვთავაზობს, ის ამბობს, რომ მიმდინარე კონკურსების კრიტერიუმების შედგენის პროცესში

მონაწილეობა აკადემიურმა პერსონალმაც უნდა მიიღოს, ასეთ შემთხვევაში, ისინი მომავალში უფრო მეტ ნდობასა და მზაობას გამოხატავენ.

- **თენუარი აკადემიური თავისუფლების კონტექსტში**

ლიტერატურის ანალიზის პროცესში, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ამერიკისა და ევროპის რიგ ქვეყნებში თენუარის სისტემა განიხილება, როგორც აკადემიური თავისუფლების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი, რადგან ის გარკვეულწილად პროფესორს გარანტიას აძლევს, რომ არაობიექტური მიზეზებით სამუშაოს დაკარგვა არ დაემუქრება, სწორედ ამიტომ გადავწვიტეთ, რომ აკადემიური თავისუფლების კვლევის ფარგლებში, ეს ძირითადი საკითხი ყურადღების მიღმა არ დაგვეტოვებინა.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზის შედეგად, აშკარა გახდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა, გარდა ერთი ლექტორისა, ამ პროცესს უარყოფითად აფასებს, ისინი ფიქრობენ, რომ თენუარის შემოღებით, კადრების გაახალგაზრდავება ვერ მოხერხდება, გარდა ამისა, ის შეიძლება არსებული აკადემიური პერსონალის გაზარმაცების განმაპირობებელი ფაქტორიც გახდეს, მათი თქმით, როდესაც იცი, რომ საფრთხე არ გემუქრება, ამ შემთხვევაში, აღარ ცდილობ მეტი და მეტი აკეთო, რაც განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანისათვის დამღუპველია:

„მე რომ ვიცოდე, მაგალითად, რომ სულ პროფესორი ვიქნები, შეიძლება არაფერი არ გავაკეთო, ადამიანი ხო ზარმაცია?!“ (მედიცინის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფ.)

ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ აზრს აფიქსირებს მხოლოდ ერთი ლექტორი, რომელიც ამბობს, რომ თუ თენუარის პოზიცია ატესტაციას დაექვემდებარება, ეს არ გამოიწვევს იმ შედეგს, რაზეც ზემოთ იყო საუბარი, მისი თქმით, თენუარის სტატუსი უსაფრთხოების განცდას ბადებს, რადგან ასეთ დროს დამოკიდებული არ ხარ რომელიმე გარეშე პირის სუბიექტური დამოკიდებულებების ცვლილებაზე.

ფაქტია, რომ ჩვენს მიერ გამოკითხული ლექტორები თენუარის სისტემის დანერგვას უარყოფითად აფასებენ და მასზე, როგორც აკადემიური თავისუფლების უზრუნველმყოფ საშუალებაზე მხოლოდ ერთი ლექტორი აკეთებს აქცენტს.

- **აკადემიური თავისუფლების გაუმჯობესების კუთხით აკადემიური პერსონალის მიერ გამოთქმული მოსაზრებები**

სადისკუსიო გეგმის ბოლო კითხვა, რომელიც აკადემიური თავისუფლების გაუმჯობესების კუთხით პროფესორთა სურვილების გამოვლენას ისახავდა მიზანს, გვაწვდის იმ ძირითად ინფორმაციას, რომელიც შეიძლება ინტერპრეტირდეს, როგორც გარკვეულწილად მათ მიერ იმ პრობლემების დასახელება, რომლის მოგვარებაც, მათი აზრით, აკადემიური თავისუფლების ხარისხის ზრდას შეუწყობს ხელს.

მნიშვნელოვანია, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის გაზრდას მთელი რიგი პრობლემების გადამჭრელ საშუალებად განიხილავს, მათი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტი აკადემიურ პერსონალს უზრუნველყოფს მაღალი ხელფასით, მაშინ მათი ძირითადი ნაწილი იძულებული არ იქნება, პარალელურად სხვა სამსახურში დასაქმდეს, ეს გაზრდის, როგორც პროფესორთა სამეცნიერო მუშაობის დროს, ასევე მათ ენთუზიაზმს , რომ მომავალში უფრო მეტად ჩაერთონ უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვან პროცესებში, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამებისა და ადმინისტრაციული საკითხების განხილვაში. ერთ-ერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ თუ ლექტორები თავის ძირითად დროს მთლიანად უნივერსიტეტსა და სამეცნიერო საქმიანობას დაუთმობენ, ამით უფრო მეტად იქნებიან ორიენტირებულნი არსებული პრობლემების გაუმჯობესების პროცესში ჩაერთონ, მისი თქმით, აკადემიურ პერსონალს აქვს ძალიან დიდი ძალა იმისათვის, რომ უნივერსიტეტის მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეცვალოს. გარდა ამისა, ლექტორებმა ისურვეს გარკვეული კაბინეტების, ლაბორატორიებისა და ტექნიკური აღჭურვილობისათვის უფრო მეტი ფინანსური მხარდაჭერის არსებობა, მათი თქმით, სასწავლო და კვლევით პროცესში სრული აკადემიური თავისუფლებით სარგებლობა გაუმჯობესებულ პირობებს მოითხოვს.

მეორე ფაქტორი, რაც რესპონდენტთა უმრავლესობის მიერ სურვილებში დასახელდა, იყო სალექციო დროის შემცირება, რათა უფრო მეტი დრო დარჩეს სამეცნიერო კვლევებისა და სტატიების დამუშავებისათვის, მათი თქმით, კვლევითი სამუშაოების გაზრდა ისევდაისევ უნივერსიტეტისა და სხვადასხვა სფეროს განვითარებას ემსახურება. აქვე აღნიშნავენ, რომ მოცემული სურვილი მაინც ფინანსებთან არის დაკავშირებული, რადგან, იმისათვის, რომ ასეთი დატვირთვა შემსუბუქდეს, უფრო მეტი ლექტორის დასაქმება გახდება საჭირო, რაც ამ ეტაპზე, უნივერსიტეტის არსებული ფინანსური მდგომარეობით შეუძლებელია.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა გამოთქვა სურვილი, რომ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, თითოეულ ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის ანონიმური გამოკითხვა ჩატარდეს, რადგან უფრო მკაფიო და ნათელი გახდეს მათი სურვილებისა და არსებული პრობლემების გამოვლენა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნული რესპონდენტი ცენზურისა და ადმინისტრაციული საკითხების განხილვისას სრულ თავისუფლებასა და შეუზღუდავ შესაძლებლობებზე აკეთებდა აქცენტს, რაც გარკვეულ ეჭვებს წარმოქმნის სოციალურად სასურველი პასუხების შესახებ, თუმცა, რა თქმა უნდა, ამას დარწმუნებით ვერ ვიტყვით.

გარდა ამისა, რესპონდენტთა ნაწილმა უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირა აკადემიური პერსონალის მონიტორინგის შესახებ, მათი თქმით, ლექტორები არ უნდა კონტროლდებოდნენ მსგავსი სამსახურების მიერ, რადგან მათ მიმართ მეტი ნდობა უნდა არსებობდეს. ამ მოსაზრებას ერთ-ერთი რესპონდენტი ხსნის იმით, რომ შესაძლოა სასწავლო პროცესი ითხოვდეს სხვადასხვა ლოკაციაზე სტუდენტების წაყვანას და ის წესი, რომ განსაზღვრულ დროს განსაზღვრულ აუდიტორიაში უნდა მიმდინარეობდეს სწავლება, მის მიერ გარკვეულ შემზღუდველ ფაქტორად არის აღქმული.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ რამდენიმე ლექტორმა ისურვა იმ დოკუმენტაციისა და ანგარიშების შემცირება, რასაც მათგან ადმინისტარცია ითხოვს. ამ შემთხვევაშიც, მოცემული სურვილი ლექტორებმა იმით ახსნეს, რომ პროფესორის სტატუსი გარკვეული ნდობის გამომწვევი ფაქტორი უნდა იყოს.

დასკვნები

კვლევის ფარგლებში თსუ-ს აკადემიური პერსონალისგან მივიღეთ ინფორმაცია მათი სასწავლო პროცესის, კვლევითი სამუშაოებისა და ადმინისტრაციული საკითხების შესახებ. თითოეული საკითხი მათ განიხილეს აკადემიური თავისუფლების ჭრილში. სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით გამოვლინდა ისეთი თემებიც, რომლებიც კვლევის დიზაინის ფარგლებში განსაზღვრული არ იყო.

პირველ რიგში, გამომდინარე იქიდან, რომ თავად ლიტერატურაშიც აკადემიური თავისუფლების განმარტებები ერთმანეთისგან განსხვავდება, გადავწვიტეთ, რომ გამოგვევლინა თსუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ ამ ტერმინის შესახებ არსებული მოსაზრებები, შედეგად, ნათელი გახდა, რომ ლექტორთა ნაწილს მოცემული კონცეფცია ორი განსხვავებული მიმართულებით ესმის. რესპონდენტთა უმრავლესობა მას განიხილავს, როგორც შეზღუდვებისაგან თავისუფლებას, ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ აკადემიური თავისუფლება არის გარკვეული სახის მხარდაჭერის არსებობა აკადემიური საქმიანობების შესრულების პროცესში სახელმწიფოსა და ადმინისტრაციის მხრიდან.

ტერმინის განსაზღვრის შემდეგ, ლექტორებმა ისაუბრეს სასწავლო მიზნების, მასალების, მეთოდების შერჩევისა და სტუდენტთა შეფასების პროცესში არსებულ შესაძლებლობებსა და დაბრკოლებებზე. მათ მიერ საკუთარი გამოცდილების გაზიარების საშუალებით, გამოვლინდა, რომ უმრავლესობას ამ პროცესებში რაიმე გარეშე ზეწოლა არ უგრძვნია, თუმცა ისეთი საკითხები, როგორებიცაა თარგმნისათვის საჭირო ფინანსების ნაკლებობა და მატერიალური ბაზების გაუმართავობა, უარყოფითად აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე. მათი თქმით, ასეთ პირობებში, ვერ ხერხდება თანამედროვე ლიტერატურისა და ლაბორატორიული სამუშაოების სასწავლო პროცესში ინტეგრირება, ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდი უკმაყოფილება მედიცინის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების ლექტორებმა გამოთქვეს. შესაბამისად, მიუხედავად ძალაუფლებრივი გავლენების არარსებობისა, ამ

მხრივ, აკადემიური თავისუფლება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ არის მაღალ დონეზე უზრუნველყოფილი.

სასწავლო პროცესზე საუბრისას, რესპონდენტებმა განიხილეს სილაბუსების საკითხი, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მას აქვს სწავლების მაორგანიზებელი დანიშნულება, თუმცა, ამ მოსაზრების მიუხედავად, მათი თქმით, სილაბუსის ფორმატი მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და შეუძლებელია თითოეული გაწერილი პუნქტის სასწავლო პროცესში შესრულება. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ყველაფერი თსუ-ს ადმინისტრაციის მხრიდან არ კონტროლდება, მათ აქვთ შესაძლებლობა, სწავლების პროცესი წარმართონ სტუდენტთა დაინტერესებისა და არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, ამიტომ, მიიჩნევენ, რომ, ამ მხრივ, სრული აკადემიური თავისუფლებით სარგებლობენ. სილაბუსების კუთხით, მათი აკადემიური თავისუფლება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში იზღუდება, როდესაც გარკვეულ საგნებში ლექციებს სხვადასხვა ლექტორი კითხულობს, ასეთ დროს, ისინი იძულებულნი ხდებიან, რაღაც დათმობებზე წავიდნენ, რამდენიმე ლექტორი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ მაღალი აკადემიური პოზიციისა და ასაკით უფროს კოლეგებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფრო დიდი გავლენა აქვთ, რაც მათ მიერ, გარკვეულწილად, შეზღუდვად აღიქმება.

კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესში აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი ერთ-ერთ პრობლემად ასახელებს კვლევითი პროექტების დაფინანსების ნაკლებობას, მათი თქმით, ეს გარემოება, ხშირ შემთხვევაში, იწვევს თემის ან კვლევის მეთოდოლოგიის ცვლილებას. აქვე უმრავლესობა აღნიშნავს, რომ კვლევით საკითხებში ყველაზე მეტად შეზღუდული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტია, რადგან მათ პრაქტიკულ და ლაბორატორიულ კვლევებს ბევრად მეტი ფინანსები სჭირდება. რამდენიმე მათგანი საუბრობს უნივერსიტეტში მცირე კვლევების დაფინანსების საშუალების არსებობაზე, თუმცა ეს საკმარისი მაინც არ არის. მათი თქმით, აკადემიური პერსონალის უმრავლესობა ჩართულია უნივერსიტეტის გარეთ მიმდინარე კვლევებში, რაც, როგორც ლიტერატურაშია შეფასებული, სამეცნიერო სფეროს განვითარებისა და აკადემიური თავისუფლების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, აკადემიურ პერსონალს ნაკლები

შესაძლებლობა აქვს, იმუშაოს თავიანთი ინტერესების სფეროში არსებულ საკითხებზე, ამით კი მცირდება სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა (Marginson & Condisine, 2000). გარდა ამისა, გამოვლინდა, რომ სტატიების გამოქვეყნება ლექტორების პირადი ფინანსური სახსრებით ხდება, რადგან უნივერსიტეტის მხარდაჭერა არ აქვთ.

გარდა ფინანსებისა, კვლევითი სამუშაოების შემაფერხებელ ფაქტორად დროის ნაკლებობა დასახელდა, რამდენიმე ლექტორი საუბრობს სალექციო დროისა და სასწავლო პროცესის გამო არსებულ დიდ დატვირთვაზე, რაც აღარ ტოვებს კვლევის განხორციელებისა და სტატიების შექმნის საშუალებას.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ საკითხებს, რესპონდენტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა ფიქსირდება. ადმინისტრაციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ, ამ მხრივ, სრული თავისუფლებაა და დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერ ლექტორს შეუძლია დაესწროს საბჭოებისა თუ კომისიების შეკრებებს. გარდა ამისა, ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ თსუ-ს აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი სხვა სამსახურებითაა დაკავებული და სწორედ ამ მიზეზით ისინი ნაკლებ ინტერესს იჩენენ მსგავს პროცესებში ჩართულობის მიმართ. გამოკითხული ლექტორები, რომლებიც მხოლოდ აკადემიურ პოზიციებს ფლობენ, მართლაც, საუბრობენ ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით ინტერესის ნაკლებობაზე, თუმცა რამდენიმე მათგანი სხვა აქტიური პროფესორების მაგალითებზე დაყრდნობით, ამბობს, რომ მათი აზრი და წამოყენებული საკითხები, ხშირად, ადმინისტრაციის მხრიდან გათვალისწინებული არ არის.

გარდა ამისა, რესპონდენტებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა შრომითი ხელშეკრულებების რეალობასთან შესაბამისობა და, აგრეთვე, აკადემიური პოზიციის მოპოვებისათვის კონკურსების მიმდინარეობის პროცესი. აღმოჩნდა, რომ რესპონდნეტთა საკმაოდ დიდი ნაწილი ხელშეკრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას არ ფლობს, ხოლო მეორე ნაწილის მოსაზრებით, ხელშეკრულებაში გაწერილი ვალდებულებები რაიმე შემზღუდველ გარემოებებს არ ქმნის, რადგან მასში გაწერილია ისეთი მოთხოვნები, რაც პროფესორს ისედაც გათავისებული უნდა ჰქონდეს. კითხვაზე, თუ რა სახის ინფორმაციას იძლევა თსუ-ში არსებული

დოკუმენტები და ხელშეკრულებები აკადემიური თავისუფლების შესახებ, რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ, ამ მხრივ, რეალური მდგომარეობის დანახვა მხოლოდ სამუშაო პროცესში ჩართულობით არის შესაძლებელი, მაშინ, როდესაც ამერიკის უნივერსიტეტების პროფესორთა ასოციაციის ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით, აუცილებელია, პროფესორმა სამუშაოს დაწყებამდე იცოდეს უნივერსიტეტში არსებული აკადემიური თავისუფლების, მისი ვალდებულებებისა და პირობების შესახებ (Statement of principles on academic freedom and tenure, 1940).

პოზიციის დაკავებისათვის არსებული კონკურსების საკითხი, რესპონდნეტთა უმრავლესობამ დადებითი კუთხით განიხილა, ისინი მიიჩნევენ, რომ კონკურსი და გარკვეული მოთხოვნები ლექტორებს არ აძლევთ სამეცნიერო სფეროში მოღვაწეობისა და გაჩერების საშუალებას, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ თსუ-ში ლექტორთა მიერ კონკურსები აღქმულია, როგორც შეჯიბრი, ასეთი არასწორი მიდგომის გამო ისინი სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობაზე აკეთებენ აქცენტს, ხარისხი კი მეორეხარისხოვან კრიტერიუმად მიაჩნიათ. ეს ყველაფერი განხილულია არა როგორც უნივერსიტეტის მიერ დადგენილი არასწორი წესების, არამედ თავად ლექტორების ასეთი დამოკიდებულებისგან შექმნილი კონტექსტი. რამდენიმე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მოცემულმა კონკურსებმა წლების განმავლობაში ამოწურა საკუთარი შესაძლებლობები და დროა, სხვა პროცესით ჩანაცვლდეს, აგრეთვე, გამოითქვა მოსაზრება, რომ კონკურსის კრიტერიუმების შექმნის პროცესში თავად აკადემიური პერსონალის ჩართულობა გაიზარდოს, რადგან ასეთ შემთხვევაში, ისინი უფრო მეტ მზაობასა და ნდობას გამოიჩენენ კონკურსების მიმართ.

მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც კვლევის შედეგად გამოვლინდა, შეეხება პროფესორის თვითცენზურას. უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ პროფესორის სტატუსი მათ გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს, რაც ხშირად გამხდარა რადიკალური მოსაზრების გამოთქმის პროცესში თავის შეკავების მიზეზი. რაც შეეხება თავად უნივერსიტეტში არსებულ ცენზურას, ისინი ამბობენ, რომ მსგავსი შემზღუდველი ფაქტები არ ჰქონიათ, თუმცა თითქმის ყველა ამბობს, რომ კოლეგებთან ურთიერთობისას გარკვეულ თვითცენზურას იჩენენ, რადგან მათი თქმით, ჯანსაღი კრიტიკაც კი, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთობების გაფუჭებასა და სიტუაციის

გამძაფრებას იწვევს, რესპონდენტთა ნაწილი ამ ფაქტს საკუთარი, პირადი მახასიათებლებლების კუთხით განიხილავს, ხოლო ნაწილი განსხვავებული აზრების მიუღებლობას - უნივერსიტეტში არსებული ორგანიზაციული კულტურის თავისებურებით.

თენუარის სისტემის შესახებ რესპონდენტთა უმრავლესობა უარყოფით დამოკიდებულებას გამოთქვამს. ისინი ფიქრობენ, რომ თენუარის სტატუსი ლექტორების გაზარმაცებას გამოიწვევს, გარდა ამისა, გამოკითხული პროფესორების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს კადრების გაახალგაზრდავების შემაბრკოლებელი ფაქტორიც შეიძლება გახდეს. მნიშვნელოვანია ის, რომ რესპონდენტთა შორის თენუარი, როგორც აკადემიური თავისუფლების უზრუნველმყოფი საშუალება, არავინ განიხილა.

აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში, აკადემიურ პერსონალს საშუალება მიეცა, გამოეთქვა სურვილები, რომლებიც, მათი აზრით, აკადემიური თავისუფლების გაუმჯობესებას შეუწყობდა ხელს. მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ უმრავლესობა სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის ფინანსურ მხარდაჭერას ითხოვს, მათი თქმით, მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი, სასწავლო პროცესი და კვლევითი საქმიანობა მაღალი ხარისხით განხორციელდეს. მეორე ფაქტორი, რომელიც, რესპონდენტთა მიერ აკადემიური თავისუფლების უზრუნველმყოფ საშუალებად დასახელდა, არის დრო, მათი თქმით, ნაკლები სალექციო დატვირთვა და სხვა სამსახურებში მუშაობის აუცილებლობის არარსებობა სამეცნიერო საქმიანობებისათვის ბევრად მეტ თავისუფალ დროს დაუტოვებს.

ლექტორთა ნაწილმა გამოთქვა სურვილი, რომ უნივერსიტეტში ნაკლები ბიუროკრატიული მოთხოვნები არსებობდეს, მათი თქმით, ლექტორის სტატუსი ნდობას უნდა იწვევდეს, ისინი შესრულებული სამუშაოს სხვადასხვა მეთოდით გაკონტროლების აუცილებლობას არასწორად მიიჩნევენ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხული ლექტორების აზრით, აკადემიური თავისუფლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არ იზღუდება რაიმე პოლიტიკური ან სხვა სახის გარეგანი ჩარევით, თუმცა გამოიკვეთა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც საგანმანათლებლო პროცესში გარკვეულ შეზღუდვებს იწვევს:

- ✓ აკადემიური თავისუფლების თითოეულ საკითხზე (სწავლებისა და კვლევის პროცესსა და ადმინისტრაციულ საკითხებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობაზე) ორი ძირითადი ფაქტორი მოქმედებს: დროისა და ფინანსების ნაკლებობა;
- ✓ ფინანსური მხარდაჭერის ნაკლებობა აკადემიურ პერსონალს უზღუდავს თანამედროვე, უცხოენოვანი ლიტერატურის სწავლების პროცესში გამოყენების შესაძლებლობას, ეს კი აკადემიური თავისუფლების აუცილებელი პირობაა;
- ✓ სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვაზე უარყოფითად მოქმედებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმართავობა, რაც ხშირად ლექტორებს არ აძლევს აკადემიური თავისუფლებით სრული სარგებლობის შესაძლებლობას;
- ✓ გამოკითხულ ლექტორთა უმრავლესობა თსუ-ს მიერ აკადემიური პერსონალისადმი დაკისრებულ ძირითად მოთხოვნებსა და ვალდებულებებს შეზღუდვად არ აღიქვამს, ისინი მიიჩნევენ, რომ საერთო და ზოგად წესებს საგანმანათლებლო პროცესის მაორგანიზებელი დანიშნულება აქვს;
- ✓ რესპონდენტთა უმრავლესობა სილაბუსის ფორმატის მიხედვით გაწერილ გარკვეულ საკითხებს ფორმალურს უწოდებს, ისინი ამბობენ, რომ სასწავლო პროცესში სტუდენტების ინტერესისა და მოცემული კონტექსტის მიხედვით მოქმედებენ;
- ✓ აღმოჩნდა, რომ ადმინისტრაციული საკითხებით ლექტორთა უმრავლესობა დაინტერესებული არ არის, ამის ერთ-ერთ მიზეზად დროის ნაკლებობა და უნივერსიტეტს გარეთ არსებულ საქმიანობაში ჩართულობა სახელდება;
- ✓ რესპონდენტთა უმრავლესობის მიხედვით, უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს კვლევითი სამუშაოების დაფინანსებას, რის გამოც ისინი კვლევითი თემის შერჩევისას გარკვეული ორგანიზაციებისა და დამკვეთების ინტერესებს ითვალისწინებენ;
- ✓ გამოკითხულ ლექტორთა უმრავლესობა ამბობს, რომ ხშირად მიმართავენ თვითცენზურას, რომელსაც, უმეტეს შემთხვევაში, კოლეგებთან ურთიერთობისას იყენებენ, მათი თქმით, უნივერსიტეტში კრიტიკა საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების პირობად არ აღიქმება.

რეკომენდაციები

- ✓ საკანონმდებლო დონეზე აკადემიური თავისუფლება დაცული და უზრუნველყოფილია, თუმცა იმისათვის, რომ აკადემიურმა პერსონალმა რეალურად შეძლოს საგანმანათლებლო პროცესში აკადემიური თავისუფლების სრული ხარისხით სარგებლობა, სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა. მოცემული მდგომარეობით, უნივერსიტეტის ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფს სწავლებისა და კვლევის პროცესის თანამედროვე მოთხოვნებს.
- ✓ თსუ-ს ეთიკის კოდექსითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები პროფესორების მიერ შეზღუდვად არ განიხილება, თუმცა, კვლევამ გამოავლინა, რომ გარკვეული მოთხოვნები, რომლებიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განისაზღვრება, გარკვეულ დისკომფორტს ქმნის. მაგალითად, სილაბუსების ფორმატში შემავალი გარკვეული საკითხები მათთვის უბრალო ფორმალობად აღიქმება, მისი შედგენის პროცესი კი ლექტორთა დატვირთული გრაფიკის გაუარესებას იწვევს. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი საკითხების გადაწყვეტის პროცესში პროფესორთა მოსაზრებები, შესაძლებლობის ფარგლებში, გათვალისწინებული იყოს.
- ✓ საგანმანათლებლო პროცესების გაუმჯობესებისათვის აუცილებელია, რომ აკადემიური პერსონალის უმრავლესობა უნივერსიტეტის მნიშვნელოვან პროცესებში ჩართული იყოს, თუმცა, მოცემული კვლევის მიხედვით, ლექტორთა უმრავლესობა მსგავსი საკითხების მიმართ ინტერესს არ იჩენს სხვა ძირითადი სამსახურით დაკავებული გრაფიკის გამო, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა ასეთი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები და მათი მოგვარების გზები იპოვოს.
- ✓ აკადემიური თავისუფლების ერთ-ერთი საფრთხე კომერციალიზაციაა, რაც შედეგად სამეცნიერო სამუშაოების შემცირებას იწვევს, ამიტომ აუცილებელია, რომ უნივერსიტეტმა სამეცნიერო კვლევებისა და სტატიებზე მუშაობის პოპულარიზაციაზე იზრუნოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ N122 დადგენილება(2014); https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1222014//
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი (2009); https://www.tsu.ge/data/file_db/iuridiuli_cnobari/etika_09.pdf
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები; https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_medicine/sheina_ganacesi_09.pdf
4. ობოლაძე,ნ. (2013). განათლების სისტემაში განხორციელებული 10 წლიანი ცვლილებების ანალიზი. *თბილისის უნივერსიტეტი, N17*, გვ.3-4
5. სამნიაშვილი, ლ. (2017). ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებები და მათში მიმდინარე პროცესები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_medicine/sheina_ganacesi_09.pdf
6. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23?publication=75
7. საქართველოს კონსტიტუცია. (1995). https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346
8. საქართველოს მინისტრის ბრძანება N3, გამოქვეყნების თარიღი 9 იანვარი, 2017; https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/68458?publication=0
9. Akerlind, G. & Kayrooz, C. (2003). Understanding Academic Freedom: The Views of Social Scientists. *Higher Research and Development, 22(3):* 327-344
10. Altbach, P. (2001). Academic Freedom: International Challenges and Realities. *Higher Education 41*, 205-219
11. Association of American University Professors (2014). Recommended Principles to Guide Academy-Industry Relationships. Univesity of illinois Press.
12. American Association of University Professors (1944). On the Relationship of Faculty Governance to Academic Freedom. Statement adopted by the Association's Council (1994).
13. American Association of University Professors (AAUP). (1940). 1940 statement of principles on academic freedom and tenure with 1970 interpretive comments. In policy documents & reports (9th ed. 2001). Available May 14, 2019, from https://www.aaup.org/report/1940-statement-principles-academic-freedom-and-tenure
14. American Association of University Professors (AAUP). (1915). 1915 Declaration of Principles on Academic Tenure. Retrieved May 14, 2019, from https://www.aaup.org/NR/rdonlyres/A6520A9D-0A9A-47B3-B550-C006B5B224E7/0/1915Declaration.pdf
15. Becker, R. (2006). Academic freedom in England and Germany: A comparative Perspective. *Global Values Education:* 115-130
16. Berdahl, R. (1990). Academic freedom, autonomy and accountability in British universities. *Studies in Higher Education, 15(2)*, 169-180
17. Chait, R.P. (Ed.). (2002). The questions of tenure. Cambridge, MA: Harvard University Press
18. Clark, B. (1986). The higher education system: Academic organization in cross-national perspective. *University of California Press*
19. Dewey, J. (1936). The Social Significance of Academic Freedom. *The Social Frontier: 165*
20. EUROPEAN UNIVERSITIES ASSOCIATION (1988) Magna Charta Universitatum (Bologna, EUA)
21. EUROPEAN UNION (2000) Charter of Fundamental Rights of the European Union, 18 December
22. Fischer,L. (1977). Academic Freedom and John Dewey. *The High School Journal 60(8)*, 379-386
23. Fulton, O. (2002) Higher education governance in the UK: change and continuity, in: A. Amaral, G.A. Jones and B. Karseth (eds.) *Governing Higher Education: National Perspectives on Institutional Governance. Dordrecht: Kluwer*, pp.187- 211

24. Goldstein, S. (1976) 'The asserted constitutional right of public school teachers to determine what they teach', *University of Pennsylvania Law Review 124(6):* 1293–1357
25. Hofstadter, R., & Metzger, W. (1955). The development of academic freedom in the United States. New York: Columbia University Press.
26. Karran, T., & Mallinson, L. (2017). Academic freedom in the U.K: legal and normative protection in a comparative context. Project Report. Univesity and College Union, Lincoln.
27. Karran, T. (2009). Academic freedom: In justification of a universal ideal. *Studies in Higher Education 34(3),* 263-283
28. Karran, T. (2007). Academic Freedom in Europe: A Preliminary Comparative Analysis. *Higher Education Policy, 20(3):* 289-313;
29. Kayrooz, C., Kinnear, P., & Preston, P. (2001). Academic freedom and commercialization of Australian universities: Perceptions and experiences of social scientists. Canberra, Australia: The Australia Institute
30. Lechuga,V., & Tierney, W. (2010). The Social Significance of Academic Freedom (2010). *Cultural Studies Critical Methodologies, 10(2)*: 118-133
31. Lieberwitz, R. (2002). The Corporatization of the University: Distance Learning at the Cost of Academic Freedom? Available (7 March, 2019) at: https://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/bupi12&div=7&id=&page=
32. Marginson, S., & Considine, M. (2000). The enterprise university: Power, governance and reinvention in Australia. New York: Cambridge University Press
33. Marginson, S. (2000) Rethinking academic work in the global era, *Journal of Higher Education Policy and Management, 22,* 1: 23-35.
34. Margolis, M. (2004) The Withering of the professoriate: Corporate universities and the internet, in: J.K. Odin and P.T. Manicas (eds.) *Globalization and Higher Education Honolulu: University of Hawai'i Press,* pp: 24-41.
35. MCMASTER, M. (2002) 'Partnerships between Administrative and Academic Managers: How Deans and Faculty Managers Work Together', ATEM-AAPPA Conference, Brisbane.
36. Melody, W. (1997). Universities and public policy. In A.Smith & F.Webster (Eds.), The postmodern university? (pp. 72-84). Buckingham, UK: SRHE & OU Press.
37. Nelson,C. (2010). No university is an island: Saving academic freedom. *New York University Press.*
38. Osieja, H. (2016). Academic Freedom: Foundations, limitations and delimitation. *International Conference on Education and New Learning Technologies.* Available (9 March, 2019) at: https://www.researchgate.net/publication/305708341_ACADEMIC_FREEDOM_FOUNDATIONS_LIMITATIONS_AND_DELIMITATIONS
39. Recommendation 1762 (2006). *The Parliamentary Assembly of the Council of Europe.* Available (15 May, 2019) at: http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17469&lang=en
40. Recommendation concerning the Status Higher-Education Teaching Perssonnel (1997). Unesco meeting in Paris. Available (2 May, 2019) at: https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000113234.page=2
41. Rochford, F. (2003) Academic freedom as insubordination: The legalisation of the academy, *Education and the Law, 15, 4*: 249-262.
42. Rudolph, F. (1962). The American college and university: A history. New York, NY: Vintage.
43. Tierney, W. (2001) 'Academic freedom and organisational identity', Australian Universities Review 44(1): 7–14.
44. Turk, J. (2014). Academic Freedom in Conflict: The struggle over free speech rights in the university. *Toronto: James Lorimer & Company*
45. Vrielink,J., Lemmens,P., & Parmentier,S. (2011). Academic Freedom as a Fundamental Right. *Procedia – Social and Behavioral Sciences, 13,* 117-141
46. Weiss, R.S. (1994). Learning from Strangers: The Art and Method of Qualitative Interview Studies. New York: The Free Press.
47. Wilson,K. (2016). AAUP's 1915 Declaration of Principles. AAUP Journal of Academic freedom.